

ମହନ୍ତୀଙ୍କର ପଦମାଲା
ଜୀବିତ କରିବା ହା
ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧୀ ପଣ୍ଡା-
ତକାଳିଫେରା

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-
კვლევითი ცენტრი



მეზობელი მიმღები ჯიშის
ძროხა და მეჯოგეთა
ყოვა-ტრადიციები

თბილისი, 2021

ნაშრომში გაანალიზებულია პრეისტორიული ხანიდან დღემდე დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში მეცხოველეობის როლსა და ადგილზე არსებული წერილობითი წყაროები და არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მონაცემები. შეფასებულია დარგის განვითარების ეტაპები; აღწერილია ცხოველთა მოვლა-შენახვა-კვება-მოშენებისადმი მომთაბარე მეჯოგეთა მიდგომები, მათი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, რწმენა-წარმოდგენები და ჩვევები, რამაც შესაძლებელი გახადა მთაბარობის მკაცრ პირობებს შეგუებული, ადაპტაციის ფართო დიაპაზონისა და პროდუქტიულობის მაღალი გრეტიკური პოტენციალის მქონე ძროხის მეგრული წითელი ჯიშის გამოყვანა; დახასიათებულია ამ ჯიშის სამურნეო-ბიოლოგიური თავისებურებები; ხაზგასმულია, რომ დღეს პირუტყვის სულადობა კრიტიკულ ზღვარს ქვემოთაა და მას დაკარგვის საფრთხე ემუქრება. შემოთავაზებულია დაცვა-აღდგენის, გამრავლებისა და პროდუქტიულობის გადიდების რეკომენდაციები.

განკუთვნილია მეცხოველეობის დარგის ისტორიითა და განვითარების პერსპექტივებით დაინტერესებული მკვლევარების, პრაქტიკოსი სპეციალისტებისა და ფერმერებისთვის; მისი გაცნობა დიდ სამსახურს გაუწევს ზოოტექნიკოსი და ექიმი-ვეტერინარი სპეციალობის უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით მოსწავლე სტუდენტებს.

შემდგენელი და ავტორი: გიული გოგოლი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ავტორები: სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები: **რუსულან ბარკალაია, ცისანა ქილიფთარი, თენის ფირცხალაიშვილი, მაგისტრი თორონიკე ჭდენტი.**

რედაქტორი: **ჯემალ გუგუშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.**

რევიზორი: **როლანდ მიტიჩაშვილი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დათა დოქტორი, პროფესორი.**

მანანა ბუკია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

© სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

გამოცემლობა _____ 2020

ISBN

რედაქტორისგან

ისტორიოგრაფების მიერ აღიარებულია, რომ კაცობრიობის განვითარების ადრეულ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდა მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა პირველი დასახლებები და თაობების მანძილზე ჩამოყალიბდა აგრარული სფეროს პრატიკულად ყველა დარგის მართვისა და პროდუქციის წარმოების ორიგინალური კულტურა.

მიუხედავად მძიმე ისტორიული წარსულისა, ქართველებმა შეძლეს გამოვლინათ თავისი შემოქმედებითი ნიჭისა და მაღალი გეოგრაფიული უნარი, შეენარჩუნებინათ და გამოეყვანათ ვაზის, მარცვლოვანი კულტურების, სხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა უწიკალური ჯიშები, აგრეთვე შეექმნათ მათი პროდუქტების გადამუშავების, შენახვისა და გამოყენების არსებითად განსხვავებული მეთოდები და ხერხები, რომელთაგან უმრავლესობა, უდაოდ, ზოგადსაკაცობრიო მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს.

ურბანიზაციისა და აგრარული სექტორის ინდუსტრიალიზაციის, აგრეთვე კლიმატის გლობალური ცვლილების შეუქცევადი პროცესების გავლენით, სასოფლო-სამეურნეო ბიორესურსების შენარჩუნება გახდა კაცობრიობის მიერ გადა-საწყვეტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეს განსაკუთრებით ეხება მეცხოველეობას, რომლის გენეტიკური რესურსები კატასტროფულად მცირდება; ასე, მაგალითად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გლობალურ საინფორმაციო სისტემაში აღრიცხული სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების 7616 ჯიშიდან, ბოლო 6 წლის მანძილზე დაიკარგა 62, ხოლო 1500-ზე მეტს დაკარგვის საფრთხე ემუქრება.

გასათვალისწინებელია, რომ ეს გენოფონდი, კაცობრიობის საერთო მონაპოვართან ერთად, წარმოადგენს ასეული მილიონობით სოფლად მცხოვრებთა არსებობის ძირითად,

საკმაოდ ხშირად კი ერთადერთ წყაროს. ცნობილია ისიც, რომ საზოგადოების ეს ნაწილი, არის თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეებისგან მოწყვეტილი და, როგორც წესი, ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში. იმავდროულად, მათი უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ეს უძველესი ჯიშები დღემდე არის შემორჩენილი. ამდენად, ეჭვი არ არის, რომ გლობალური აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი გადასაწყვეტი ამოცანაა გენეტიკური რესურსების მდგრადი გამოყენების მოდელის შექმნა და მისი რეალიზაციის მატერიალური ხელშეწყობა.

ადგილობრივი ენდემური და აბორიგენული ჯიშების შენარჩუნების პრობლემა ნათლად გამოიკვეთა დღევანდელი საქართველოს სარმეო მემროხეობის სინამდვილეში, სადაც რძის წარმოების გასადიდებლად ევროპიდან დაიწყეს ე.წ. ინდუსტრიული ჯიშების შემოყვანა; შექმნა გარემო, როდესაც ადგილობრივი ჯიშები და ტრადიციულად მათი მომშენებელი ფერმერული მეურნებები თვალსაწიერს მიღმა დარჩა. ამას დაემატა ქვეყანაში სანაშენე საქმიანობის მოშლა, რამაც ენდემური და აბორიგენული ჯიშების დაკარგვის საშიშროება რეალური გახადა.

საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველთა ადგილობრივი გენოფონდის კვლევა, მათი დაცვა-აღდგენა-გაუმჯობესებისა და სამეურნეოდ გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება, არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. მათ შორისაა ქვეყანაში საყოველთაოდ ცნობილი მეგრული წითელი, იგივე კვარაცხელიას ჯიშის ძროხა, რომლის სულადობა, ცენტრის მიერ განხორცილებული ექსპედიციური კვლევების მონაცემებიდან გამომდინარე, ძლიერ შემცირებულია და კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება.

ნაშრომი ეძღვნება მეგრული წითელი ჯიშის ჩამოყალიბების გარემოსა და მეჯოგეთა ყოფა-ტრადიციებზე

მეცნიერთა მრავალი თაობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის მონცემთა ანალიზს; სათანადოდ არის წარმოჩენილი და შეფასებული ქვეყანაში ხალხური და კლასიკური ზოოტექნიის განვითარების ეტაპები და გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ქართული ზოოტექნიკური სკოლის წარმომადგენლების, აგრეთვე წინამდებარე წიგნის ავტორების მიერ ჯიშის სამეურნეო და ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლის მონაცემებს, დასკვნით ნაწილში კი შემოთავაზებულია მისი დაცვა-აღდგენა-გაუმჯობესებისა და სამეურნეოდ გამოყენების რეკომენდაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობაში ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებში პრობლემის შესწავლი-სადმი მსგავსი კომპლექსური მიდგომა არ გვხვდება და, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ის არის მულტიდისცი-პლინარული კვლევის პირველი წარმატებული, მე ვიტყოდი, სანიმუშო მაგალითი.

ვფიქრობ, ნაშრომი თანაბრად საინტერესო იქნება საქართველოში მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებითა და დარგის ისტორიითა დაინტერესებული მკვლევა-რების, სპეციალისტებისა და პრაქტიკოსი ფერმერებისთვის. აქ მოცემული მასალების გაცნობა წაადგება სტუდენტ ახალგაზ-რდობაში ზოგადქართული ცნობიერების ჩამოყალიბებას, აგრეთვე ზოოტექნიაში თეორიული ცოდნის შეძენისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების საქმეს.

პ. გუგუშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი

მ ა დ ლ ო ბ ა

ავტორები განსაკუთრებულ პატივისცემას გამოვხატავთ იმ საგვარეულოების და ცალკეულ მეჯოგეთა მრავალი თაობის წარმომადგენლებისადმი, რომელთაც პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, შემოქმედებითი და მიზანდასახული შრომით გამოიყვანეს და შთამომავლობას დაუტოვეს უნიკალური სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების მქონე მეგრული წითელი ჯიშის ძროხა. არ შეიძლება არ ითქვას იმ ფერმერთა გამზედაობასა და შემართებაზე, რომელთაც, მიუხედავად არასასურველი, სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებო დამოკიდებულებისა და ხშირად სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი გარემოსა, შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში ითავეს და დღესაც აგრძელებენ ამ ჯიშის ხალასად მოშენებას, რითაც ქვეყანას და საერთოდ კაცობრიობას შემოუნახეს ეს ძვირფასი გენოფონდი.

უღრმეს მადლობას ვუძღვნით ქართული ზოოტექნიკური სკოლის პირველ თაობას, ჩვენს მასწავლებლებსა და კოლეგებს, რომელთაც თავიანთი დრო, ცოდნა და გამოცდილება არ დაიშურეს ძროხის მეგრული წითელი ჯიშის სამეურნეო-ბიოლოგიური თავისებურებების კვლევებისა და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვისათვის, აგრეთვე ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებსა და ეთნოგრაფებს, რომელთაც საფუძვლიანად შეისწავლეს საქართველოს ულამაზესი კუთხის, სამეგრელოს მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა, მეჯოგეთა ყოფა-ტრადიციები, ჩვევა-წარმოდგენები და ტერმინოლოგია.

გავრცელების ზონებში ჯიშის ტიპიური პირუტყვის კერების მოძიებასა და სულადობაზე ინფორმაციის მოპოვებაში დახმარებისათვის მადლობა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის მხარის რეგიონალური და მუნიციპალური საინ-

ფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების თანამშრომლებს, აგრეთვე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები კერძო პირებს, რომელთაც გულთან მიიტანეს საქართველოს ისტორიის მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო, მოვლენებით აღსავსე მონაკვეთის შეცნობისათვის ამ ნაშრომის შედეგენის მნიშვნელობა და მოგვაწოდეს წერილობითი მასალები და ფოტოსურათები.

გაწეული შრომისა და საგულისხმო რჩევებისთვის მადლობას ვუძლვნით წიგნის რედაქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილს და რეცენზენტებს: ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ როლანდ მიტიჩაშვილს და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მანანა ბუკიას.

დაბოლოს, მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელებისადმი (ლევან უჯმაჯურიძე, ნოდარ ხატიაშვილი, მალხაზ ბუკია), ქვეყნის ისტორიისა და თანამედროვეობის წინაშე სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ქართული ენდემური და აბორიგენული ჯიშების დაცვა-აღდგენა-გაუმჯობესების პრობლემის უდიდესი ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საქმედ აღიარებისა და ნაშრომზე მუშაობისას მხარდაჭერისათვის.

წინასიტყვა

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ და ვტკბებით საქართველოს, ქართველი ერის დიადი ისტორიითა და წარსულით; ისტორიით, რომელიც ათასი ჯურის ურიცხვ, ველურ მტერთა განუწყვეტელი შემოსევებისას, მომხვდურებთან ბრძოლაში სახელოვანი ქართველი ვაჟვაცების სისხლით და, არა ნაკლებ გმირი, ქართველი დედის აკვანთან ნამღერი ნანათი იწერებოდა.

და არა მარტო ეს. მშვიდობიანობის მოკლე შუალედებში, ქვეყნის ისტორია იწერებოდა ქართველი გლეხვაცის მუხლჩაუხრელი შრომით, ოფლითა და შემოქმედებითი აზროვნების უნარის წყალობით; ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მეტად ორიგინალური, მრავალფეროვან ბუნებრივ-კლიმატურ ზონებთან შეხამებული მიდგომები და სისტემები, მთისა და ბარის კოოპერირების სქემები, ხვნა-თესვის, მევენახეობა-მეღვინეობის, მთაბარობის რთულ პირობებში ცხოველთა შენახვა-მომრავლების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი დამუშავებისა და შენახვის მეთოდები და ხერხები; ყოველივე ეს, ზოგადად, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არის ქვეყნის მკვეთრად განსხვავებულ ეკოსისტემაზე მორგებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიები და ამ ტექნოლოგიების შესატყვისი მცენარეთა და ცხოველთა ასეულობით ჯიში, რომლებიც წარმოადგენენ ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს და ღირსეული ადგილი უკავიათ მსოფლიო ცივილიზაციების აგრარული სფეროს ისტორიაში.

ცნობილია, რომ მეცნიერების მიერ პლანეტაზე აღიარებული სასოფლო-სამეურნეო, თუ შინაურ ცხოველებისა და ფრინველების შემოჩვევა-მოშინაურების ექვსი ცენტრიდან პროცესი ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხრეთ-დასავლეთ აზიის, ანუ ნაყოფიერი ნახევარმთვარის («Fertile Crescent») რეგიონში, რომელიც შედის დღევანდელი ირანის, ერაყის, ავღანეთის, სირიის და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ სამხრეთ კავკასიის უშუალოდ მოსაზღვრე ტერიტორიები [1, 2]; სხვა მონაცემებით ცხოველთა შემოჩვევა მოშინაურების პროცესი ამ ტერიტორიებთან ერთად და ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიაშიც [3];

ავტორიტეტულ მეცნიერთა მტკიცებით სხვა ცენტრებზე ადრე, ე.წ. ნეოლითური რევოლუციის პერიოდში სწორედ აქ ჩაისახა აგრარული წარმოების საწყისი ფორმები და მოშინაურებულია პრაქტიკულად ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველი მათ შორის: წყვილჩლიქიანებიდან- ძროხა, ცხვარი, თხა და ღორი, კენჩლიქიანებიდან- ცხენი, ფრინველებიდან- მტრედი, სასარგებლო მწერებიდან- ფუტკარი.

საქართველოს ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშინაურების ნაყოფიერი ნახევარმთვარის ცენტრთან ასოცირების ერთ-ერთი უტყუარი არგუმენტია კახური ღორის მოშინაურების მაგალითი. ეს ცხოველი, სხვაგან, საქართველოს ტერიტორიის კონკრეტული მიკროზონის გარდა, არსად გვხვდება. ამასთან, მან საკმაო დონეზე შეინარჩუნა რა თავისი წინაპრის, გარეული კავკასიური მოკლეყურა ღორის ქვესახეობის (*Sus scrofa attila*)

ძირითადი ნიშან-თვისებები და, იმავდროულად, თავისი არსებობა დაუკავშირა უშუალოდ ადამიანებთან თანაცხოვრებას. ესეც რომ არ იყოს, საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა მოშინაურების უძვლელსი კერის არსებობა დასტურდება ქართველური ტომების თვითმყოფადი კულტურითა და ტრადიციებით.

კ. ბატტალოსა და სხვ. [4] მტკიცებით, დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილფეხა პირუტყვის გამოყენებაზე მონაცემები თარიღდება 7 ათასი წლის წინა პერიოდით. სხვა ცნობებით, ჩვენში ცხოველთა შემოჩვევა-მოშინაურებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის გენეზისი სათავეს იღებს უფრო გვიან, ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში და მისი შემდგომი განვითარების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული აქ მცხოვრებთა ყოვედლიურ ყოფასთან.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ, ზოგადად, სოფლის მეურნეობამ, განსაკუთრებით კი მეცხოველეობამ, უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების საქმეში. აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მათ შორის მეცხოველეობის ისტორიის, მასთან დაკავშირებული ჩვევა-წარმოდგენებისა და ტრადიციების შესწავლა შესაძლებობას მოგვცემს სრულყოფილად შევიცნოთ პლანეტის კონკრეტულ რეგიონში მცხოვრებთა სულიერი ასპექტები და საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალები.

დასაბამიდან XXI საუკუნემდე

ქართველური ტომების სამეურნეო საქმიანობა ოდითგანვე დაკავშირებული იყო პრაქტიკულად ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა და ფრინველების მოშენებასთან, ხოლო ასეთ მცირე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული აბორიგენული და ენდემური ჯიშების ასეთი სიმრავლე და ნაირფეროვნება მეტყველებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა შემოქმედებით აზროვნებასა და მისწრაფებებზე, მათ მაღალ სულიერ კულტურაზე [5].

ერთიანი საქართველოს ისტორიაში, ამ მხრივ, ღირსეული ადგილი უკავია მის ულამაზეს კუთხეს, სამეგრელოს, სადაც სხვადასხვა სახეობის ცხოველთა მოშენების, აგრეთვე ცხოველური პროდუქტების გადამუშავებისა და მოხმარების უძველეს კულტურასა და ტრადიციაზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალები, თუ წერილობითი წყაროები.

თითქმის პირველყოფილი, მიწიერი სამოთხის სადარი ხელშეუხები ბუნება, მეგრელთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ზეპირსიტყვიერება და ეკონომიკური საქმიანობა არა მარტო ცნობილი ქართველი მამულიშვილების შესწავლისა და განსჯის, არამედ მრავალი მოგზაურისა თუ მისიონერის ინტერესის საგანი იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებულად საყურადღებოა ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის არისტოტელეს (ძვ.წ. 384-322 წ.წ.), ისტორიკოსის, გეოგრაფისა და მოგზაურის სტრაბონის (ძვ.წ. 64/63-23/24 წ.წ.), ისტორიკოსის, ანტიკური მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის

ქსენოფონტეს (ძვ. წ. 427-355 წ.წ.) და სხვ. მემკვიდრეობა; საქართველოს მეცხოველეობასა და ცხოველური პროდუქტების დამზადება-მოხმარების კულტურაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოიპოვება შუა საუკუნეებში, ევროპელი მისიონერებისა და მოგზაურების: არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის, ჟიულ მურიეს, მორიც ვაგნერის, დონ კრისტოფორო დე კასტელის და სხვათა ჩანაწერებსა და ჩანახატებში, რომლებშიც ასახულია აქ მცხოვრებთა ყოფა, წეს-ჩვეულებები, მისწრაფებები, ტრადიციები, სამეურნეო საქმიანობა და სხვ., მათ შორის, საკმაო დონით, მეცხოველეობასთან დაკავშირებული საკითხებიც.

დასავლეთ საქართველოს მეცხოველეობაზე პირველ და უტყუარ ცნობად, ერთსახოვნად, აღიარებული უნდა იქნას ბერძნული მითოლოგიის მარგალიტი „არგონავტები“, რომლის რეალობა დაამტკიცა 1984 წელს ტიმ სევერინის არქაული ზღვაოსნური საშუალებებით მოწყობილმა ექსპედიციამ. თავის მხრივ, ლეგენდაში აღწერილი არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის ძირითადი მიზნის „ოქროს საწმისის“ დასაუფლებლად მეფისგან მიღებული დავალების, „...ჰეფესტოს მიერ გამოჭედილი სპილენძის ფეხებიანი...“, „...ცეცხლისმფრქვეველი ხარების...“ უღელში შებმისა და გუთნით მიწის დამუშავებასთან დაკავშირებული ეპიზოდი [6] ამ ქვეყნაში განვითარებულ მიწათმოქმედებასთან ერთად, მეცხოველეობის მაღალი კულტურის უტყუარი საბუთია.

მსოფლიო მეცნიერების მიერ ჩვენი ქვეყანა აღიარებულია ვაზისა და ღვინის სამშობლოდ [7], ხოლო ხორბლის კულტურის 20 სახეობიდან 5 საქართველოს

ენდემია [8]; არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მაღალი ალბათობით საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც უძველესი დროიდან მოყოლებული ამზადებდნენ ყველს [9]. ეს, ბუნებრივად, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველური ტომები ოდითგანვე მისდევდნენ რძის მომცემი პირუტყვის და, მათ შორის, ძროხის მოშენებას.

მ. რჩეულიშვილი [10], ბ. პიოტროვსკი [11] და სხვ. აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში (ძვ.წ. VI-IV ს.) დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები ტომები, მევენახეობასთან ერთად, მისდევდნენ პრაქტიკულად ყველა სახეობის მარცვლეული კულტურების (ხორბალი, ქერი, ღომი და ა.შ.) წარმოებას, ხოლო მეცხოველეობის მიმართულებებიდან უპირატესობა ენიჭებოდა მსხვილფეხა პირუტყვისა და ცხვრის მოშენება-გამრავლებას.

კოლხეთის მეზობელ უძველეს დიაოხში მეტალურ-გიისა და მეცხოველეობის მაღალი დონით განვითარებაზე არსებული ცნობები, მის მეზობელ კოლხეთში სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე არსებული ვერსიის კიდევ ერთ დასტურად შეიძლება ჩაითვალოს [12]. რაც შეეხება ძვ. წ. VI-III საუკუნით დათარიღებული კოლხური თეთრის სახელით ცნობილი მონეტების (სურ. 1) უმეტესი ნაწილის ერთ-ერთ მხარეზე ხაზოვან რკალში ჩასმული ხარის თავის გამოსახულებას [13], ის უძველეს კოლხეთში ამ სახეობის ცხოველის კულტზე ეჭვის გამოთქმის საფუძველ-საც არ გვიტოვებს.

ძველი სამყაროსათვის ცნობილი, წარმომავლობით „კოლხური ძროხის“ სამეურნეო თვისებების აღწერისას, ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ. წ. 384-322 წ.), აღნიშნავს, „მიუხედავად იმისა, რომ პირუტყვის სხულის ზომა დაკავშირებულია მის წველადობასთან, ფაზისში ჰქონდა ძალიან პატარა ტანის ძროხა, რომელიც იწველის ბევრ რძეს“



[14, 15].

დ. შავიანიძე და სხვ. [16] მიუთითებენ, რომ, სამეგრელოში მოსახლეობის „...ძირითადი საქმიანობა

მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ყოფილა“. ხაზგასმულია, რომ აქ ყოლიათ პრაქტიკულად ყველა სახეობის სასოფ-

ლო-სამეურნეო ცხოველი და ფრინველი, ხოლო, ზოგადად, მეცხოველეობის დარგი წარმოდგენილი ყოფილა ორი, „ბარული“ და „მომთაბარე“ ფორმით; როგორც ჩანს, მთაბარობას უფრო მთიან ზონაში მაცხოვრებლები მის-დევდნენ, რომლებიც ზაფხულობით პირუტყვს აძოვებდნენ აჭარა-გურია-იმერეთისა და მთვარი კავკასიონის ცენტრალური და დასავლეთ ნაწილის ალპურ საძოვრებზე.

ნ. აზიკური [17] აღნიშნავს, რომ ნოყიერი და ნაყოფიერი ალპიური და სუბალპიური მდელოების დიდი მასივების არსებობასთან ერთად, ზომიერი კლიმატი კარგ ნიადაგს ქმნიდა საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისათვის. მართლაც, ეს დარგი, მემინდვრეობასა და მევენახეობასთან ერთად, იყო ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი.

ცხოველთა სიმრავლემ, თავის მხრივ, განაპირობა მოსახლეობის დიეტაში რძის, ხორცისა და მათი პროდუქტების დიდი რაოდენობით მოხმარების ჩვევა-ტრადიციების ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით ი. ანდრონიკაშვილი [И.З. Андронников, 18] ხაზს უსვამს, რომ სამხრეთ კავკასიაში, სოფლად მცხოვრებთა მიერ “...მეძროხეობის პროდუქტები ისე ფართოდ გამოიყენება, რომ ევროპის ვერცერთი ქვეყანა ვერ გაუტოლდება...“

არქანჯელო ლამბერტი [19] საკმაოდ დეტალურად წერს სამეგრელოში სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობის მდგომარეობასა და ცხოველური პროდუქტების მოხმარების თაობაზე. აღნიშნულია, რომ აქ ყველა ოჯახს ჰყავს „...შეძლებისამებრ...ბევრი თუ ცოტა...ცხენი“, „...ყველას თავთავისი...ხარები მიწის სახნავად და ძროხები ყველისათვის. „...ბლომად არის კამეჩი..., ნაკლებად ცხვარი, „...სამაგი-ეროდ... მრავლადაა ...თხები და ღორები, რომელთა ხორცს მუდამ სჭამენ, თვით ზაფხულის სიცხეშიაც“. და კიდევ, „...წვეულების დღეს, ... ბლომად ჰკლავენ ხარებს, ვინ ათს, ვინ ოცს და ვინ ოცდა ათს, იმდენსავე ღორს და ასიოდე ქათამს და ყვერულს, რომელიც ხონჩებით მოაქვთ სტუმრებთან. ხშირად ორმოცდა ათამდე. დაალაგებენ ამისთანა ხონჩებს,

რაც დიდკაცობის და სიმდიდრის ნიშანია. გარდა ამისი დაამზადებენ ყოველნაირ ფრინველს და ნადირს, რომელი კი იმ დროს იშოვება, და წამოაგებენ შამფურებზე. ერთ შამფურზე წამოცმულია კურდღელი, მეორეზე - ხოხობი, მესამეზე - ბატანი, მეოთხეზე- ყვერულები, სხვებზე-ქათმები და წიწილები. ყველა ესენი ორმოცდაათის კაცის სამყოფი მაინც უნდა იყოს...“ და კიდევ „...მოსამსახურე ჩამოართმევს შამფურებზე წამოგებულ დაკლულებს და თითო-თითოდ შესწავენ იმ ცეცხლზე, რომელიც იქვე დარბაზის შუაგულში ანთია...“.

უან შარდენის [20] თანახმად, „... ჩვეულებრივი ხორცეული ამ ქვეყანაში არის ძროხისა და ღორის ხორცი. ღორის ხორცი, აქ დიდი რაოდენობითაა და ხარისხით საუცხოოა. ვერსად სხვაგან უკეთესს ხორცს ვერ იგემებ...“ და „...უბრალო ხალხი უპირატესად იკვებება ღორის ხორცით“; თავის მხრივ, ჟიულ მურიეც [21] ხაზს უსვამს ამ კუთხეში ცხოველური პროდუქტების განსაკუთრებულ პოპულარობას.

ადგილობრივი მოსახლეობის დიეტაში ხორცზე არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა რძის პროდუქტები, განსაკუთრებით კი ყველი: „კაზლა“ და „სულუგუნი“¹, აგრეთვე მაწონი, ხაჭო და ნადული, რომელთა დამზადების ტრადიციები მრავალ ათეულ საუკუნეებს ითვლის. როგორც ჩანს, სულუგუნს მეგრელი მეჯოგები ამზადებდნენ, ძირითადად, ალპურ საძოვრებზე ყოფნისას, უმარილოდ მომწიფებული ყველის „გადახარშვითა და მისი სათანადო

¹ მეგრ. = „სელუგინ“; „სელუგუნ“

წესით მოზელვით^{“2”}; ასეთი ტექნოლოგია უზრუნველყოფდა სულუგუნის ნაკლებად ცხიმიანობას, ცომის ფენოვნობა-თხელფურცლოვნობასა და ელასტიკურობას, რაც განსაზღვრავს ამ პროდუქტის განუმეორებელ სენსორულ თვისებებსა და არის მისი სასაქონლო ხარისხის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი;

ნ. თოფურიას [22], რ. თოფჩიშვილის [23] და სხვ. გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეგრული სულუგუნი საკმაოდ პოპულარული ყოფილა არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობაში, არამედ იყიდებოდა ამიერკავკასიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქის ბაზრებში, ხოლო 1890 წლიდან ქ. ფოთის პორტიდან ის გაჰქონდათ უცხოეთში.

მეცხოველეობის სხვა დარგებთან შედარებით, მეძროხეობის განვითარების ძირითადი ხელისშემწყობი ფაქტორი იყო სამეგრელოს კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები, კერძოდ ზამთრის საძოვრების ადგილმდებარეობა, რომელიც ვრცელდებოდა მდინარეების ენგურის, ხობის და რიონის, ქვემო დინების, აგრეთვე ტეხურას, ცხენისწყლის, აბაშისწყალის და სხვ. სანაპიროების დაუსახლებელ მიწებზე. ამასთან, რეგიონისთვის დამახასიათებელი ნალექების სიუხვე, ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა და, ძირითადად, დაჭაობებული საძოვრები, თავის მხრივ, ზღუდავდა სხვა დარგების, განსაკუთრებით კი მეცხვარეობის განვითარების შესაძლებლობებს, რის გამო

² ზოგიერთი მონაცემით, სულუგუნის დამზადებისას მეგრელი მუჯოგვები ყველის მასას ორჯერ ხარმავდნენ

უპირატესობა მოიპოვა მომთაბარე მეძროხეობამ.

ის, რომ მეცხოველეობა ოდითგანვე იყო სამეგრელოში მცხოვრებთა ეკონომიკური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, დასტურდება არაერთი წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალით; უფრო მეტიც, მთიან ზონებში, მდინარეების ენგურის, ხობისწყალის, ტეხურისა და ცხენისწყლის აუზის მიმდებარე სოფლებში, იქ, სადაც სახნავ-სათესი ფართობები პრაქტიკულად არ არის, ეკონომიკური საქმიანობის ამ მიმართულებას, წამყვანი ადგილი ეკავა [24]. ცნობილია ის საგვარეულოებიც, რომლებიც შთამომავლობით მეჯოგეობას მისდევდნენ და რომელთა საქმიანობის დამყარებული იყო არა კონკურენციაზე, არამედ სუსტისადმი, სტიქიისგან ან დაავადებისგან დაზარალებულისადმი თანადგომასა და დახმარების გაწევაზე; ამის თვალსაჩინო მაგალითებია „ალმარენჯობა“, „ოკათური“, „აზარა“ და მეცხოველეობის სხვა სამეურნეო-ორგანიზაციული ფორმები.

ანალოგიური უნდა ითქვას საქართველოს პრაქტიკულად ყველა სხვა კუთხის მცხოვრებთა საქმიანობაზეც, სადაც მეცხოველეობა, უპირატესად, დაკავშირებული იყო მომთაბარე ცხოვრების წესთან. ამასთან, ამ რეგიონებში, გეოგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე, მომთაბარე მწყემსები დაახლოებით ნახევარ წელს ატარებდნენ ძირითად საცხოვრისში, ან უშუალოდ მის სიახლოვეს, მაშინ, როდესაც, სამეგრელოში, მომთაბარე მეჯოგები ოჯახში ხვდებოდნენ წელიწადში ორჯერ და სულ რამოდენიმე დღით: მთიდან ბარში და ბარიდან მთაში ნახირის გადარეკვისას.

ცნობილია, რომ ზოგადად საქართველოს ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი წინაპრების მიერ ჩამოყალიბდა მომთაბარე მეცხოველეობის, ასე ვთქვათ მთისა და ბარის კონპერირების, ორიგინალური სქემები, რაც ემყარებოდა ბუნებრივი საძოვრების სეზონურად დატვირთვას. ქართველი გლეხკაცის მაღალ შემოქმედებით აზროვნებასა და კულტურაზე მიუთითებს ის, რომ მთაბარობა უზრუნველყოფდა როგორც ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და ეკოსისტემის სტაბილიზაციას, ასევე საკმაოდ სარფიან ეკონომიკურ საქმიანობასაც, რისთვისაც ღირდა ამ საქმიანობასთან დაკავშირებული საკმაოდ დიდი დისკონტრიტის დასაძლევად „მსხვერპლის გაღება“. საქმე ის არის, რომ ბთაბარობის სხვა სიმძლეებთან ერთად, ის, პრაქტიკულად მთელი წელი მშობლიური კერის სითბოს იყო მოკლებული, „მთაში და ბარშიც განიცდის დიდ გაჭირვებას...“ [25] და, არც ისე იშვიათად, ულმობელი ბუნების, ან კიდევ ავი ზრახვებით მომხვდურებთან ბრძოლის მსხვერპლი ხდებოდა.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა „მედლის მეორე მხარე“: ცნობილია, რომ მთის ზაფხულის საძოვრები განლაგებულია ქვეყნის ნაკლებად დასახლებულ, საზღვრისპირა რაიონებში. ამდენად, მთაში, იალაღებზე ყოფნისას მწყემსი ითავსებდა, ასე ვთქვათ, მსტოვარისა და მაცნეს, საკმაოდ ხშირად კი, ქვეყნის საზღვრის დამცველის ფუნქციასაც.

სწორედ ამიტომ აღიქმება ქართულ ზეპირსიტყვი-ერებაში, ისტორიულ წყაროებსა თუ მხატვრულ ლიტერა-ტურაში, შესაბამისად კი ქართველთა ცნობიერებაშიც, მწყემსი, როგორც ყოველმხრივ შემკული, ვაჟაცური ბუნების, მამაცი და უდრევი პიროვნება, საქმეზე შეყვარე-ბული და მეომარი, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი.

საღმრთო წერილში მეტაფორით „მწყემსი“ იწოდებიან მეფეები და მხედართმთავრები (იურ. 23:1, შმდ.; ეზ. 34:1, შმდ.), ხოლო უმაღლესი მწყემსი არის ღმერთი (დაბ. 49:24; ფსალ. 23). უფალი იესო კეთილი მწყემსია, რომელიც სიცოცხლეს გაიღებს თავისი სამწყსოსთვის (ლუკ. 15:3, შმდ.; იოან. 10:11, შმდ.) [ციტ. 26-ის მიხედვით]. თავის მხრივ, პროფესია მწყემსი/მეჯოგე ნიშნავს თავისი საქმისა და ბუნების კანონების მცოდნე, პატიოსან, ღვთისნიერ, ერთგულ და მშრომელ ადამიანს, რომელიც ბუნებასთან თანაცხოვ-რებაში მხოლოდ საკუთარი გამჭრიახობისა და მარჯვენის იმედადაა დარჩენილი და ყოველივე ამისათვის უფლისგან ძღვენად ებომება სიკეთე.

როგორც აღინიშნა, მეჯოგეობა, მეტად მძიმე, ფათერაკიანი და, იმავდროულად, შემოსავლიანი საქმიანობა იყო. ამასთან, მწყემსი ოჯახის რჩენას ცხოვრების მთავარ მიზნად, ღირსების საქმედ თვლიდა და საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. პრაქტიკულად მთელი წლის მანძილზე ფუძეს მოწყვეტილი, მეჯოგე, როგორც წესი, ოჯახში ხვდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხოველებს მიერეკებოდა მთიდან-ბარში, ან პირუკუ, ან კიდევ, განსაკუთრებულ შემთხვევებში... ასეთ პირობებში, შინასამე-

ურნეო საქმიანობა და ბავშვების აღზრდის მოვალეობა, მთლიანად, მის მეუღლეზე, მშობლებსა და ოჯახში დარჩენილ სხვა წევრებზე, მოზარდებზე გადადიოდა.

ისევე როგორც ყველა ქართველი მამაკაცისთვის, მწყემსისითვისაც არა მარტო საამაყო, არამედ განსაკუთრებულად სასიხარულო იყო ვაჟის შეძენა; ის გვარის გამგრძელებელთან ერთად ვაჟიშვილში ხედავდა თანამდგომს, თანამოსაქმეს, მეჯოგეთა სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებელს. როგორც აღნიშნულია [27], “თითქოსდა უფლის ნებაც ასეთი იყო, როგორც წესი, ბევრი მათგანის ოჯახი არა მარტო მრავალშვილიანი, არამედ ვაჟიშვილების სიმრავლითაც გამოირჩეოდა, რაც თავის მხრივ, ტრადიციის, მეჯოგეობის გაგრძელების იმედს უსახავდა“.

ამ კუთხით არანაკლებ საყურადღებოა სამეგრელოში, განსაკუთრებულად კი შეძლებულ მეჯოგეებში დამკვიდრებული, საყოველთაოდ ცნობილი, პრაქტიკულად სავალდებულოდ ქცეული ტრადიცია: გათხოვებისას ქალიშვილზე ერთი ან რამოდენიმე სული პირუტყვის, უფრო ხშირად ფურის, მზითვად გაყოლება/გატანება [28]. არც ისე იშვიათად, პირველი შვილიშვილის შეძენისას, გათხოვილი ქალიშვილის მშობლები თავს ვალდებულად თვლიდნენ აკვანთან და მის მოწყობილობასთან ერთად ახალშობილი ახალშობილისთვის საჩუქრად მიეცათ მეწველი ფური, - „მოთაშ მარდუალ ჩხუ“³, თავისი ხბოთი.

ასეთ ტრადიციას ახლადშექმნილი კერისთვის ეკონომიკური მხარდაჭერისა და ფუძის გაძლიერების

³ მეგრ. = შვილიშვილის გამზრდელი ფური.

მნიშვნელობა ჰქონდა და, არა მარტო! საქმე ის არის, რომ ამით მეჯოგები ხედავდნენ მეტად მძიმე, მაგრამ საპატიო და სარფიან საქმეში ახალი ადამიანების, დამოყვრებული საგვარეულოების ჩართვის შესაძლებლობას, უკეთეს შემთხვევაში კი მათი თავიანთ თანამდგომებად (მეგრ. „ელმარენჯი“) ქცევის იმედს, მეჯოგეთა ერთობის/სამმოს გაძლიერების წყაროს.

მიუხედავად კომუნისტური სისტემის 70- წლიანი მმართველობის პერიოდისა, ამის ცოცხალი მაგალითია ბატონი ბადრი აბშილავა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სოფელი მუხურიდან, რომლის ბებიას, ლია კვარაცხელიას, წარმოშობით წალენჯიხის რაიონის სოფელი მიქავადან, ოჯახმა სხვა საოჯახო თუ საყოფაცხოვრებო, აგრეთვე ახალშობილისთვის საჭირო ნივთებთან და აკვანთან ერთად მზითევში „გააყოლეს“ მეგრული წითელი ჯიშის ფური „...მოთაშ მარდუალ ჩხუ“; მწყემსობის რთული საქმით დაინტერესებულ მის შვილს, რადიონ აბშილავას, „მეჯოგეთა გიმნაზიის“ კარი შეუღია 6 წლის ასაკში, გაყოლია რა ეგრისის ქედის ზაფხულის სამოვრებზე მოიალაღებს დამხმარედ. პირველი ნათლობა წარმატებული გამომდგარა. საქმის სიყვარულმა 21 წლის ასაკში მას გადააწყვეტინა საკუთარი ფერმის ჩამოყალიბება და წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების წყალობით გამხდარა ერთ-ერთი შეძლებული და საკმაოდ ცნობილი მეჯოგე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში;

გასული საუკუნის 80- იანი წლებში გადაღებულ სურათზე (სურ. 2), გიორგი აბშილავას განმარტებით, აღბეჭდილია მისი ბაბუას, რადიონ აბშილავას საზაფხულო

ბანაკი ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2700 მეტრის სიმაღლეზე, ლებარდესა და ღოლაშ შორის მდებარე მთა ობორიეზე.



სურ. 2. მეჯოგების საზაფხულო ბანაკი ეგრისის ქედზე, დაახლ. XX ს.-ის 80-იანი წლები (სურათი გიორგი აბშილავას საგვარეულო არქივიდან. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი)

როგორც აღინიშნა, დღეს რადიონ აბშილავას შვილი, ბატონი ბადრი, აგრძელებს ოჯახის ტრადიციას და წარმატებით აშენებს მეგრული წითელი ჯიშის ძროხას. ამის ნათელი მაგალითია 2019 წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQL Georgia) ფარგლებში ქ. თბილისში მოწყობილი მეცხოველეობის გამოფენის შედეგები, სადაც მისი ნახირიდან წარმოდგენილმა ფურმა N GE 122/57496, ნომინაციაში „ადგილობრივი ჯიშის ძროხა“ დაიმსახურა საპატიო ჯილდო (სურ. 3).



სურ. 3. აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ დაფინანსური პრგრამის „ინვესტირება უკნებელ და ხარისხიან მესაქონლე-ობაში“ (SQIL Georgia) ფარგლებში მოწყობილ გამოფენაზე ბადრი აბშილავას მიერ წარმოდგენილი მეგრული წითელი ჯიშის ფური დაჯილდოვდა კომპანია „ჯეოფეტი“-ს მიერ მიერ დაწესებული პრიზებით. თბილისი, 2019 წლის 26 ოქტომბერი (გ.გოგოლის ფოტო)

ისტორია ამით არ მთავრდება,...

აი, რა წერილი მიუძღვნა ბაბუას, რადიონ აბშილავას შვილიშვილმა, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა გიორგიმ ((სურ. 4)).

„.... მადლობა, რომ სახლში დამაბრუნე, დღეს ის დღეა 2 წლის წინ, შენი "რაში კოჩი" მუხლებზე დაჩოქილი რო ბლაოდა, მაგრამ არ ვგვლოვობ პირიქით ერთად განვაგრძობთ ცხოვრებას, პირობა შევასრულე 13 წლის შემდეგ, რადგან შეგპირდი, რომ შენ სახლს ნასახლარად არასდროს ვაქცევდი და მას ხავსი ვერასდროს მოიცავდა, 1 თვეც არაა რაც გადმოვბარგდი, ყოველ დღე ვმატებ ახალ სისცოხლეს ჩევენს ოდაბადეს და ამას ყველა ამჩნევს. ყველა მწერლის, პოეტის თუ მთხოვბელის კალმით ნაჩხაპნ ზღაპ-



სურ. 4. გიორგი აბშილავა ხობის მუნიციპალიტეტის სოფ.
უჩაღალის/ზავდელეს ზამთრის საძოვრებზე (წყარო: საზოგადოებრივი
მაუწყებლის გადაცემა „ფერმა“)

რებს შენი მოყოლილი, ამბები მერჩივნა, ისტორია: „ჭარქუზე“, „სამმფეხა ჯანდარზე“, როგორ დადგი ღმერთების სახლი ეგრისის ქედზე და გაკვალე ღოლაშის გზები!!! უბრალოთავმდაბალ სხეულში მცხოვრებმა ფილოსოფოსმა, გენიოსმა ჩემთვის. ვერ ვიშორებთ ფერმასაც კი რადგან შენ გიკავშირდება, სადარაჯოზე ვდაგავარ და არ მინდა ის დავგარგო, რაც შენ გიკავშირდება, რაც მოგვეცი და გააკეთე ჩვენთვის; მადლობა ასეთად რომ ამღზარდე, ამდენი

პასუხისმგებლობაც რომ დამაკისრე. არასდროს შემშინებია ბრძოლის, ყველაზე კარგის დაკარგვისაც კი, თუ ეს ჩემ ღირებულებას გვერდზე გაწევდა. დავთმე კარგი ახალგაზრდული რითმით სავსე ცხოვრება და განვაგრძობ ცხოვრებას ახალი ეტაპით, გამოწვევებით შენი ხელით აგებულ სახლში“.

აქ მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: „კვიცი გვარზე ხტისო!“

რაოდენ ძლიერი და დომინანტია „მეჯოგეთა გენუზია“!!!

მეჯოგის ოჯახიდან ქალიშვილის გათხოვებისას მზითევში „...მოთაშ მარდუალ ჩხუს“ გაყოლებასთან დაკავშირებით მსგავსი ისტორია მოვისმინეთ ლეჩხუმელი ლევან მურცხალაძესგან, რომელიც ცხოვრობს ცაგერის მუნიციპალიტეტში. მას შეუძენია ხარი, რომელიც არის ამ კუთხეში სამეგრელოდან გამოთხოვილი ქალბატონის მიერ მზითვად მოყვანილი ფურის შთამომავალი. გარეგნული ნიშნებით ეს ცხოველი საკმაოდ ახლოსაა მეგრულ წითელ ჯიშთან (სურ. 5).

მომთაბარე მეჯოგეების კიდევ ერთი, დარსალიების შტოს ისტორია მიამბო გურამ დარსალიამ, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტიდან, პროფესიით ზოოტექნიკოსმა⁴.

„...ბაბუაჩემი, ჩათა დარსალია და მისი 6 ძმიდან ხუთნი ყოფილან მეჯოგეები. იმის გამო, რომ კოლხეთის ჭარბტენიან საძოვრებზე პირუტყვი მასობრივად ავადდებოდა ღვიძლის პეპელათი და ზარალი დიდი ყოფილა, დარსალიებს XIX

⁴ ჩანაწერი გაკეთდა 20.05.2020 წელს.

საუკუნის 80- იან წლებში, ეს ადგილები მიუტოვებიათ და გადასულან იმერეთში. აქ მათ იჯარით აუღიათ თავად როსტომ წერეთლის კუთვნილი მიწები. საძოვრების გამოყენების პირობების შესათანხმებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად, ჩათა დარსალია შეხვედრია აკაკი წერეთელს.



სურ. 5. სავარაუდოდ, მეგრული წითელი ჯიშის ნაჯვარი მოზვერი. რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის მხარე, ცაგერის მუნიციპალიტეტი (წყარო: facebook, levan bidza)

საზაფ-

ხულო საძოვრები მათ იჯარით აუღიათ დღევანდელი საჩხერის მუნიციპალიტეტის მდინარე.

მელეშურის და სოფლების ბაჯისხევის,

პეპელეთის და სხვ., აგრეთვე დღევანდელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ხანის მიმდებარე მთა სამეცხვაროს და მელრუკის ხეობის მიდამოები, ზამთარში კი ისინი ბანაკდებოდნენ დღევანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. აჯამეთის მიმდებარე საძოვრებზე.

თავადი წერეთლის ოჯახისა და მეჯოგეების ურთიერთობის ერთ-ერთი ეპიზოდი მომისმენია მამაჩემისგან დაახლოებით 1985 თუ 1986 წელს, ყვება გ. დარსალია: ჩვენთან, მეცხვარეობის ფერმაში დაბადებულა მამალი ბატკანი, რომელსაც ჰქონია 4 რქა; მათგან ერთი წყვილი მიმართული ყოფილა თავის წინა მხარეს, მეორე წყვილი კი

უკან. წამოზრდილი ერკემალი ბაბუას საჩუქრად მიურ-თმევია აკაკი წერეთლისთვის, რომელსაც ძალიან მოსწონე-ბია და ის სავანეთის ეზოს სიამაყედ ითვლებოდაო.

იმ პერიოდში, როდესაც კვარაცხელიები წითელი ფერის ძროხას ამრავლებდნენ, ჩათა დარსალია ძმებთან ერთად უპირატესობას შავი ფერის ცხოველებს აძლევდნენ. ამის მიზეზი კი ყოფილა პროდუქციის ძირითადი მომხმა-რებლების მოთხოვნილება: „თურქები შავი ფერის ძროხის ხორცს, ხოლო ადგილობრივად მოსახლე ებრაელები, ასეთივე ფერის ძროხის რძისგან დამზადებულ ყველს აძლევდნენ უპირატესობას“-ო.

შავი ფერის ცხოველების გასამრავლებლად ჩათა გადასულა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყაბარდოში და იქიდან გადმოუყვანია 3 სული კურო, რომელსაც დასაბამი მიუცია ძმები დარსალიების შავი ფერის ნახირებისთვის. რამოდე-ნიმე წლის შემდეგ, მათი ჯოგი მთლიანად შავი ფერის ცხოველებით ყოფილა წარმოდგენილი, რამდენადაც ამ ბუღებიდან დაბადებული ყველა ხბო შავი ფერის ყოფილა⁵.

მამა, მახო დარსალია, ბაბუასავით მეჯოგე კაცი იყო. ის, მე და ჩემ ძმას გვიყვებოდა, რომ იმერეთის მთის საძოვრები საკმაოდ მოსავლიანი, ყუათიანი ბალახეულით ყოფილა დაფარული, რაც ხელს უწყობდა მოზარდეულის სწრაფად განვითარებას. საზაფხულო საძოვრის ცენტში

⁵ დღეს სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ შავი ფერის განმსაზღვრელი გენი (სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება „E“ სიმბოლოთი) დომინანტურია ძროხის ყველა სხვა ფერის განმსაზღვრელ გენების მიმართ, რითაც აიხსნება პირველ თაობაში ყველა ხბოს ბალნის საფარის შავი პიგმენტაცია.

მრავლად ყოფილა სამყურა (*Trifolium*) და მარმუჭი (*Alchemilla alpina*), აგრეთვე, თითქმის ყველგან ხარობდა მცენარეების: შექერის (*Rhododendron ponticum*), წყავის (*Prunus laurocerasus*) და ძმერხლის (ზორმეხის; *Ruscus hypophyllum*) ბუჩქნარი. მამა გვიყვებოდა, რომ, თუ ამ მცენარეების ფოთლებს და ნაყოფს შეჭამდა პირუტყვი, ის არ ავადდებოდა ღვიძლის პეპელათი და სხვამხრივადაც ჯანმრთელად არისო.

კვარაცხელიების მსგავსად ჩათა დარსალია და მისი ძმები მერძეული ფურიდან დაბადებულ, გარეგნულად საუკეთესო სახარეებს ზრდიდნენ თავისუფალი (მიშვებით) წოვებით, დანარჩენ სახარე მოზარდს კი ყიდდნენ. კურაკს (ახალგაზრდა კუროს) ფურების გასანაყოფიერებლად უშვებდნენ 2 წლის ასაკიდან, როდესაც მისი ცოცხალი წონა 330–350 კგ და მეტი იყო. კურო-მწარმოებელს ნახირში მხოლოდ 3 წელი აჩერებდნენ, შემდეგ კი ჩაანაცვლებდნენ ახლით, ან სხვა მეჯოგეებს უცვლიდნენ. მოზვრებისა და დეკეულების ცოცხალი წონა 1 წლის ასაკში დაახლოებით 200 კგ–ს აღწევდა.

ჩათას და მის ძმებს სულ ჰყოლიათ 800 სულამდე სხვადასხვა სქესისა და ასაკის ძროხა, 2 ათას სულამდე თხა და 300 სულამდე შავი ფერის ცხვარი. კოლექტივიზაციის წლებში ჩათა გაუკულაკებიათ, ჩამოურთმევიათ მთელი პირუტყვი, მისი შვილი 24 წლის მახო კი 1930 წელს 8 წლით გადაუსახლებიათ მურმანსკის მიდამოებში. დაბრუნების შემდეგ ის დაოჯახებულა, გამხდარა კოლმეურნეობის წევრი და დაუწყია მუშაობა ფერმაში (ეწეოდა მთაბარობას); მაგრამ,

როგორც გ. დარსალია მოგვითხრობს, მას მაშინდელი სამეურნეო და პარტიული მუშაკები არ ენდობოდნენ...“.

ოჯახის ტრადიციების გამგრძელებლად მოგვევლინენ ჩათას შვილიშვილები, მახოს ორი ვაჟიშვილი, რომლებმაც დაამთავრეს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი და მთელი ცხოვრება მუშაობენ ცხოველთა სელექციის სფეროში.

1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე წლებიდან საზოგადოებრივი მეურნეობების ძირითადი საშუალებებისა და უძრავ-მოძრავი ქონების პრივატიზაციის შემდეგ, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების პარალელურად მომთაბარე მეჯოგეთა ტრადიციების დიდი ნაწილი აღდგა.

ისტორიულად ცნობილია, რომ სამეგრელოს სოფლებში, თითქმის ყველა კომლს ჰყავდა ერთი, ან ორი სახეობის ორინჯი, რაც ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის მაჩვენებელიც იყო. მ. კვირტიას [29] განმარტებით, ტერმინი „ორინჯი“-ს ქვეშ იგულისხმება ყველა პროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო ცხოველი, რომელთაც ზოგად სახელად სამეგრელოში „ფოლოგოჩხვათილს“⁶ უწოდებენ, (ზოოლოგიური კლასიფიკაციით „წყვილჩლიქიანს“).

ამასთან, მომთაბარე მეცხოველეობის ძირითადი მიმართულება, მეძროხეობა უფრო ორგანიზებული ფორმით გვხვდებოდა დღევანდელი წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს და მარტვილის მუნიციპალიტეტების, აგრეთვე სამურზაყანოში, დღეს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპი-

⁶ მეგრ. = გაყოფილჩლიქიანი.

რებულ, აფხაზეთის ა.რ.-ის გალის რაიონის მთისწინა სოფლებში.

ორგანიზებული მეცხოველეობის მიმდევრები ნაკლებად გვხვდებოდა აბაშის ქვედა ზონის, სენაკისა და ხობის რაიონების სოფლებში; რაც შეეხება ამ ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, მდინარეების ცხენისწყლის, რიონისა და ხობისწყლის ქვედა დინების მიმდებარე, სოფლებიდან მოშორებულ და ხვნა-თესვისთვის უვარეს დაჭაობებულ ფართობებს, როგორც წესი, ზამთრის საძოვრებად იყენებდნენ მომთაბარე მეჯოგეები („მეორინ-ჯეები“), მთიდან ბარში დაბრუნების შემდეგ.

ძროხის მომშენებელი ცნობილ მეჯოგეთა პლეადა წარმოდგენილი იყო შემდეგი გვარებით: ფიფია (სოფ. ჩქვალერი, მუხური), სხულუხია, ცაავა, ბჟალავა, ნაჭყებია, კალანდია (სოფ. სალხინო, დიდი ჭყონი, კურზუ), არქანია (სოფ. მუჟავა), ჯოჯუა, პაპავა, თოლორდავა, გაბელია, კვარაცხელია და სხვები...

მათგან გამორჩეული ადგილი უკავია კვარაცხელიების გვარს, რომელთაგან ერთ-ერთ წარმომადგენელ, ძიკი კვარაცხელიასთან დაკავშირებით, აქ უპრიანი იქნება მოვიტანო ქართველი მწერალის, პოეტისა და დრამატურგის, საქართველოს სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატის, თამაზ ჭილაძის მიერ ქ. ზუგდიდში წარმოთქმული სიტყვის ერთი მონაკვეთი:

„.....დღევანდელ დღეს, როცა თითქმის მთელი მსოფლიო მატერიალურ კრიზისს უჩივის, როცა ცივივლიზაცია ბუნებას სიქალწულესთან ერთად, ჩვენი დაპურების უნარსაც ართმევს, იქნებ გაგვეხსენებინა

ლუგენდარული ძიკი კვარაცხელია, მისი ჯოგი, მის მიერ გამოყვანილი საქონლის უნიკალური ჯიში, რაც ღრმად ვარ დარწმუნებული, შვეიცარიასაც კი შეშურდებოდა. “[30].

მიგვაჩნია, რომ აյ უადგილო არ იქნება გაკეთდეს ასეთი შედარებაც:

ძმები კვარაცხელიების მიღწევა შეშურდებოდათ ცნობილ ბრიტანელ პრაქტიკოს მეცნოველუებსაც, რომელთა სახელულით საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე XIX საუკუნის შუა წლებს ეწოდა „ევროპის მეცნოველუობის ოქროს ხანა“ და რომელთა მეთოდები, ისე, რომ მათზე არავითარი ინფორმაცია არ ჰქონიათ, წარმატებით გამოიყენეს ძროხის მეგრული წითელი ჯიშის გამოყვანისას.

გადმოცემით, კვარაცხელიების უძველესი წინაპარი წალენჯიხის ლაკადისპირა სოფლებში- ჯგალსა და ნაკიფუში დასახლებულა [31]. ამჟამად ამ გვარის ადამიანები მრავლადაა: ოდიშ-სამურზაყანოში, იმერეთსა და გურიაში, განსაკუთრებით კი: წალენჯიხის, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და ხობის რაიონებში. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, კვარაცხელიათა საგვარეულო ითვლის 13600- ზე მეტ ადამიანს; სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ეს გვარი, რაოდენობით პირველია, ხოლო საქართველოში მეექვსე: ბერიმეების, კაპანაძეების, გელაშვილიების, მაისურაძეების და გიორგაძეების შემდეგ.

უძველესი დროიდან ამ გვარის მამაკაცების ერთ-ერთ ძირითადი საქმიანობა მეჯოგეობა ყოფილა. ხაზგასმულია [27], რომ მხოლოდ ისეთ „უშიშარ, მამაც და ნათელი გონების

ადამიანებს“, როგორიც იყვნენ კვარაცხელიები, შეეძლოთ წარმატებით გაძლიერდნენ მეტად შრომატევად და რთულ საქმიანობას, მომთაბარე მეჯოგეობას.

ამ მხრივ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის მეცხოველეობის ისტორიაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვეს და ღირებული ფურცელი ჩაწერეს მე-18 საუკუნეში, დღ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯგალში მცხოვრები კურუ კვარაცხელიას მოდგმამ, ძიკი, ალექსი, მერაბი, ერასტო, დათა, მიხა და ბეგი კვარაცხელიებმა.

დ. კვარაცხელია [32] ჩამოთვლილებისგან გამოყოფს ძიკის და ამ პიროვნებას ახასიათებს როგორც „...ყველაზე გამორჩეული და მეტად არაორდინალური...“-ს, რომელიც ხასიათით საკმაოდ მკაცრი და პირქუში ყოფილა; ავტორი აღწერს, რომ „...გარეგნულად არაფრით გამოიჩეოდა თანა-ტოლი გლეხებისგან...“; იმავდროულად, თანამედროვეები და მემკვიდრეები ხაზს უსვამენ მის განსაკუთრებულ პირდაპირობას: „....მორიდება, მოკრძალება მისთვის უცხო რამ იყო, სათქმელს პირში ეტყოდა ვინც არ უნდა ყოფილიყო, თვით ბავშვის მოფერება-ალერსშიც არ ავლენდა ბუნებრივად მასში დაბუდებულ სითბოსა და სიყვარულს.....“;

ძიკი კვარაცხელიას ხასიათთან დაკავშირებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაძლოა ასეთი ბუნება „მეჯოგის მძიმე ცხოვრებიდან მოდიოდაო“ და იმავდრო-ულად აღნიშნავენ, „...ის ბავშვობიდან მთა-ბართან შეზრდი-ლი სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, ბუნების დიდი მოტრფიალე...“ ყოფილა; „ხე რომ ხეა, მისი მოჭრაც ენანებოდა“ თურმე, აგრეთვე „...მზად იყო სამშობლოსათვის თავის გასაწირად...“: მეორე მსოფლიო ომის წლებში, უკვე

ღრმად მოხუცი იტყოდაო: „...ნეტავ ღონე მერჩოდეს, მეც ჩემს ვაჟებთან ერთად ვიომებდიო მტრის წინააღმდეგ...“[31].

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნე, კრიტიკოსი და მწერალი, პროფესორი აკაკი ბაქრაძე მეჯოგე ძივი კვარაცხელიას ახასიათებს როგორც „...მუხლმაგარ, შრომისმოყვარე და გონიერ...“ ქართველ კაცს, სულიერად ძლიერ პიროვნებას. ამ თვისებების წყალობით, მას შეეძლო რუსეთის იმპერიის მეფესათვის მეფური საჩუქრის მირთმევა: საყოველთაოდ ცნობილია ისტორია, რომლის თანახმად პირველ მსოფლიო ომის წლებში, ძივიმ თავისი ჯოგიდან ერთი ფერის, ერთი ასაკის, ერთნაირად სანთლისფერი რქებისა და ჰარმონიული აგებულების 100 სული ხარი უსასყიდლოდ გაუგზავნა რუსეთის იმპერიის ხელმწიფეს ჯარის გამოსაკვებად. სხვა ვერსიით, ძივი კვარაცხელიამ რუსეთის იმპერიის ხელმწიფეს გაუგზავნა მუშა ხარები, ქვემეხების, საარტილერიო ჭურვების და ჯარის მატერიალური მომარაგების სხვა ტვირთის გადასატანად. თვის მხრივ, მადლობის, მოწყალებისა და მფარველობის ნიშნად, იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს ბრძანებით, მას პირუტყვის საკვებით დატვირთული მთელი ეშალონი მიუღია საჩუქრად [33].

ძივისთან ერთად, წლების მანძილზე, მის მხარდამხარ საქმიანობდნენ უმცროსი ძმები: ერასტი და დათა; ამდენად, სამივე მათგანის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ პრაქტიკული გამოცდილებისა და დაკვირვებების საფუძველზე, აგრეთვე ბუნებით ბოძებული სელექციონერის ალღოზე დაყრდნობითა და რამოდენიმე ათეული წლის დაუღალავი შრომით, შესძლეს მამისგან მემკვიდრეობით

მიღებული რამდენიმე სული, ჩვეულებრივი, ქართული მთის ძროხის მეგრული ჯილაგის არაერთგვაროვანი, დაბალპროდუქტიული „სოფლის პირუტყვისგან“ გამოეყვანათ დიდტანინი, საკმაოდ კარგად მეწველი და ფიზიკურად ძლიერი, მუშაობის უნარით გამორჩეული პირუტყვი, რასაც იმ დროისთვის არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა [34].

ი. მეუნარგიას [35], და დ. ნოსოვიჩის [36] მონაცემებით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სამეგრელოში, საშუალო მეჯოგების უმეტესობას ჰყოლიათ 50-80 სული სხვადასხვა ასაკის ძროხა (მათ შორის 30-32 სული მეწველი ფური), ხოლო შეძლებულებს 400-500 (300 სულამდე ფური, 80- მდე ხბო, 50-60 კურო-მწარმოებელი და ხარი); ამასთან ერთად, ცნობილია, რომ ცალკული მეჯოგების ნახირი ითვლიდა 1000-3000 სულამდე ძროხას [37].

იმ მეჯოგისთვის, რომელსაც მცირე რაოდენობით ჰყავდა ცხოველები, მოუხერხებელი იყო დამოუკიდებლად მთაბარობა. ამის გამო მთაში გადარეკვამდე ის უამხანაგდებოდა ერთ, ან რამოდენიმე მეჯოგეს (მეგრ. „ალმარენჯობა“) და ზაფხულის საძოვრებზე ისინი ცხოველებს გადარეკავდნენ ერთად; ბარში დაბრუნების წინ მეჯოგები კვლავ იყოფოდნენ და ზამთრის საძოვრებზე თავიანთ ნახირს ინახავდნენ ცალ-ცალკე, საკუთარ, ან იჯარით აღებულ საძოვარზე. აქ, საყურადღებოა ის, რომ ნახირის ორგანიზაციის აღწერილი სქემა, კოლხეთის საძოვრებზე მოზამთრე მეჯოგებში, როგორც წესი, დღემდე არის შემორჩენილი.

ვ. შამილაძე [38] აღნიშნავს, რომ მომთაბარე მეგრელ მეჯოგეებს ძირითადად ჰყავდათ მსხვილფეხა პირუტყვი, ცალკეულ შემთხვევაში კი, ძროხასთან ერთად ამთაბარებდნენ წვრილფეხა პირუტყვს, ძირითადად თხას. რაც შეეხება ცხვარს, ზამთარში, კოლხეთის ჭარბტენიან საძოვრებზე მისი შენახვა მეტად ძნელი იყო, ხშირად კი სხვადასხვა დაავადებებით მასობრივად იხოცებოდა.

საყოველთაოდ ცნობილია მეგრელების განსაკუთრებული დამოკიდებულება ცხენისა და ცხენოსნობისადმი. ამ მხრივ, არც მეჯოგეები არიან გამონაკლისი. მათ, ძროხასთან ერთად, ჯოგში მრავლად ჰყავდათ ცხენები, რომლებიც გამოიყენებოდა საჯდომად და საპალნეს სახით სხვადასხვა ტვირთის, მ.შ. სურსათის, რმის გადასამუშავებელი ინვენტარის, ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და სხვ. გადასატანად, აგრეთვე, პერიოდულად, მთიდან-ბარში ყველის ჩამოსატანად. მეჯოგეები ცხენს, არც თუ ისე იშვიათად, იყენებდნენ დღესასწაულებზე გამართულ სპორტულ თამაშებსა თუ მარულაში. ნ. კვაჭანტირაძე [39] წერს, რომ უკვე საუკუნეზე მეტია ფერიცვალების დღესასწაულზე, 19 აგვისტოს, ბახმაროში, ერთმანეთს ეჯიბრებიან და ცხენების სიმარდე-გამძლეობას ჯირითში ცდიან საიალაღოდ ამოსული გურული, აჭარელი, მეგრელი და იმერელი მეჯოგეები.

მომთაბარე მეჯოგეთა მუდმივი თანამგზავრია ძაღლი; აღმოსავლეთ საქართველოს მეცხვარე ძაღლისგან განსხვავებით, მეჯოგეების ძაღლი, როგორც წესი, დღისით იშვიათად მიჰყვება ნახირს საძოვარზე, უმეტესად რჩებოდა ძირითად



სურ. 6. საქართველოს ალპებში ცხენი ერთადერთი სატრანსპორტო
საშუალებაა (წყარო: facebook: Toba travel და გ. ამილაგა)

ბანაკში „კარავის დარაჯად“⁷, ხოლო მტაცებლებისგან ნახირის დამცველის ფუნქციას ასრულებდა დაბინდებიდან-დილამდე.

უეჭველია, რომ წარმატებული სელექციის საბოლოო შედეგის, გამძლეობით გამორჩეული, მაგარი კონსტიტუციის, სასურველი, ერთგვაროვანი წითელი ფერისა და ექსტერიერული ტიპის ცხოველების გამოყვანა შეუძლებელი იქნებოდა ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე მიღებული უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების, ბუნების კანონების ზედმიწევნით ცოდნის, ცოცხალი ორგანიზმისა და გარემოს როგორც ერთიან მთლიან სისტემად შეცნობისა და აღიარების გარეშე. როგორც აღნიშნავენ, მეჯოგები ყველგან და ყველაფერში იცავდნენ პირუტყვისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთობის წესს და ცდილობდნენ არ დაერღვიათ ის.

მეტად საინტერესოა მეჯოგისა და ცხოველის ურთიერთობის ფილოსოფიური მხარეც. საქმე ის არის, რომ ზოგადად მეჯოგე, ძროხას და ნებისმიერ სხვა პირუტყვს არ უყურებდა როგორც მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის მომცემ სულდგმულს. მის წარმოსახვაში ცხოველი არა მარტო მარჩენალია, არამედ ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების შემადგენელი, თანამგზავრი, მეგობარი, ფიქრებისა და განსჯის საგანია, შრომის დამფასებელი და არსებობისთვის უმთავრესი არსებაა [33]. იმავდროულად მეჯოგე-ები და, ზოგადად, სამეგრელოს მოსახლეობა, ცხოველს უდიდეს საკულტო მნიშვნელობასაც ანიჭებდა [16].

⁷ მეგრ. კარეშ ჯოლორი.

ცნობილია, რომ საქმიანობის პირველ წლებში ის მეჯოგეები, რომლებიც პირუტყვს აზამთრებდნენ მდ. რიონის მარცხენა სანაპიროსა და პალიასტომის ტბის მიმდებარე სავარგულებზე, ზაფხულობით სარგებლობდნენ გურიის, აგრეთვე ოსმალობისგან განთავისუფლებული სამცხე-აჭარის ზაფხულის საძოვრებით; სხვა მონაცემებით [40] კვარაცხელიებს თავიანთი მრავალათასიანი ჯოგების-თვის ზაფხულის საძოვრები იჯარით ჰქონდათ აღებული გურიაში, ბახმაროს მიდამოებში, თავადების გურიელისა და მაჭუტაძისაგან. ეს შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ გურიის მაცხოვრებლებს არ ჰყავდათ ბევრი პირუტყვი და ზაფხულობით აქ, უმეტესად, აძოვებდნენ სამეგრელოს ბარიდან ამოყვანილ მსხვილფეხა პირუტყვს [36, 41].

ქართველი მწერალი, მოგზაური და ეთნოგრაფი თედო სახოვაი [25] საკმაოდ მახვილგონივრულად მიუთითებს, რომ მე- 19 საუკუნის დასაწყისში „ბახმარო მეგრელმა მწყემსებმა აღმოაჩინეს“; ისინი აქ იალაღებზე პირუტყვს აძოვებდნენ გაზაფხულ-ზაფხულობით და საცხოვრებლად დროებით კარვებს იყენებდნენო; ხოლო კითხვაზე, სად გურია და სად მეგრელი მწყემსები, თავადვე განმარტავს „... საქმე ის გახლავთ, რომ გურულს მწყემსობა სათაკილო ხელობად მიაჩნია, მეჯოგეობა გურულის აზრით საუგო ხელობაა. ასე და ამგვარად მწყემსობა აქაურ მთებზედ მეგრელების მონოპოლია გამხდარა“.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ცნობა: დღესაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელესთან გორაკს შემორჩენილი აქვს სახელი „კვარაცხელის გორა“, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გომთან

ერთ-ერთ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს „კვარაცხელიების ნაკარვალი“ [42]

მ. ბუკიას [43] მონაცემებით მთავარ კავკასიონზე მეგრული მწყემსების საზაფხულო (სააფუნო) საძოვრები იწყებოდა სამეგრელოს ტერიტორიიდან და გრძელდებოდა აფხაზეთ-სვანეთს ქედზე ყარაჩაიმდე. ეგრისის მთების ასხის მასივის საძოვრებით სარგებლობდნენ აგრეთვე მდინარეების: ტეხურას, ჭანისწყალისა და ხობის მიმდებარე სოფლებში მოზამთრე მეჯოგები; რ. თოფჩიშვილი [44] კი მიუთითებს, რომ ჯოგი არა მარტო სამეგრელოსა და გურიის მთებში, არამედ რაჭაში და იმერეთშიც (ბალდათი, ვანი) გაყავდათ. ანალოგიურზეა საუბარი წალენჯიხის რაიონის სოფლების ფახულანის, მუჟავას, ჯგალის, კურზუს, ტალერის სხვა მეჯოგებთან მიმართებაში, რომლებიც სულადობის მომრავლების გამო სარგებლობდნენ მთავარი კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული კოდორის, სვანეთის, ეგრისისა და რაჭა-ლეჩხუმის ქედების (კვირა, გვანდრა, ურაში, დვირა, კემლაკესარი, ოცალუე, ოთხჯიმაქუა, ნაკეცუ, წიფონა, ჩლვინდღულა, ლებარდე და სხვ.) საძოვრებით [45]

რაც შეეხება ზამთრის საძოვრებს, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დღევანდელი წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების მეჯოგები, სარგებლობდნენ მდინარეების ხობის, ენგურის და რიონის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე (ხორგა, ქარიატა, ყულევი, ჭურია, ჭალადიდი, საგვიჩიო, ერგეტა, ანაკლია და სხვ.), აგრეთვე გალისა და ოჩამჩირეს რაიონების ზღვის სანაპირო ზოლის სოფლების (სიდა, ოხურეი, ცხირი, რეფი


და სხვ.) მიმდებარე საძოვრებით, ზაფხულში კი ცხოველებს მიერეკებოდნენ მთაში, იჯარით აღებულ სახაზინო და/ან მემამულეების: ჩიქოვანის, დადიანის და სხვ. კუთვნილ საძოვრებზე [46].

თავის მხრივ, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე, სენა-კისა და ხობის რაიონების სოფლების, აგრეთვე პალიასტომის ტბის და მდინარეების: ფიჩორისა და კაპარჭინის მიმდებარე ფართობებზე მოზამთრე მეჯოგების ერთი ნაწილი გაზაფხულზე ნახირს მიერეკებოდა გურია-აჭარის, მეორე კი იმერეთის სამხრეთის, დღ. ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მთებში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, მეცხოველეობის მიმართულებით სოფლის მეურნეობის დოქტორ ნ.ცინცაძესთან საუბრისას გავარკვიეთ, რომ ადრუული პერიოდისგან განსხვავებით, გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სოფ. ზემო აკეთის მეგრული წითელი ჯიშის სანაშენე ფერმის სულადობა იალაღებზე და პირუკუ გადაჰყავდათ ავტოტრანსპორტით; მარშრუტი გადიოდა მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზაზე, გაივლიდა ვანს, ბაღდათს, ადიოდა საირმეში და გადადიოდა ზეკარის უღელტეხილზე; აქ, მოწყობილი იყო სპეციალური ესტაკადა (ტრაპი), რომლის დახმარებით ცხოველებს ჩამოსვამდნენ ავტომანქანებიდან და მიერეკებოდნენ ურემა და წითელი მთის (წითელი კლდის) მიმართულებით და ბანაკდებოდნენ მათ მიმდებარე საძოვრებზე. ამ მარშრუტის მეორე მიმართულება იყო საირმედან მარცხნივ, შუა გორას მიმდებარე საძოვრები, რომელსაც იყენებდნენ სხვა

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

კოლმეურნეობები (სურ. 7). მისივე ნაამბობიდან გავარკვიეთ, რომ სატვირთო ავტომობილით ამ გზის გასავლელად და დასაბანაკებლად საკმარისი იყო 3 დღე, მაშინ როდესაც გადარევისას ნახირი გზაში იმყოფებოდა 12-15 დღე-ლამე. რაც შეეხება მომთაბარე მეჯოგების მეორე მარშრუტს, ის გადიოდა ჩოხატაურის რაიონზე, სადაც ასკანა-ხიდისთავისა და ნაბეღლავის გავლით კოლმეურნეობის პირუტყვი აჰყავდათ ბახმაროს მთებში გურია-აჭარის საზღვრამდე, გომისმთის მიდამოებამდე.



სურ. 7. მდ. რიონის მარცხნა სანაპიროზე და პალიასტომის ტბის მიმდებარედ მოზამთრე მეჯოგების მსხვილფეხა პირუტყვის მთაბარობის მარშრუტი

ვეტერინარი ექიმის, მ. მგელაძეს ნაამბობის თანახმად, მას ბავშვობაში, ხულოს რაიონის სოფ. აგარაში მცხოვრები უხუცესებისგან მოუსმენია ისტორია, რომლის თანახმად,

შემოდგომაზე, ბარში დაბრუნების წინ, ბახმაროს და გომისმთის მიდამოებში მოიალაღე მეგრელი მეჯოგეები



სურ. 8. მთიანი აჭარა. მარხილში შებმული მეგრული წითელი ჯიშის ხარები. (სურათი მომაწოდა ვეტერინარმა ექიმმა მ.მგელაძემ, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. აგარადან)

გადმოდიოდნენ
დღევანდელი ხუ-
ლოს მუნიციპა-
ლიტეტის ტერი-
ტორიაზე, ე.წ.
„სავაჭრო“- ს
მიდამოებში, სა-
დაც აჭარელ
მწყემსებზე და
ბარიდან ამოსულ
ადგილობრივ მო-
სახლეობაზე ყი-
დიდნენ, ან მათ-
თვის საჭირო

საქონელზე ცვლიდნენ ცოცხალ პირუტყვს, აგრეთვე ყველს და რძის სხვა პროდუქტებს.



სურ. 9. მეგრული წითელი ჯიშის მროხა აჭარის მთიანეთში (ხულოს მუნიციპალიტეტი, მუხამედ მგელაძის ფოტო, 2018 წ.).

მაღალი ალბათობით, ადგილობრივ მოსახლეობაზე ცხოველებს ყიდიდნენ იმერეთის სამხრეთ რაიონების მთების საძოვრებით მოსარგებლე მეჯოგეებიც, რამაც განაპირობა საქართველოს ამ ორ მხარეში, მთიანი აჭარისა და იმერეთის: ვანისა ბაღდათისა და ხორაგაულის მუნიციპალიტეტებში, მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვის გავრცელება (სურ. 35 და 40, გვ.166 და 187, შესაბამისად).

აქ, ასევე, უნდა ითქვას, რომ მეგრული წითელი ჯიში გავრცელდა დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც, რაც ცხოველების დიდ ტანთან, კარგ სამუშაო თვისებებთან და მაღალ მონაწილეობაში ერთად განაპირობა იმ დროს მოსახლეობაში დამკვიდრებულმა, ერთგვარმა „მოდამ“: ყველა ოჯახი თავის პატივად და ღირსებად თვლიდა წითელი ფერის ერთი ფურის მაინც, ან წყვილი მუშა ხარის ყოლას.

ბარიდან მთაში და პირუკუ ცხოველების გადასარეკად, ყოველ კონკრეტულ მიმართულებაზე მეჯოგეებს შერჩეული ჰქონდათ გადასარეკი მარშრუტი, გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, გზაში დასასვენებელი და ღამისთვის ადგილები (მეგრ. ბარგა);

ვ. შამილაძის [38] მონაცემებით, XX საუკუნის ოციან წლებამდე მარშრუტი გადიოდა როგორც სახაზინო მიწებზე, ასევე მემამულეთა ფართობებსა და სოფლისპირა გასადევრებზე, რის გამო მეჯოგეებს გარკვეული პრობლემები ექმნებოდათ; საქმე ის არის, რომ, ერთის მხრივ, მოსახლეობის ზრდასთან ერთად მცირდებოდა „თავისუფალი ფართობები“, მეორეს მხრივ კი მეჯოგეობა სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებდა და ცხოველთა გაზრდილი

რაოდენობის შენახვა შეზღუდული საძოვრების პირობებში გაძნელებული იყო. იმ პერიოდში ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება იყო მეტად მნიშვნელოვანი, ვინაიდან ძროხის საკვებით დაკმაყოფილების ერთადერთი წყაროს ზამთრისა და ზაფხულის საძოვრები წარმოადგენდა.

მომთაბარე მეჯოგეობასთან არის დაკავშირებული მსხვილფეხა პირუტყვის მეპატრონეთა ტერიტორიულ-მეზობლური ნებაყოფლობითი გაერთიანება „ოკათური“⁸. ეს იყო 8-10 მეჯოგისგან შემდგარი ჯგუფის შრომის ორგანიზაციის ერთგვარი ფორმა და „...გულისხმობდა ძირითადი დასახლებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი საქონლის ჯოგისა და მომვლელი პერსონალის მუდმივ მოძრაობას... დასავლეთ საქართველოს ბარის ზამთრის საძოვრებიდან მთავარი და მცირე კავკასიონის საზაფხულო საძოვრებისაკენ“ [46].

ოკათურის საწყისი ფორმა ემყარებოდა დაახლოებით ერთნაირი რაოდენობით ცხოველების მყოლე მეჯოგეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. გამორიცხული იყო რომელიმე მონაწილესთვის პრივილეგიის მინიჭება და, ასევე, დაქირავებულ შრომა; მასში, როგორც წესი, ერთიანდებოდნენ ერთი გვარის წარმომადგენლები, ნათესავები, ან კიდევ ერთი და იმავე სოფლის მცხოვრები მეჯოგები, რომლებიც, ასაკისა და სამეურნეო გამოცდილების გათვალისწინებით ირჩევდნენ ხელმძღვანელს (მეგრ. „დუდი კოჩი“); მის ფუნქციებში შედიოდა ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება: ზაფხულის საძოვრებზე

⁸ (მეგრ.) = შეკრული, გადატანითი მნიშვნელობით = ამხანაგობა.

პირუტყვის გადარეკვის მარშრუტის შერჩევის, გზაში ჯოგის შესვენების ან ღამისთვის ადგილების მოწყობის (მეგრ. „მებარგუაშ აკანი“), მრავალრიცხოვანი (როგორც წესი, 800-1000 სულამდე) ჯოგისათვის საკვები სავარგულების დაქირავების, ცხოველების სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებად დაყოფის და მათზე მწყემსების, თუ საძოვრების მიმაგრების, ოკათურის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების, აგრეთვე წარმოებული პროდუქციის, უმთავრესად ყველის სარფიანად რეალიზაციისა და მეწველი ფურების რაოდენობის მიხედვით შემოსავლების სწორად განაწილების საკითხების მოგვარება.

მეჯოგეთა ამ გაერთიანებაში თვალნათლივ იკვეთება მონაწილეთა შორის შრომის ვიწრო განაწილების (სპეციალიზაციის) ერთგვარი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმა: „დუდი კოჩი“, ანუ ხელმძღვანელი, ოკათურის ამა თუ იმ წევრს, მისი ცოდნის, უნარის, გამოცდილებისა და ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით; ავალებდა კონკრეტული სამუშაოს შესრულებას. მათ შორის:

- კარეს (კარავის) მოსამსახურე, მზარეული,
- რძის გადამუშავებასა და ყველის მომწიფებაზე პასუხისმგებელი (მეგრ. „მეხელე“),
- მეხელეს თანაშემწე, შეშის მოტანი და ჭურჭლის მრეცხავი (მეგრ. „მანგიერი“),
- მოზარდეულისა და უშობლების ნახირის მწყემსი (მეგრ. „მეუფახუე“),
- რძის ასაკის ხბოს მომვლელი (მეგრ. „მეგინე“),
- მწყემსებისთვის საჭმლის (საძოვარზე, სუფრაზე) მიმტანი და გამნაწილებელი (მეგრ. „მეთიე“),

- მონადირე და მტაცებელი ნადირისგან ნახირის დამცველი, (ძეგლ „მაჯინუ“).

მეჯოგეებზე ვალდებულებების ეს განაწილება მაღამი შედიოდა საზაფხულო სამოვრებზე ასვლის პირველივე დღიდან და მათი ვალდებულებები წყდებოდა მთიდან წამოსვლისას ოკათურის დაშლისთანავე.

აღწერილ პროფესიულ დაყოფაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა „მეხელე“-ს, ანუ რძის გადამუშავებასა და ყველის მომწიფებაზე პასუხისმგებელი პირის შერჩევას; ვინაიდან მეჯოგეებისთვის შემოსავლების მომტანი ძირითადი პროდუქცია იყო ყველი, ეს საქმე ევალებოდა ყველაზე მცოდნე, გამოცდილ და პასუხისმგებლიან პირს. როგორც წესი, მისი შეცვლა ხდებოდა მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში, შრომის უნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში; სხვა დავალებებზე გამწერებულ პირთათვის კი დაშვებული იყო ურთიერთ ჩანაცვლება;

ანალოგიურად ხდებოდა ნახირის სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ცხოველებისათვის სამოვრების განაწილება; როგორც წესი, ბანაკთან ახლოს, მოსავლიანი და ნოყიერი ბალახით დაფარულ ნაკვეთს გამოუყოფდნენ მეწველ პირუტყვს, მშრალ ფურებს და 1 წელზე უხნეს მოზარდებულს უფრო მოშორებით, ხოლო მიმდინარე წლის (ძუძუთა ხბოს და ერთ წლის ასაკამდე) მოზარდეულს აძოვებდნენ უშუალოდ ბანაკის მიმდებარეფართობზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჯოგში ძროხის გარდა ჰყავდათ სხვა სახეობის ცხოველები (მაგ. ცხვარი, ან თხა), მათზეც, ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით, ხდებოდა

პასუხისმგებელი პირის მიმაგრება და საძოვრის ნაკვეთების გამოყოფა.

აქ, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება აღვწეროთ სამეგრელოში ცხვრის იალაღობასთან დაკავშირებული ტრადიცია. ისევე როგორც ძროხის მწყემსების გაერთიანება, მეცხვარეთა ოკათურის წევრების მიერ არჩეული „დუდი კოჩი“, იგივე კარეშუნჩაში (კარეს უფროსი) მოვალეობას ანაწილებდა ოკათურის წევრებს შორის: ორ გამოცდილ მწყემს ნიშნავდა მეცხვარედ (მეგრ. მეშხურე), რომელთაგან ერთი იყო მეთავე (მეგრ. მედუდე) და ფარას მიუძღვდა წინ, ხოლო მეორე, მეკუდელე, ფარას მიჰყვებოდა უკან. ამის გარდა, ერთი კაცი ინიშნებოდა მეხელედ, რომელიც რჩებოდა კარავში, ადედებდა მაწონს, ამოჰყავდა ყველი ამზადებდა და არიგებდა საჭმელს. თავისი ფუნქციები ჰქონდა მწყემსებთან საჭმლის მიმტანს, მეთიეს და შეშის მიმტანს მეშეშეს და სხვ.

„მეთიე“, ცხოველების საწყმსოდ წასულ მეჯოგეებს კარვიდან დღეში ერთხელ მიუტანდა ორზოლს⁹, სადილს. როგორც წესი, ულუფაში შედიოდა მაწონი (გუდით), ხორცი, პური, ან ჭადი და სხვ. საძოვარზე ყოფნისას მეჯოგეს ნადირისგან თავდაცვის მიზნით მუდმივად თან ჰქონდა დანა, ბურჭული¹⁰ და არგუნი¹¹, აგრეთვე, ჩხარაზის¹² ტოტი-

⁹ მეგრ = საგზალი.

¹⁰ მეგრ.= ცული

¹¹ მეგრ.= ნაკახი

¹² მეგრ. = ჩხარაზ-ი (ზოტან.) მაგარი და დაბალი ტანის ხე, იზრდება შუშელისა და ჯალონის (ტყის) გასაყარზე; ო. ქაჯაიას [58] მიხედვით.

დან გამოთლილი ლაბაშა¹³. ცეცხლსასროლი იარაღის შემოსვლის შემდეგ კი თავდასაცავად გამოიყენებოდა კაჟის თოფი, ან ბერდენა.

განსაკუთრებულად გამოსაყოფია მეჯოგეთა შეხედულებები, მათ შორის ურთიერთობის ზნეობრივი კოდექსი და ქცევის წესები. მეგრელი მეჯოგე სხვა, ამავე საქმით დაკავებულ პირს არ თვლიდა კონკურენტად, უყურებდა მას როგორც მოძმეს, თანამოსაქმეს, ჭირისა და ლხინის გამზიარებელს და ამ დამოკიდებულებას გამოხატავდა თანადგომით, საჭიროებისას კი ხელის შეშველებით, ან მატერიალური დახმარებით.

მწყემსთა საძმოს ცნობიერების ამოსავალი წერტილია დაუწერელი კანონი- “მე შენ გეხმარები და სამაგიეროდ, ძნელბედობის ქამს, შენც დამეხმარები”. ამის ერთ-ერთ მაგალითად უნდა ჩაითვალოს „აზარა“ [24], რაც ნიშნავს სტიქიური უბედურებისგან, ან დაავადებისგან დაზარალებული მეჯოგის მიერ გამართულ წვეულებაზე, საკუთარი სურვილით, სხვა მეჯოგების თავშეყრას. შეკრებილები თანაგრძნობას უცხადებდთნენ დაზარალებულს და პპირდებოდნენ მას პირუტყვით ან ფულით დახმარებას; აღნიშნულია, რომ, ჩვეულებრივ, შეწევნა ხდებოდა ნატურით, თითო სული პირუტყვით. აღმოსავლეთ საქართველოში მსგავს ტრადიციას ეწოდებოდა „ოჩხარი“ [47].


გვიანი შუა საუკუნეების ევროპელი მეცხოველეებისგან განსხვავებით, მეგრელი მეჯოგები პრაქტიკული

¹³ მეგრ. = ხის გრძელი ჯოხი რკინის ბოლოთი და სახელურზე რკინის ან ხის კავით.

მუშაობის გამოცდილებას, ცხოველთა სამეურნეო ხარისხის შეფასების, აგრეთვე გადარჩევისა და შერჩევის (სელექციის) მეთოდებს კი არ ინახავდნენ საიდუმლოდ, არამედ უზიარებდნენ თანამომებებს. უფრო მეტიც, ისინი თავიანთი წარმატების მიზეზებზე ინფორმაციას სიამოვნებით აწვდიდნენ მეზობელი რაიონების: გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მცხოვრებლებს [38].

მეჯოგეთა შორის უდიდესი თანადგომის თვალსაჩინო მაგალითია „ალალა“, ანუ მთაში, საკვების მიებაში ან სხვა მიზეზით ჯოგს მოწყვეტილი, „დაკარგული“ პირუტყვისადმი „მპოვნელის“ დამოკიდებულება. ის თავს ვალდებულად თვლიდა ამა თუ იმ მიზეზით კარესთან, ან მის ნახირში შეცდომით მოხვედრილი, გზააბნეული პირუტყვი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ ყოლოდა და საკმაო ხნის შემდეგაც (ამბობდნენ, „ერთი წლის შემდეგაც“) უვნებლად გადაეცა პატრონისთვის. მ. ბუკია [48], განიხილავს რა მოვლენის სულიერ ასპექტებს, აღნიშნავს, რომ გზააბნეული პირუტყვისადმი მწყემსის ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი საფუძველი იყო მისი რწმენა-წარმოდგენა... „ალალა“ არის ღვთის წილი, რომელიც ზნეობის გამოსაცდელად ციდან მოუვლინა მას უფალმა;

დაბოლოს, ტობავარჩხილი, წმინდა ტბა, მწყემსების მიერ აღმოჩენილი სამეგრელოს ბუნების კიდევ ერთი საოცრება (სურ. 10), „ღვთაებრივი ცრემლის სიწმინდით განდობილი და მინდობილი მშვენიერება...“ [49] და, როგორც ამბობენ, მისტიკური ადგილი. ის, ყველაზე დიდი ტბაა ეგრისის ქედზე, და მდებარეობს ზღვის დონიდან 2650 მ სიმაღლეზე.



სურ. 10. ტბა ტობაგარჩხილი (ვერცხლის ტბა)
(წყარო: 1. რომან თოლორდვავა; 2. [Georgian travel guide](#))

ლეგენდის თანახმად, ტბასთან ნებისმიერ შეხებას „...წამსვე საშინელი ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა“ მოყვებოდა, ამის გამო მასთან ნახირის მიახლოვება, მით უფრო ცხოველთა დარწყულება არ შეიძლებოდა (მეჯოგეები იტყვიან, „ვაშინერს“) და ამ წესს, დღემდე, უკლებლივ ყველა იცავს!

ამდენად, უდაოა, რომ მეჯოგეებს გაცნობიერებული ჰქონდათ თავიანთი, როგორც საზოგადოების ღირსეული, სამაგალითო წევრის დანიშნულება/ვალდებულება და პასუხისმგებლობა ყველასა და ყველაფერისადმი, სულიერი თუ უსულო ბუნების მიმართ.

ი. სარჯველაძე და ჯ. ჯინჭარაძე [50] აღნიშნავენ, რომ დღეისათვის ამ რეგიონის სუბალპური და ალპური სარტყელის მცენარეული საფარის სახეობრივი შედეგენილობა საკმაოდ გაღარიბებულია, რის გამო ბალახნარი, რაოდენორივად და მასში საყუათო ნივთიერებების შემცველობით ნაკლებად აკმაყოფილებს ცხოველის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას [51]. გარდა ამისა, აქ საძოვრების ფართობი შედარებით მცირეა და რთული რელიეფისა და ძლიერი დანაწევრების გამო ცხოველებისთვის მიუდგომელია. უფრო მეტიც, ამ სავარგულების კარსტულ მასივებზე [52] აღმოცენებული ისლიანი მდელოები, ნაკლებად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მიერ.

სექტემბრის ბოლოს ბარგა¹⁴ აიყრებოდა, მეჯოგეები ნახირის თავის კუთვნილ ნაწილს ჯოგიდან გამოყოფდნენ

¹⁴ მეგრ. = საბანკო (დასაბარგებელი) ადგილი;

ცალ-ცალკე („გიშახუნაფა“) და ოკათური იშლებოდა. ყველა მათგანი, დამოუკიდებლად, ნაცნობი გზით, თავის ჯოგს მიერეკებოდა მთისწინა (დაბლა მთის) ზონაში სოფლების მიმდებარე ტყის ან ტყე-ბუჩქნარიანი ე.წ. გარდამავალი საძოვრებისაკენ (ძეგრ. „ჯალონა¹⁵//ლაკადა“); აქ ისინი ბანაკ-



სურ. 11. ზაფხულის საძოვრები ჯვარი-მიგარიის, ყვირასა და ასხის კირქვულ მასივებზე (წყარო: „გარემო და საზოგადოება“, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა)

დებოდნენ 20-25 დღით, აცივების შენდეგ კი, ოქტომბრის ბოლოსათვის, ხელმეორედ აიყრებოდნენ და აუზქარებლად, ნაცნობი სვლაგზით მიემართებოდნენ კოლხეთის ბარის ზამთრის საძოვრებისკენ.

გადასარეკ ტრასაზე, რომელიც უპირატესად გადიოდა მდინარეების სანაპირო ზოლში, ცხოველები ძირითადად იკვებებოდნენ მდინარისპირა და სოფლისპირა გასადევ-

¹⁵ ძეგრ.= ტყე; ტყიანი ზონა შედარებით მეჩხერი, დაბალი ფოთლოვანი ტყე;

რების, ან მიმდებარე სახნავებში მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილი ბალახითა და სხვა ანარჩენებით. გზაში ფურებს არ წველიდნენ და, ამდენად, მეჯოგის საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ნახირის დაცვით.

ზამთრის ბანაკში (მეგრ. „საზოთო“) ნახირი ბრუნდებოდა ნოემბრის ბოლოსთვის.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობის ზამთრის სამოვრები სახელმწიფო, სათემო, ან კერძო საკუთრებაში ყოფილა და პირუტყვის გასაძოვებლად გამოყენებაზე დაწესებული იყო საიჯარო გადასახადი ე.წ. „საბალახო“.

ნახირის სათანადოდ გამოზამთრება მომთაბარე მეჯოგეობის ერთ-ერთი რთული და მნელად გადასაწყვეტი



სურ. 12. მურყნის (თხმელას) მეორადი წარმოშობის ტყის სამოვარი

ამოცანა იყო. მთიდან ბარში დაბრუნებულ პირუტყვს, ზამთრის უამინდობისგან დასაცავად, ისინი შეაფარებდნენ ტყის წინასწარ განსაზღვრულ მასივში (მეგრ. „საზოთო“); გარდა ამისა, ნალექებისა და გამჭოლი

ქარისაგან დასაცავად, ცხოველებისთვის, ძირითადად კი ადრე გაზაფხულზე მოგებული ხბოებისთვის და ერთ წლამდე მოზარდეულისთვის, აგებდნენ ისლით გადახუ-

რულ ფარდულებს, რომლის კედლების ფუნქციას მურყანის წვრილი ტოტებისგან შეკრული წნული ასრულებდა.

ამავე წესით მეჯოგეები საცხოვრებლად აგებდნენ ჯარგვალის ტიპის თავშესაფარს, კარავს („ჯიხურს“), ან დაახლოებით 5-6 მეტრი სიმაღლის ოთხ ბოძზე შემდგარ საცხოვრებელს, ათაბოგს¹⁶.

დღევანდელი ხობის, ლანჩხუთის, და სენაკის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე ქ. ფოთის აღმოსავლეთით, ზამთრის საძოვრები, ზღვის დონიდან 50-100 მ-მდე სიმაღლის ტერიტორიაა [53]. ძირითადათ, ეს მასივი წარმოდგენილია დაჭაობებული და მურყნარების ცალკეულ მასივებით, მეორადი ტყე-ბუჩქნარებითა და მდელოებით, აგრეთვე ტორფიანი ჭაობების გასწვრივ მდებარე ჭარბტენიანი ფართობებით.

იალაღებზე ყოფნისას, ბუნებრივია, მეჯოგეებს ფიზიკურად არ შეეძლოთ ბარში, ცხოველთა გამოსაზამთრებლად საკვების დამზადება; ამის გამო შემოდგომა ზამთრის 150-170 დღის მანძილზე, ერთადერთი საკვები იყო საძოვრის ბალახი.

ზამთრის საძოვრები ძირითადად, წარმოდგენილია ჭარბტენიანი და დაჭაობებული ბალახოვანი ფორმაციებით (სურ.13). მათ შორის დომინირებს ისლიანები (*Carex spp.*), რომლებიც, როგორც წესი, ჰქმნიან კომპლექსურ მცენარეულობას მურყნის (*Alnus barbata*) წიფლისა და რცხილას დაჭაობებულ ტყეებთან [54].

¹⁶ მას მწყემსები აკეთებდნენ ჭაობიან ადგილებში, ღამით კოლოებმა რომ არ შეაწუხონ;

კოლხეთის დაბლობის ზამთრის საძოვრების ცენოზი წარმოდგენილია ისლისებრთა ოჯახის, მარცვლოვნებისა და ნაირბალახოვნებისგან. ისლისებრი ბალახების წარმომადგენლებია: *Carex elata* (სურ. 13.1), *C. lasiocarpa* (სურ. 13.2), *C. pseudocyperus* (სურ. 13.3), *C. remota* (სურ. 13.4), *C. riparia* (სურ. 13.5) და სხვა. ტენიან შემაღლებებზე განვითარებულია თათისებრი და გაშლილ ლაკარტიების მდელოები: *Paspalum digitaria* (სურ. 13.6), *P. dilatatum*-ის (სურ. 13.7), ხოლო ზომიერად დაჭაობებულ ადგილებში – *Molinia caerulea*-ს (სურ. 13.8) და *M. litoralis*-ის (სურ. 13.9) მდელოები [50].

ისლისებრთა ოჯახის ბალახები, ყუათიანობით ჩამოუვარდებიან პარკოსნებს და მარცვლოვნებს, აგრეთვე ნაირბალახოვანთა ზოგიერთ წარმომადგენელს.

გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ 192 შესწავლილი სახეობის ბალახეულისგან მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ყუათიანობით ხასიათდება 70, ხოლო 54 სახეობას მცონნავი პირუტყვი ძნელად, ან საერთოდ არ ჭამს [55]. ასევე აღნიშნულია, რომ ისლისებრი ბალახების უმეტესობა დაბალმოსავლიანი კულტურებია და ვეგეტატური ნაწილების სიუხეშის გამო ძნელად ეტანება პირუტყვი.

აღნიშნულებთან ერთად, აქ საშუალო და კარგი ხარისხის საკვები ბალახებიც გვხვდება. მათ შორისაა თითისებრი ლაკარტია, რომელიც, მართალია საშუალოდ ყუათიანია, მაგრამ ხასიათდება მაღალი აქვიტანობით. აქვე ხარობს საშუალოზე მაღალი და/ან კარგი კვებითი ღირებულების საკვები მცენარეები: ვიწროფოთლიანი ნამიკრეფია, კავკასიური და სისხლის შემაჩერებელი ურო, გლერტა, ჩვეულებრივი და მდელოს თივაქასრა, კურდღლისფრჩხილა,



სურ. 13. კოლხეთის საძოვრების ცენტრის მირთადი სახეობები



სურ. 14. კოლხეთისათვის ტიპიური დაჭაობებული სამოვრები
<https://georgiantravelguide.com/ka/kolkhetis-erovnuli-parki>

სამყურები (მდელოს, მხოხავი, კავკასიური), ძიძოები (ყვი-თელი, თმისებრი) და სხვ.

საძოვრების დახასიათება არასრული იქნება თუ არ ავღნიშნავთ იმას, რომ მათი მნიშვნელოვანი ფართობები უკავია ეწერის გვიმრას და მაყვლის შალდამებს, რომლებსაც პირუტყვი არ მოიხმარს საკვებად. ზოგადად, საძოვრების მოსავლიანობა შეადგენს 2,5-3,0 ტ/ჰა-ზე, მაგრამ აღწერილი ბოტანიკური შედეგენილობის გამო ძოვნადობის კოეფიციენტი არ აღემატება 50–55%-ს, ხოლო 1 ჰა-ზე მოწეული საძოვრული მასის ყუათიანობა დაახლოებით 500-800 ენერგეტიკულ საკვებ ერთეულს შეადგენს.

საგულისხმოა, რომ დიდი რაოდენობით ნალექები და თბილი კლიმატი, აგრეთვე ტორფიანი ნიადაგები, ერთის მხრივ, ხელს უწყობს საძოვრების მცენარეული საფარის სწრაფად ზრდას, მაგრამ, მეორეს მხრივ, კოლხეთის დაჭაობებული ტერიტორიის დიდი მასივები საგრძნობლად ზღუდავს ცხოველებისთვის გამოსაყენებლად ვარგის ფართობს.

დიდი თოვლის მოსვლისას, მეჯოგეები ცხოველებს „დამატებით საკვებად“ აძლევდნენ ტყეში დაჭრილი იფნის ხის ტოტებზე შემოხვეულ სუროს (სურ. 15), რომელიც ზამთრის თვეებშიც ინარჩუნებს სიმწვანეს და საკმაოდ ყუათიანია.

ზოგიერთი ინფორმაციით, განსაკუთრებულად ხანგრძლივ, ცივ და თოვლიან ზამთარში, მეჯოგეები ახლო სოფლებში იძენდნენ სიმინდის ჩალას. ადრე გაზაფხულზე, საკვების ნაკლებობისას კი ტყეში გასული პირუტყვი კი,

ასევე, მადიანად შეექცეოდა ფოთლოვანი ხის ნორჩ ტოტებს, ნეკერს.



სურ. 15. კოლხეთის ტყეებში
მრავლად არის სურო

ცნობილია, რომ ცხოველის სანაშენე და პროდუქტიული თვისებების განვითარება დაკავშირებულია საკვებთან და კვების პირობებთან; ამან განაპირობა მეგრული წითელი ჯიშის გამოყვანის არეალში არსებული საძოვრების თემის ასე მეტ-ნაკლებად დეტალურად გაშუქება.

ვფიქრობთ, რომ ეს მასალები მნიშვნელოვანი საბუთია მეგრული წითელი ძროხის კულტურულ ჯიშებისგან განსხვავებული სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების გამომწვევი მიზეზების ასახსნელად.

ლოვანი საბუთია მეგრული წითელი ძროხის კულტურულ ჯიშებისგან განსხვავებული სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების გამომწვევი მიზეზების ასახსნელად.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების კვალობაზე, ძლიერი მეჯოგეები თავს არიდებდნენ „ოკათურში“ მონაწილეობას და, ძირითადად, სარგებლობდნენ დაქირავებული შრომით. საუკუნის დასასრულისთვის ზოგიერთ მათგანის ნახირი 1000-3000 და მეტ სულ პირუტყვს ითვლიდა, ხოლო მათ მოსავლელად, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, აყვანილი ჰყავდათ 50-მდე მწყემსი [24].

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ასეთი ძლიერი მეჯოგები იყვნენ არქანია და გოგოხია- სოფელ მუჟავადან, შონია და ფიფია- ფახულანიდან, კვარაცხელიები- ჯგალი და ნაკიფუდან და სხვები; ზოგიერთი მეჯოგე იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ ბანკში, საკუთარ ანგარიშზე საკმაოდ სოლიდური თანხა ჰქონია, ფლობდა ჩეკს და სურვილისამებრ განკარგავდა მას.

ვ. შამილაძის [37]. მონაცემებით, შეძლებულ მეჯოგებს დაქირავებულ მწყემსებთან წინასწარ შეთანხმებული ჰქონდათ დაქირავების პირობები: შესასრულებელი სამუშაოს სახე, მუშაობის ხანგრძლივობა, გაწეულ სამუშაოზე ანაზღაურების ფორმა-რაოდენობა და სხვ.

როგორც წესი, მწყემსს ქირაობდნენ 4, ან 5 წლით. გაწეული შრომის საფასურად, დამქირავებელი საკუთარი ნახირიდან მას გამოუყოფდა 5-10 ფურს იმ პირობით, რომ მათგან მოწველილი რძიდან ამოყვანილი ყველის ნახევარს, ხელშეკრულების მთელი პერიოდის მანძილზე აძლევდა დამქირავებელს. ამის გარდა, დამქირავებელი მწყემსს უზრუნველყოფდა საკვებით და ტანსაცმელით;

შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ მიმაგრებული ფურების ნახევარი თავისი ნამატით, დაქირავებულის კუთვნილება ხდებოდა; იმ შემთხვევაში, როდესაც დაქირავებული ასრულებდა რაიმე პაუხისსაგებ სამუშაოს (მაგ. იცოდა წველა, ან ყველის კეთება), აღნიშნულზე დამატებით მას ერგებოდა 2-3 ფური.

ამდენად, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ დაქირავებულის პირადი საკუთრებაში გაადიოდა 20-25 სული პირუტყვი, ძირითადად ფური და მას შეეძლო


დამოუკიდებლად დაეწყო მეჯოგეობა. სამუშაოზე დარჩენის სურვილის შემთხვევაში, თუ ის კარგი მომუშავე იყო, მეჯოგე თანხმდებოდა და მას დამატებით აძლევდა 2-3 ფურს.

გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში, მთაში ყოფნისას, რბილი კლიმატური პირობების გამო, ცხოველებისა და მომსახურე პერსონალისთვის რაღაც განსაკუთრებული, კაპიტალური ნაგებობების მოწყობა არ იყო აუცილებელი. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბანაკის მოსაწყობი ადგილის შერჩევას, აგრეთვე მის ტერიტორიაზე მეჯოგეთა საცხოვრებელი კარავის და ნახირის სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ცხოველებისთვის ღია და დახურული სადგომების სწორად დაგეგმარებას.

როგორც წესი, ამისათვის ირჩევდნენ ნაკადულთან, ან წყაროსთან ახლოს, მთის ოდნავ დაქანებულ, შედარებით თბილ, სამხრეთ, უარეს შემთხვევაში სამხრეთ-აღმოსავლეთ, ან სამხრეთ-დასავლეთ („უფრო თბილ“) ფერდობს. ტერიტორიაზე ცხოველთა სადგომები ისე უნდა განლაგებულიყო, რომ კარედან გაუსვლელად ადვილი შესაძლებელი ყოფილიყო ბანაკის მთელი ტერიტორიის კონტროლი.


წინასწარ შერჩეულ ადგილზე, მეჯოგეები, ლაკადა-დან ამოტანილი ხის მასალით, ან კიდევ ადგილზე მოპოვებული ქვებით აგებდნენ და წლების მანძილზე იყენებდნენ გარემოსადმი საოცრად შეხამებულ ისეთ კარავს, რომ ბევრის მნახველ ხუროთმოძღვარსაც კი შეშურდებოდა (სურ. 16).

დაბანაკების ადგილზე, კარავის ერთ-ერთ მხარეს, ცალკე, ხის ბოძებითა და ლატნებით (ლარტყით), ან, ქვებით



სურ. 16. კარე და ზაფხულის ბანაკი იალაღებზე
(რომან თოლორდავას ფოტო)

შემოზღუდავდნენ ბაკს მეწველი ფურებისთვის¹⁷ (სურ. 17.3). იქვე, ფურების ბაკის მიმდებარედ კი, რძის ასაკის მოზარდეულისთვის აგებდნენ ჯარგვალის ტიპის ერთ, ან ორ სახბორეს (მეგრ. „ოგინე“, „საგინე“; სურ. 17.4 და 17.5), შემოღობილი მცირე ფართის ღია ბაკით. სახბორე გადახურული იყო ისლით, ან ყავრით. ამ კომპლექსისგან მოშორებით, ასევე, აწყობდნენ აგვარასთან შედარებით პატარა ფართობის ღია ბაკს, (მეგრ. „ტიფუ“) რომელიც განკუთვნილი იყო მშრალი ფურებისა და უშობლებისთვის (სურ. 17.2).



სურ. 17. მეჯოგეთა საზაფხულო ბანაკის
გენერალური გეგმა: 1. კარე (საცხოვრისი); 2, 3-
პირუტყვის ბაკი; 4, 5-სახბორე (კრიმილაძის [38]

ყველა
ბაკთან, იდგა
ფიცრებისგან
შეკრულ სარ-
წყურებელი
(მეგრ. „ბეკა“,
ხოლო უშუ-
ალოდ საც-
ხოვრებელთან
სიახლოვეს
ძალლისთვის
მოწყობილი

იყო თავშესაფარი (მეგრ. „ოჯოღორე“), საკვებურით (მეგრ. „როფე“).

იმ შემთხვევაში, როდესაც „ოკათურის“ წევრებს, ძროხასთან ერთად, ჯოგში ჰყავდათ სხვა სახეობის ცხოველი

¹⁷ მეგრ. = „ოქართე“, იგივე „აგვარა“

(როგორც წესი ცხვარი ან თხა), მათთვისაც, კეთდებოდა ცალკე სადგომები: ღია ბაკი ზრდასრული სულადობისთვის და ჯარგვალის მსგავსი გადახურული ნაგებობა მოზარდე-ულისთვის, აგრეთვე კონკრეტული სახეობის და ასაკის ცხოველის შესატყვისი საკვებული, სარწყურებელი და ა.შ.


კარავი, როგორც წესი, ერთი ოთახისგან, იშვიათად ოთახისა და საკუჭნაოსგან შედგებოდა (სურ. 18 და 19); მის წინა მხარეს, ნაგებობის მთელ პერიმეტრზე, ან შესასვლელ კარს ზემოთ, მოწყობილი იყო „საჩრდილობელი“, რომელსაც ეწოდება აბარწა (სურ. 18.1); თავად. კარავს, როგორც წესი, ფანჯარა არ ჰქონდა.

კარავში ყოველ კუთხეს მკაცრად განსაზღვრული დანიშნულება ჰქონდა, რაც იმსახურებს ცალკე აღწერას:

მისი ერთ-ერთი მხარე, უშუალოდ შესასვლელი კარების ორივე მხარეს ადგილი მწყემსების დასასვენებლად იყო განკუთვნილი (სურ. 18.7), რაც მორიგე მწყემსს შესაძლებლობას აძლევდა მუდმივი ყურადღების ქვეშ ჰქონდა ბანაკის მთელი ტერიტორია. როგორც წესი, კარეში, საწოლის მოვალეობას, მიწაში ჩასობილი ხის ოთხ ბოძზე ზემოდან გადებული ლატნები (ან მათზე დაფენილი ფიცარი) ასრულებდა, რომელსაც ხვიშტას¹⁸ უწოდებენ, ზოგიერთ მწყემსს კი მიწაზე დაფენილ ლაგვიმარიაზე¹⁹ ეძინა.

¹⁸ = მთაში მწყემსის საწოლი, რომელსაც, როგორც წესი, მურყანის (თხმე-ლის) ახალგაზრდა ტოტებისგან აკეთებდნენ.

¹⁹ = გვიმრისნაირთა ოჯახის რბილღეროანი მცენარე, *Dryopteris filix mas* (L.) Schott.



სურ. 18. კარავი, ზედხედი. დვირას სამოვრები
(ვ. შამილაძის [38] მიხედვით)

კარავის
ცენტრში მეგ-
რული ჯარ-
გვალის განუ-
ყოფელ ატრი-
ბუტს, ტრადი-
ციულ შუა-
ცეცხლს ეწ.
კერიას (მეგრ.
ცებურს) ეკავა
(სურ. 18.2),

სხვენზე დაკიდული ლარჭით²⁰;

აქ შეათბობდნენ ჩასაკვეთ, ან წამოადუღებდნენ
მაწვნად ჩასადედებელ რძეს, აცხელებდნენ წყალს,
ამზადებდნენ საჭმელს და სხვ.



სურ. 19. კარეს ინტერიერი (ვ. შამილაძის
[38] მიხედვით)

კარვის
სიღრმეში, მის
უკანა კედელ-
თან, დანარჩე-
ნისგან „უხი-
ლავი ზღუ-
დით“ გამოყო-
ფილი არე,
თავის მხრივ,
განკუთვნილი

²⁰ შუა ცეცხლზე დაკიდული ჯაჭვი, ქვაბის ჩამოსაკიდი კაუჭით (იხ.
სურათი 20);

იყო რძის შესაგროვებელი და დასამუშავებელი, ჩასაკვეთი, ყველის ამოსაყვანი და ყველის მოსამწიფებელი, აგრეთვე გარეცხილი, სუფთა ჭურჭლისა და რძის გადამუშავებასთან დაკავშირებული სხვა ინვენტარის განსათავსებლად (სურ. 18.3., 18.4). კარეს ამ უბანზე აწყვია პრაქტიკულად ყველა ნივთი, იარაღი, თუ სამარჯვი, რომელიც დაკავშირებულა რძის გადამუშავებასა და მწყემსებისთვის სადილის მომზადებასთან: ნიგა (ტაგანი)²¹, ოჩვეჩვე²², სარსი²³, აბშირყა²⁴, ჩაყვა²⁵ თუნჯია²⁶, ბუყუნი²⁷, აფშარა²⁸ და მრავალ სხვას, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ადგილი ჰქონდა მიჩნეული.

აქვე, კერიასთან, მის სიახლოვეს, იდგა ტაბაკი (სურ. 18.6), რომელიც ასრულებდა მაგიდის მოვალეობას.

მეჯოგეები საღამოობით, ვახშმობის შემდეგ, შემოუსხდებოდნენ კერიას და ყვებოდნენ თავს გადამხდარ, ან მოსმენილ ისტორიებს, ყურმოკრულ ამბებს, ზღაპრებს, არაკებსა თუ შაირებს, წუხდნენ და მხიარულობდნენ,

²¹ = სათლის მსგავსი, ხის პირგანიერი, მრგვალი ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ფურის წველისას, რძის ჩამოსაწველად, შესაგროვებლად.

²² = გულამოღებული ხის გრძელი ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება დელამოსგან შრატის მოსაცილებლად;

²³ = ხის ერთგვარი დანა, მოსაყველებელ რძეში შეტანილი კვეთის მოსარევად და დელამოს დასაჭრელად;

²⁴ = მაწვნის ჩასადედებელი ხის ჭურჭელი;

²⁵ = ხის დიდი ტოლჩა; ეძახიან მცირე ზომის ჯამსაც, მოკაუჭებული სახელურით (იგივე მურძა).

²⁶ = თუჯის პატარა ქვაბი, რძის ჩასადედებლად მომზადებული კვეთის (მეგრ. ნაწილი) შესანახად.

²⁷ = ყველის შესანახი ხის ჭურჭელი.

²⁸ = ხის ჭურჭელი, ყველის, ძირითადად სულუგუნის ჩასაწყობად.

განიხილავდნენ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს, ათანხმებდნენ მომდევნო საქმიანობის გეგმებს.

ვინ იცის მეგრული ხალხური ფოლკლორის: სიმღერების, ლექსების, არაკებისა თუ სხვ. რამდენი თვალსაჩინო ნიმუში დაბადებულა კერიასთან მსხდომი, მთელი დღის გაუსაძლისი შრომით დაღლილი, სულიერად უდრევი, ცხოვრებისგან დაბრძენებული და მომავლისადმი იმედით შემყურე ადამიანებისგან. ალბათ, აქ დაიბადა საყოველთაოდ აღიარებული, საოცრად მელოდიური, სევდითა და მომავლის რწმენით გამსჭვალული, მეგრული სიმღერები, „მა დო ჩქიმი არაბა“, „აშო ჩელა“ და მრავალი სხვა, რომლებიც აიტაცეს და ქვეყნის თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სცენაზე ააჟდერეს უბადლო შემსრულებლებმა: რემა (რომანოზ) შელეგიამ, ნოკო ხურციამ, ძუკუ (პორფილე) ლოლუამ, კირილე პაჭორიამ, ნიკოლოზ ხვიტიამ და სხვებმა.

ვ. შამილაძეს [38] დეტალურად შეუსწავლია მეგრელ მეჯოგეთა ცხოვრება და საქმიანობა. ის აღნიშნავს, რომ მთავარი კავკასიონის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილის სამხრეთ ფერდობის სხვადასხვა მასივზე მოიალადე მეჯოგეთა ბანაკები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სამეურნეო და დამხმარე ნაგებობების განთავსების გეგმის მიხედვით, როგორც წესი, რამდენადმე მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ამასთან, ნახირის დასასვენებლად მოსათავსებელი ბაკის კონსტრუქციასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ დეტალს: მეგრელი მეჯოგეების მიერ მოწყობილ ბაკს

აქვს მრგვალი, უფრო ოვალური ფორმა²⁹ (სურ. 17.2, 17.3 და 20.1), მაშინ როდესაც მეზობელ იმერეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მომთაბარე, სამხრეთ იმერეთის მთიანი ზონის და დანარჩენი საქართველოს მწყემსების მიერ მოწყობილი ბალი, როგორც წესი, ოთხკუთხედია (სურ. 20.2).



სურ. 20. იალღებზე ძროხის განსათავსებელი
ტიპიური ბაკი: 1. სამეგრელო, ეგრისის მთა; 2.
კახეთი, გომბორის მთა (წყარო: Toba travel)

კითხვაზე, თუ
რატომ აკეთებენ
მომრგვალებულ
ი ფორმის ბაკს,
მეგრელი მეჯო-
გები ვერ ხსნი-
ან, უბრალოდ
ამბობენ, რომ
„ასეთია ტრადი-
ცია“, „ასე უფრო
მოხერხებელია“.

ბაკის, ერთ-
ერთ მხარეზე
დატოვებულია
განიერი შესას-
ვლელი; საღამო-
ობით საძოვრი-
დან დაბრუნე-
ბულ პირუტყვს
შერეკავენ მასში,

²⁹ ბაკის მეგრული სახელია „ოქართე“. ის ნაწარმოებია ტერმინი „ქართე“-
სგან, რაც ქართულად ნიშავს წრეს.

შემდეგ კი ჩაკეტავდნენ ლატნებით და ცხოველები იქ ისვენებენ დილამდე;

ფურებს წველიან უშუალოდ ბავში, დღეში ორჯერ, დილას, საძოვარზე გასვლამდე და საღამოს, საძოვრიდან დაბრუნების შემდეგ, ე.წ. „წველაწოვების“ წესით. წველის დაწყებამდე ხბოს გამოიყვანენ მიმდებარე ბაკიდან და მიუშვებენ დედასთან, დაახლოებით 1 წთ-ის შემდეგ კი მოაცილებენ და დააბამენ იქვე, ფურთან სიახლოვეს. და იწყებენ წველას. როგორც წესი, ჩამოწველიან 2, იშვიათად 3 კერტს. წველის შემდეგ ხბოს კვლავ მიუშვებენ მოსაწოვად დედასთან და 20–30 წთ აჩერებენ ნახირის საძოვარზე გარეკვამდე; თავის მხრივ, ასხლეტილ ხბოს აბრუნებენ სახბორეში. და კიდევ, ახლადმოგებულ ფურს გამოყოფდნენ საერთო ნახირიდან, მას არ წველიან დაახლოებით 2-3 კვირა, უფრო იშვიათად 1 თვემდე და ხბოსთან ერთად ინახავენ საზაფხულო ბანაკის სიახლოვეს საძოვარზე.

დილით წველის დამთავრების შემდეგ ყველა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ცხოველებს, გარდა ახლადმოგებული ფურებისა და მემუძური ხბოებისა, ცალ-ცალკე გარეკვავენ საძოვარზე. ამასთან, ნახირის ყველა ჯგუფს საძოვარზე მიყვება წინასწარ გამწესებული მწყემსი, რომლის ჩაცმულობის³⁰ ერთ-ერთი მთავარ ელემენტია (იყო) თხის ან ცხვრის ბეწვიანი ტყავის მოსასხამი, „კვახა“³¹; საძოვარზე

³⁰ ჩასაცმელ-დასახური = მეგრ. ზოგადი სახელია „ბარგი“; მათ შორის ჩასაცმელს უწოდებენ „მუკაჭუნალი(ი)“, მემოსახურს, მოსასხამს კი „გინაქუნალი(ი)“.

³¹ კვახას სახელოები არ აქვს და მწყემსს უფარავს მხოლოდ ზურგს; მთაში იყენებენ ქვეშაგებადაც.



სურ. 21. ფურების წველა იალაღებზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტი
(ც. ქილიფთარის ფოტო)

გასვლისას მწყემსი, განურჩევლად იმისა, „ტაროზი“³² იყო თუ „ტაროზუბადო“³³, კვახჩას მოისხამდა ზურგზე, წინა ფეხების ტყავს შეიკრავდა კისერთან, უკანა ფეხებისას კი წელზე. წვიმიანი და ტენიანი ამინდისას, აგრეთვე ქარიან დღეებში წვიმის, მაღალი ტენიანობის, ან ქარისას მოსაცმელი მწყემსს იცავდა დასველებისა და/ან გაცივებისგან, მითუფრო, რომ დღის მანძილზე, მთაში, ამინდი შეიძლება შეცვლილიყო რამოდენიმეჯერ.

მთის მკაცრ პირობებში, ერთი შეხედვით, კომფორტის ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებული მეჯოგები, მამაკაცები, საცხოვრისში და, ზოგადად, ბანაკის მთელ ტერიტორიაზე შესაშურად იცავდნენ რა სისუფთავესა და წესრიგს, თავად ჰქმნიდნენ ცხოვრებისთვის იდილიურ გარემოს.

იალაღებზე მოხვედრისას, კარეში შესული თუ მიმოიხედავთ და თვალს შეავლებთ გარემოს, დარწმუნდებით, რომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეიძლება მოირთხა ფეხები, მოკალათდე მიწის იატაკზე და.... მაგრამ ამის უფლებას ვინ მისცემს... უმალვე შემოგთავაზებენ კველაზე დაბრძანებას, წინ დადიდგამენ ტაბავს³⁴, დიდი მოკრძალებით, მშვიდი და აუჩქარებელი მოძრაობით დაალაგებენ მასზე უფლისაგან ბოძებულ ხორაგს და საოცარი სურნელი დატრიალდება ირგვლივ.

³² მეგრ. = კარგი ამინდი;

³³ მეგრ. = ცუდი ამინიდი.

³⁴ მეგრ. = გარანდული ფიცრის დაბალი მაგიდა, სარკისებრ პრიალუ ზედაპირით და ოთხი ფეხით; ტაბაკზე თეფშებით აწყობენ საჭმელს, ღომს კი პირდაპირ მასზე აგებენ;

მთაში, კარავთან შემთხვევით მოხვედრილი სტუმარი



სურ. 22. ელარჯით მასპინძლობა კარეში
(ლ. აბრალავას და რ. თოლორდავას ფოტო)

დარწმუნდება,
რომ მეჯოგებს
არასოდეს ენანე-
ბათ მოყლოდ-
ნელად მისული,
თუნდაც სრუ-
ლიად უცხოს-
თვისაც კი ხელ-
მისაწვდომი სუ-
რსათ-სანოვაგე:
ელარჯი, ხორ-
ცი, მაწონი, თევ-

ზი, ნანადირევი და სხვ.

კარეში წარსულია გაცოცხლებული. შუაცეცხლთან მოკა-

ლათებულს,

მწყემსებთან სა-
უბრისას, მათი
ცხოვრების რე-
ალობის აღქმას-
თან ერთად,
რაღაც იდუმა-
ლი გრძნობა
გეუფლება და
„ენას გარ-
თმევს“, თითქოს
საუკუნეებით



სურ. 23. ბადრი აბშილავა სტუმრებითვის
აშშადებს ელარჯით (გ. აბშილავას ფოტო)

უკან ბრუნდები და წარსულთან შეხებით გული გეკუმშება,

მსუბუქი კვამლისგან აცრემლებული თვალებს მიღულავ და მექვსე გრძნობით დაინახავ ამ საოცარი ბუნების ხალხის ცხოვრების არსის სიდიადეს და აღივსები მათდამი ღრმა პატივისცემით.

არაერთხელ დაწერილა და ბავშვობიდან სამეგრელოს სოფელში გაზრდილი უფროსი თაობის მეხსიერებასაც, ალბათ, შემორჩა ზამთრის გრძელ ღამეებში კერიასთან უფროსებისგან მოსმენილი ისტორიები მეჯოგეთა კეთილშობილებაზე, დიდსულოვნობაზე, ცოდვა-მადლის, სიკეთისა და ბოროტების აღქმა-გარჩევის უნარზე, უმწეოსა და ხელმოკლესადმი უანგარო დახმარების გაწევაზე, სტუმრისადმი ღირსეულად მასპინძლობისა და პატივისცემის ჩვევა-ტრადიციებზე და მრავალი სხვა.

ამასთან დაკავშირებით, სულ ახლახან ჩვენი ყურადღება მიიპყრო გაზეთი „ოდიში ნიუსის“ ვებ გვერდზე ნ. ქობალიას [49] მიერ ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილმა ერთ-ერთმა ისტორიამ, სათაურით „მწყემსების ფილოსოფია. ბაგაში, ფინახარში მძინარი ჩვილი იესო“. მასში აღწერილია მეტად საინტერესო ეპიზოდი გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში (ყუბანში) ცნობილი მეჯოგის, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავას მკვიდრ ჯარნეზ არქანის ცხოვრებიდან, რომელსაც სოჭის მიმდებარედ, სოფელ „კრასნაია პოლიანას“ მიდამოებში ჰყოლია 3000 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

ზოგადად, მწყემსების ფილოსოფიის, მათი ყოფა-ცხოვრებისა და ყოველდღიური საქმიანობის ხატოვნად და რომანტიკულად აღწერის შემდეგ, სიუჟეტი ვითარდება გაგრის სიახლოვეს, მეჯოგეთა საზაფხულო ბანაკში,

კარავთან (ძეგრ. „აფუნიშ კარე“) სრულიად უცხო ორი ქართველი ახალგაზრდის გამოჩენით. სწორედ აქ ვლინდება მეჯოგეთა დიდბუნებოვანობა, მათი სულიერი სამყარო, რომელიც ღვთისგან მოვლენილი სტუმრისადმი ჯეროვანი მასპინძლობის ტრადიციის უმაღლესი ღირებულების რწმენაზე არის დაფუძნებული. „სწორედ ამაში დევს მწყემსების ორბუნებოვნების, მიწიერი და ზეციური დანიშნულების შეგრძნების მადლი“ [49].

სიუეტის ბოლოს, „სცენაზე გამოდის“ ჯოგის მეპატრონე: ქვეყნის მოჭირნახულე, ქველმოქმედი, ქართველისადმი თანადგომის, ხელის შეშველების, შეხიდების ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის უმაღლეს ფასეულებად ამღიარებელი „მწყემსი-კეთილი“ ჯარნეზ არქანია.

გაიგო რა სტუმრად მოსულთა მიზნები და მისწრაფებები, დაინახა რა მათში ქვეყნის ღირსეული მომავალი, მან თავი ვალდებულად ჩათვალა დაეფინანსებინა რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგში ახალგაზრდების გამგზავრება და ამ ქალაქის უნივერსიტეტში სწავლა.

ნაშრომის ავტორის თანახმად, ეს ახალგაზრდები, შემდეგ გამხდარან საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც საქართველოს საზღვრებს გარეთ, შორს გაიტანეს ქვეყნისა და ხალხის სახელი და დიდება.

„არ ვიცი ... საერთოდ შედგა თუ არა ... დიალოგი“, ამბობს დასასრულს ნ. ქობალია, მაგრამ მის მიერ აღწერილია მწყემსების დიდბუნებოვნობის უტყუარი სურათი, მათი ვალდებულება და პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავლის

წინაშე („...რამდენად დასჭირდებოდა ეს ყმაწვილები თავიანთ ქვეყანას...“), რაც მაღლი ალბათობით, შეესაბამება ჭეშმარიტებას.

„კუთილი თესლის მთესველი არის მე კაცისა (მათე. 13:37).“

„...განა არ იცით, რომ თუ სადმე სანთელ-საკმეველია, თავისს გზას არ დაკარგავს...“ [56].



რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ, კოლექტივიზაციის წლებში შექმნილმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, სოფლად მცხოვრებთა კერძო სახნავ-სათეს მიწებთან ერთად „მემკვიდრეობით გადაიბარეს“ მეჯოგეთა უძრავ-მოძრავი ქონება: კუთვნილი პირუტყვი, აგრეთვე ზამთრისა და ზაფხულის სამოვრები.

იმ დროისთვის მეგრული ძროხა ჩრდილოეთ კავკასიაშიც ყოფილა საკმაოდ პოპულარული არა მარტო ლამაზი გარეგნობისა და მთაბარობის მძიმე პირობებისადმი გამძლეობის გამო, არამედ, როგორც მაღალცხიმიანი, ყუათიანი რძისა და გემრიელი ხორცის მომცემი პირუტყვი.

როგორც ჩანს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მეურნეობების მეძროხეობის ფერმები, რომლებიც აშენებდნენ მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვს, ტრადიციისა-მებრ, აგრძელებდნენ მთაბარობას.

ვ. შამილაძეს [38], აღწერილი აქვს მარტვილის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის კოლმეურნეობის მეძროხე-

ობის ფერმის სულადობის ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებზე მთაბარობის მარშრუტის სქემა და დისლოკაციის ადგილები (სურ. 24). მასზე მონიშნულია ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებზე ცხოველთა განთავსების და მთისწინა ზონის შუალედურ, ტყის საძოვრებზე შეჩერება-დაბანაკების (ჯალონა³⁵//ლაკადა³⁶), აგრეთვე, ადრე გაზაფხულზე გამგზავრების წინ ოკათურის შეგროვების (სააპუნე, სააფუნო) ადგილი; გადმოცემით, 30-იანი წლებიდან, აქ, ასევე ხდებოდა მთაში გადასარეკი ცხოველების ვეტერინარულად დამუშავება.


მიუხედავად იმისა, რომ მეჯოგეებს გადარეკვის მარშრუტი წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული, გადაადგილებისას, ცალკეულ მონაკვეთებზე, ცხოველებს საკმაო წინაღობების, მათ შორის მთის ქვა-ლორლიანი მონაკვეთებისა და დათოვლილი კალთების გადალახვა უხდებოდათ და უხდებათ (სურ. 25), რაც მათგან ორიენტაციის კარგ უნარს, მაგარ ჩლიქებს და განსაკუთრებულ გამძლეობას მოითხოვდა.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და მეცნიერ-მუშაკები: პ. გეგენავა, ნ. გოცირიძე, კ. ქართველიშვილი, თ. ფირცხალა-იშვილი, თ. მახარაძე, ნ. ცინცაძე და სხვ., საზოგადოებრივ მეურნეობებში ცხოველთა მოვლა-შენახვის პირობების

³⁵ ტყიანი ადგილი;


³⁶ ეგრისის ქედის ქედის წინამთარის (სამხრეთი და დასავლეთი კალთების) აღმნიშვნელი ტერმინი; იხ. [57] პ. ცხადაია. მთიანი სამეცნიეროს ტოპონიმია (ენათმეცნიერების ანალიზი). თსუ, თბილისი 1985.

აღწერისას მიუთუითებდნენ, რომ მეგრული წითელი ჯიშის ყველა შესწავლილი ფერმის სულადობა მთაბარობს. ამასთან, აღნიშნულია, რომ იმ პერიოდისთვის მიღებული ნორმების შესაბამისად, ზამთარში ნახირის განთავსების ძირითად ადგილზე, კოლხეთის დაბლობში, ცხოველებისთვის აშენებულა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული სადგომები.



სურ. 24. მარტვილის რაიონის სოფ. დიდი ჭყონის კოლმეურნების მეძრობების ფერმის პირუტყვის მთაბარობის მარშრუტი (ვ.შამილაძის [38]მიხედვით)


იმავე მონაცემებით, რამდენადმე გაუმჯობესებულა ცხოველთა კვების პირობები; კერძოდ, გამოსაზამთრებლად საზოგადოებრივი მეურნეობები ამზადდებდნენ უხეშ საკვებს, ძირითადად, სიმინდის ჩალა, ხოლო 70-იანი წლე-



სურ. 25. ზაფხულის საძოვრებისკენ მიმავალი მეგრული წითელი ჯიშის ძროხა გზაში და ეგრისის ქედის ღოლაშის უღელტეხილის გადალახვისას (გიორგი აბშილავას ფოტო)

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

ბის მეორე ნახევრიდან, ზოგიერთ მეურნეობაში დაიწყეს სილოსის ჩადება. მეტ-ნაკლებად ნორმირებული კვების პირობების უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებიდან, ასევე, შემოჰქონდათ თივა და ნამჯა; ზოგიერთი ფერმის (მირითადად, სანაშენედ აღიარებულებში) ცხოველთა ულუფაში შედიოდა საკუთარი წარმოების, ან შეძენილი მარცვლეული, უფრო ხშირად კი მარცვლის გადამუშავების ანარჩენები;



სურ. 26. მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვი მთის სამოვრებზე;
მარჯვნივ-ზემოთ, მონიშნულ კადრში [1] მეწველი სულადობიდან
ცალკე გამოყოფილი ახლადმოგებული ფურების ჯგუფი, რძის ასაკის
ხზოვბით

რაც შეეხება მთაში ცხოველთა მოვლა-შენახვისა და კვების პირობებს, როგორც გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში არის აღნიშნული, მდგომარეობა პრაქტიკულად უცვლელად დარჩენილა.

მეჯოგეთა რწმენა-წარმოდგენები

უძველესი დროიდან, ზოგადად საქართველოს და, მათ შორის კოლხეთის, სამეცნიელოს ძირძველი მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობაში მეცხოველეობას წამყვანი ადგილი ეკავა და, ბუნებრივია, ამან განაპირობა დარგთან დაკავშირებული ადგილობრივი ტერმინების დამკვიდრება;

ცხოველების მოვლა-შენახვასთან და მეგრელ მეჯოგეთა ყოველდღიურ ყოფა-საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინთა გარკვეულ ნაწილზე ზემოთ იყო საუბარი, ხოლო ამ თემის ირგვლივ დეტალური განმარტებები მოცემულია სხვადასხვა სპეციალურ ლიტერატურასა და ლექსიკონებში [29, 48, 57, 58, 59, 60];

მ. ბუკია [58] აღნიშნავს, რომ ისევე, როგორც ამ სფეროში, საკულტო ლექსიკაშიც უძველესი ტერმინები, როგორც წესი ადგილობრივი წარმოშობისაა, ნაწილს კი სვანურის, აფხაზურის, ლაზურის, აგრეთვე ქართულის გავლენა ეტყობა. საქმე ის არის, რომ ეს ქართველური ტომები არა მარტო სახლობდნენ მოსაზღვრე ტერიტორიებზე, არამედ მათ მეჯოგებს გვერდიგვერდ ჰქონდათ საზაფხულო ბინები (კარეე, თიფუ) და იცოდნენ ერთმანეთის ენა. აქტიურმა კონტაქტებმა კი, თვის მხრივ, განაპირობა მეცხოველეობასთან და მთის ლანდშაფტთან დაკავშირებული ლექსიკის მსგავსება. უფრო გვიანდელი, მითუფრო თანამედროვე ტერმინები, როგორც წესი, ქართულის ანალოგია, ან კიდევ, საერთაშორისოდ მიღებული ტერმინებიდანაა წარმოებული.

რაც შეეხება რწმენა-წარმოდგენებს, ის გამომდინარეობდა ცნობიერებიდან და დაკავშირებული იყო ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ზოგი ეხებოდა სხვადასხვა რიტუალს, შელოცვას, მსხვერპლთშეწირვას, ნაწილი კი ურთიერთდახმარების ფორმებს და სხვა. დროთა განმავლობაში ამან, როგორც წესი, ტრადიციების, თუ ჩვევების სახე მიიღო და დღესაც საკმაოდ ხშირად გვხვდება აქ მცხოვრებთა ყოფა-საქმიანობაში.

აღნიშნულია, რომ მეგრული დიალექტის საკულტო ლექსიკის „...ნაწილი სათავეს წარმართული ეპოქიდან იღებს...“ და ამ „...ლექსიკურ ერთეულებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკუთრივ მეგრული წარმოშობა ეტყობა“ [48]. იმავე მონაცემებით, მეცხოველეობის უფრო გვიანდელი, ქრისტიანული საკულტო და სარიტუალო ტერმინების მნიშვნელოვანი ნაწილი „ფონეტიკურად და შინაარსობრივად ადაპტირებულია, ან უცვლელი სახით“ არის ქართული ენიდან მეგრულ დიალექტში დამკვიდრებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმართობიდან მომდინარე ძველთამველი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ჩანაცვლება და სრულად აღმოფხვრა, დროთა განმავლობაში, ვერ შეძლო ქრისტიანულმა და ისინი ყოველდღიურ ყოფაში გარკვეული დოზით გვხვდება შერწყმული სახით [61].

ცხოველების საწმყსოდ გასული მეჯოგე პირისპირ აღმოჩნდა ხშირად ულმობელი, ნიადაგ ცვალებადი გარემოს წინაშე და შეჭირვების ქამს იძულებული გახდა ეძებნა მისთვის უხილავი, მაგრამ, სავარაუდოდ, მფარველი ძალა.

ასეთი „მხსნელი“ მან იპოვნა მთავარანგელოზთა წყვილში, მიქაელსა და გაბრიელში (მიქამ-გარიო) [48], რომლებიც, მათ წარმოდგენაში, არიან მთის პატრონი, მათზეა დამოკიდებული დარი და ავდარი, ელვა და ჭექა-ქუხილი, თავსხმა წვიმა, სეტყვა და სხვ. აღნიშნულია, რომ პირუტყვთან ერთად, მიქამგარიო ადამიანის მფარველიც იყო და სამეგრელოში ლოცვითა (მეგრ. მიქამგარიოშ გითოხვამა) [62] და დიდი პატივით ხვდებოდნენ მის დღეს.

ს. მაკალათიას [24] თანახმად სამეგრელოში შინაურ ცხოველთა მფარველის თაყვანისცემის რიტუალს დიდმარხვამდე 17 დღით ადრე ასრულებდნენ, რა დროსაც ოჯახის დიასახლისი ყოველ სულ პირუტყვზე აცხობდა ორ-ორ ცალ, ერთს მრგვალსა და ერთს მოგრძო ფორმის კვერს [62] და ალაგებდა ნისორზე³⁷; ვახშმის წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი კვერს ოთხკუთხედ ნაჭრებად ჭრიდა, აიღებდა ნისორს, შედიოდა ბოსელში და ლოცვას წარმოთქვამდა: „ჟინი ანთარო, ბატონო გამარჯვებულო, ჩემის საქონელი შენ გამიმრავლე, ასობით ვიჭერდე და არაფერი ხდებოდეს, უშობელსა და ხბოიანს ვერ ვარჩევდე“ [63, 64]. ვინც ამ რიტუალს პირნათლად შეასრულებდა, მისი წარმოდგენით, ორინჯი, ნათესები და ხეხილი იმ წელს დაცული იყო და არ იზარალებდა.

თ. სახოკია [25] მიუთითებს, რომ მწყემსები ლოცვით და სიმღერით ცდილობდნენ მფარველის (მიქამგარიო/ერგე) გულის მოგებას „ძლიერ ხარ, ჩვენ უშენოდ არაფერი

³⁷ მეგრ. = მაგარი ჯიშის ხის მთლიანი მერქნისგან დამზადებული 40-50 სმ-ის დიამეტრის მრგვალი გობი.

შეგვიძლია, შენზე ვლოცულობთ, შენ წყალობას ნუ მოგვაკლებ, საქონელს ნუ შეგვიწუხებ, ... ადიდებდნენ მიქელ-გაბრიელს“.

მეჯოგეთა რწმენით, ენთარ//ანთარი-ად წოდებული (წარმოსახვითი) „ოთხფეხი“, იცავს რა ჯოგს ავი სულებისა და მტაცებელი ნადირისგანაც, ასევე, არის ოჯახისთვის „შვილიერების“, ნაყოფიერების მომტანი და ადამიანის მფარველიც. ამას უკავშირდება ძველი ხალხური გამოთქმა:

„მი'ყორს ფაცხა მარგალიში,
მო'ყუნაფილ ფარგალიში,
თექი ოკო მულარდას
სკვამი ცირა მარგალიში,
ფსლეიეფიშ³⁸ მარდუალი
ჭყოლოფუა ანთარიში...“

ნ. კვარაცხელია [63] ქართულად გვთავაზობს ლექსის ასეთ თარგმანს: „მიყვარს მეგრელის ფაცხა, ფარგალით „გამოყვანილი“, იქ უნდა იმყოფებოდეს, მეგრელის ლამაზი ქალი, შვილების აღმზრდელი, ანთარის წყალობით მომადლებული“.

წარმართულ პერიოდში მეჯოგეთა წარმოდგენაში პირუტყვის მფარველი ღვთაებად ითვლებოდა მისარონი. მ.ბუკიას [48] აზრით, დროთა განმავლობაში ის შეერწყა ქრისტიანული რწმენით მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა მფარველის, წმინდა გიორგის ცნებას და ჩამოყალიბდა ჯეგი-მისარონ³⁹-ის ფორმით.

³⁸ სხვა ვერსიით „ჭიჭელეფიშ“ (მეგრ.) = პატარების.

³⁹ ჯეგე / ჯერგე / ჯეგ / გეგე / ნიშნავს წმ. გიორგის.

მეგრელი მეჯოგეები თაყვანს სცემდნენ ნაყოფიერებისა და პირუტყვის გამრავლების წარმართულ ღვთაებათა წყვილს „ჟინიში ორთა“ და „გალენიში ორთა“ –ს, როგორც „ზეციურ ღვთაებას“ (ყიფშიძე, ციტირ. მ. ბუკიას, [48] მიხედვით). ამასთან, როგორც ჩანს, გალენიში ორთა არის, ზოგადად, „პირუტყვის მფარველი ღვთაება“, ჟინიში ორთა კი ორინჯის ნაყოფიერების, გამრავლების „ხელშემწყობი“.

მეჯოგე, ასევე, თაყვანს სცემდა მთავარანგელოზთა საყოფალოს, მთას და პირუტყვის მთაში გარევის წინ, აფუნობის დღესასწაულზე, მას ევედრებოდა; ლოცვასთან ერთად კი, ის მთის მფარველს წირავდა სარიტუალო ყველს და შესთხოვდა იალაღობიდან მშვიდობით დაბრუნებას.

საგულისხმოა, რომ ყველა ოჯახს, ისევე როგორც მეჯოგეს ნახირში, ჰყავდათ სამსხვერპლო, ე.წ. „გალუაფარი ოთხკუჩხი“ („გალუაფარი ოთხბორკამი“)⁴⁰. სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულზე, ძირითადად, ეს იყო ღორი ან წვრილფეხა პირუტყვი, ხოლო მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი შესაწირი იყო ზვარაკი.

მეჯოგეებში ღრმად იყო გამჯდარი ციური სხეულებისადმი, აგრეთვე, ზოგადად, ზეცისადმი რწმენა, რაც, მკვლევართა აზრით წარმართობის დროიდან არის შემორჩენილი. ერთ-ერთი ასეთია მთვარის კულტი, რომლის თანახმად ორშაბათობით⁴¹ არ შეიძლება (მეგრ. „ვაშინერს“) თმის შეჭრა და წვერის გაპარსვა [24]. უფრო მეტიც, სამეგრელოში მთვარის ღვთაებისადმი რწმენა იმდენად

⁴⁰ = „მემოსავლები“, შესაწირი ოთხფეხი.

⁴¹ ორშაბათი = თუთაშხა... თუთაშ დღა (მეგრ.) = მთვარის დღე;

აღიარებული იყო, რომ დიდმარხვის ორშაბათს ოჯახის დიასახლისი ფუძის სალოცავში, ოჯახის გამრავლებასთან ერთად „თუთაშხა ბედინერს“ ევედრებოდა პირუტყვის გამრავლებას [48].

თ. სახოვია [25] აღნიშნავს, რომ მეგრელი მეჯოგეები, მთვარესთან თანაბრად აღმერთებენ მზეს, რომლის ღვთაების სახელს ატარებს კვირის ერთ-ერთი კალენდარული დღე, ჟამხა⁴², რადგან ის არის „სინათლის, სითბოსა და სიცოცხლის წყარო“. ლოცვისას, ან დაფიცებისას ხშირად იტყვიან „მზის მადლი მე“... (მეგრ. „ბჟაშ მარდი მა“). მათი განმარტებით, მზის დაფიცება აღიქმება როგორც „...მზე ღმერთია, გვათბობს, თოვლს ადნობს მთაში, ხელს უწყობს ბალახის ამოსვლას და სხვ., მზე რომ არ იყოს, საქონელი სიცივით გაგვიწყდება და მწყემსიც ვერ იქნებოდაო“.

ს. მაკალათიას [24] თანახმად, პირუტყვის მფარველობასთან დაკავშირებული საკულტო რიტუალის ერთ-ერთი დღე იყო- „ცააშხა დიდებულ(ი)“⁴³. ამ დღეს შესაწირავად მზადდებოდა ყველი ე.წ. „ოცაშხური“, ლოცვას კი წარმოთქვამდნენ შემდეგი სიტყვებით: „ცააშხა დიდებულო, შენ გაამრავლე ჩემი საქონელი, დაიცავი ყოველივე ცუდისაგან, ავადმყოფობა შორს გაუდევნე, ძროხას ბევრი წველა მიეცი, ფურით და ხარით აავსე ჩემი ოჯახი“ [48].

აღწერილის მსგავსი რწმენა-წარმოდგენები იყო სხვა ცხოველების (ორენჯის) მფარველ ანგელოზებთან დაკავშირებით, რა დროსაც, წლის გარკვეულ დღეს და დღე-ღამის

⁴² = ჟამხა...ბჟაშ დღა (მეგრ.) = მზის დღე (კვირა).

⁴³ = ხუთშაბათი დიდებული; მეგრული კალენდარით ხუთშაბათი არის ცის დღე-ცაშ-დღა“.

გარკვეულ პერიოდში სრულდებოდა რიტუალები, დაანთებ-დნენ სანთელს, აღავლენდნენ ლოცვას და გაიღებდნენ შესაწირს.

ცხოველთა დაავადებების ხალხური მკურნალობისა და ვეტერინარული მომსახურების შესახებ

შემოჩვევა-მოშინაურების დღიდან ადამიანთა მოდგმის წინაშე დადგა პირუტყვის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვის აუცილებლობა. საუკუნეების მანძილზე ისინი ცდილობდნენ გამოევლინათ სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზები, აკვირდებოდნენ და სწავლობდნენ კლინიკურ ნიშნებს, აგრეთვე ცდილობდნენ მოექმებნათ მათი საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები.

დროთა განმავლობაში, ემპირიული მონაცემებისა და გამოცდილების თაობიდან-თაობაზე ზეპირად გადაცემით იცვლებოდა, ივსებოდა და იხვეწებოდა შეხედულებები ამა თუ იმ დაავადებაზე, თანდათანობით, გროვდებოდა, მეტ ნაკლებად სრულყოფილი ხდებოდა და ვრცელდებოდა ცოდნა, რაც მეჯოგეებს საშუალებას აძლევდა, საჭიროების შემთხვევაში, თავადვე აღმოეჩინათ დახმარება ცხოველისთვის, მაგ. ტრავმული დაზიანებისას, ან მშობიარობისას და სხვ. [65].

ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში და მეჯოგეებში გაცილებით მეტი ინფორმაცია მოიპოვება მსხვილფეხა პირუტყვის დაავადებებისა და მათი მკურნალობის შესახებ, ხოლო წვრილფეხა მეცხოველეობაში, ძირითადად ცხვრის

მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ჭარბობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების მცხოვრებთა შორის.

დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ბიოლოგიურად დასაბუთებული მეთოდების, აგრეთვე სამკურნალწამლო და პროფილაქტიკური პრეპარატების დადგენა-შემუშავებამდე და მეცხოველეობის პრაქტიკაში დანერგვამდე, მეჯოგეებს, რა თქმა უნდა, ჰქონდათ თავისებური წარმოდგენები, ასე ვთქვათ, ფილოსოფიური შეხედულება თუ მსოფლმხედველობა სიცოცხლის წარმოშობაზე, ავადმყოფობასა და მის მიზეზებზე, აგრეთვე დაავადებული ცხოველის მკურნალობის წესებსა თუ საშუალებებზე;

გასული საუკუნის დასაწყისისთვის, არსებული რეალიებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრება ვეტერინარული და ზოოტექნიკური მეცნიერებების ახალი მიღწევების საფუძველზე.

აღნიშნული, რა თქმა უნდა, ეხება მწვავე ინფექციურ დაავადებებსაც, რომლებიც მუსრს ავლებდა ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველს. ასე, მაგალითად, 1909 წელს კავკასიის სოფლის მეურნეობის ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცხოველეობის აღმავლობას ხელს უშლიდა, ერთის მხრივ, სტიქიური მომთაბარეობა და ბუნებრივი სავარგულების გადატვირთვა და, მეორეს მხრივ, ვეტერინარული დახმარების უკმარისობა. ამასვე ადასტურებს ა. ურდულაშვილი [66], რომელიც აღნიშნავს, რომ პირველ მსოფლიო ომამდე და მის შემდგომ პერიოდში საკმაოდ ხშირი იყო

ჯილეხის, ძროხის, ჭირის, თურქულის, ქოთაოს, ექინოკო-კოზისა და სხვ. შემთხვევები, რომელიც საკმაო ზარალს აყენებდა დარგს.

ვეტერინარული მეცნიერების განვითარებამდე პერი-ოდში პირუტყვის მკურნალობა, როგორც წესი, ემყარებოდა ცრუ რწმენებს, ხოლო განკურნების ერთ-ერთ, საკმაოდ ხშირად კი ერთადერთ პირობად, სხვადასხვა სახის შელოცვა მიაჩნდათ. საქმე ის არის, რომ ავადმყოფობის მიზეზად, როგორც წესი, იმ დროს „ავ თვალს“ თვლიდნენ და თუ ცხოველს დროულად შეულოცავდნენ, მათი წარმოდგენით, ის გადარჩებოდა.

შესალოცად, უმეტეს შემთხვევაში, იწვევდნენ ცნობილ შემლოცავებს, ე.წ. „გრძნეულ“ ადამიანებს, რომლებიც თითქმის ყველა სოფელში იყო. ლოცვის („ნათვალების ლოცვა“) სიტყვები და მისი შესრულების რიტუალი, ისევე როგორც სამკურნალო მცენარეებისგან წამლების დამზადების „რეცეპტები“, სრულიად განსხვავებული და ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო და „ცოდნა“ შთამომავლობით, ოჯახში მშობლებიდან შვილებზე ზეპირად გადადიოდა.

„ჯადოსნური ძალის“ მქონე მლოცველები ზოგიერთ სოფელში დღესაც არიან.

ცხოველებში დაავადების მასობრივად გავრცელებისას, ლოცვებთან ერთად, არც თუ იშვიათად, მეჯოგე, მფარველ-ანგელოზს ჰპირდებოდა შესაწირს.

სამეგრელოში ცნობილი იყო მსხვილფეხა პირუტყვის რამოდენიმე სახესხვაობის დაავადება, საერთო სახელით „გელა“, რომლის კლინიკური ნიშნებია „...პირუტყვს ზურგი

სტკივა ამიტომ ადგომა ეზარება და გორაობს“. ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, მ. ბუკია [67] წერს, რომ „ამ ავადმყოფობას იოლად არჩენენ შელოცვით“, რა დროსაც შემლოცავი წარმოთქვამდა შემდეგ სიტყვებს: „ელისა, კელისა, კელი კესანდიასა, უთუთია უჰა, არსექმიშ შვილი, არსქემიშ ბორზალი, ღმერთო უშველე ამ ძროხასა (ხარსა)“. იმავე მონაცემებით, ამ დაავადების განკურნებას, ასევე, ცდილობდნენ ერთ-ერთი ჯიშის „სათლელი ატმის“ ტოტების ზურგზე წასმით („დაავარცხნით“), ან კიდევ ყურის წაჭრითა და სისხლის გამოშვებით;

მსგავსი კლინიკური ნიშნებით აღწერენ ჯ. სვანიძე და სხვ. [47] იმერეთში, ეთნოგრაფიული კვლევისას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ნაამბობს, დაავადებას „წელკავი“ („საქონელი წელში კლაკვნას დაიწყებს და მიწს დაეცემა“); მის გამომწვევ მიზეზად დაასახელებულია ადრე გაზაფხულზე საძოვარზე გაშვებული პირუტყვის მიერ ნორჩი ალაფა (Sorghum halepense) ბალახის ჭამა. აქვე მოცემულია ამ დაავადების ხალხური მკურნალობის ხერხი „...საქონელს გავუჭრიდით კუდს და სისხლს გამოვუშვებდით, ჭრილობაში აყრიდნენ მარილსა და შაბს“.

ძროხასა და სხვა მცოხნავ ცხოველებში საკმაოდ ხშირი ყოფილა დაავადება, სახელად „ბარუ“, ანუ გაბერვა. ითვლებოდა, რომ მას იწვევს მომწვანო-მოყვითალო ბუსუსებიანი მატლი „ბარუ“⁴⁴, რომელსაც ცხოველი ჩააყოლებს საკვებს, რაც იწვევს მის (მუცლის) გაბერვას.

⁴⁴ ტერმინი „ბარუ“, ნაწარმოებია სიტყვა „ბარუა“-დან, რაც მეგრულად ნიშნავს ბერვა-ს, გა-ბერვა-ს;

მეჯოგეთა წარმოდგენით, ბარუსგან განკურნება შეეძლო ადამიანს, რომელსაც ერთხელ მაინც ფეხით (ქუსლით) მოუკლავს ეს მატლი. „მკურნალობისას“, ის ქუსლს წაუსვამდა პირუტყვს მუცელზე, თან შესძახებდა „ბარუ მი'ყვილ“⁴⁵ და ამით გაბერვა თანდათან გაუვლიდა.

ჯ. სვანიძის და სხვ. [47] მიერ შეგროვილი ეთნოგრაფიული მონაცემების ვერსიით, გაბერვისას, პირუტყვს გაუხსნიდნენ პირს, გარდიგარდმო ჩაუდებდნენ ჯოხს, თოვით რქებზე ამაგრებდნენ მას და ასე, გახსნილი პირით არბენინებდნენ. აქვე აღწერილია გაბერვის მოსახ-სნელად მკურნალობის სხვა ხერხების: „ტანზე კუდის მიმაგრების ადგილზე ცხოველს სისხლძარღვს გაუჭრიდნენ და სისხლს გამოუშვებდნენ“, ან კიდევ „...ცივი წყლით გაბანდნენ და შემდეგ არბენინებდნენ“.

სამეცნიეროში, განსაკუთებით კი კოლხეთის ჭარბტენიან საძოვრებზე შენახვისას, დღესაც საკმაოდ ხშირად გვხვდება ბალახისმჭამელ ცხოველთა დაავადება, რომელიც ცნობილია „ფარფალი(ა)-ს⁴⁶ სახელით. მას მეჯოგები ოდითგანვე მკურნალობდნენ წყალში, ან შაბიამნის ხსნარში გახსნილი კვერცხის, დანაყილი წიწაკის, და ჭვარტლის ნარევით. სამკურნალოდ, ასევე, იყენებდნენ შროშანისებრთა ოჯახის წარმომადგენელ, ე.წ. შხამა ბალახს (*Veratrum lobelianum Bernh.*, „ლობელის შხამა“⁴⁷), რომელიც, უპირატესად, გვხვდება მთისწინა და მთის ზონაში. საყურადღებოა, რომ დღეს ამ მცენარის ფესურისა და

⁴⁵ = „ბარუ მომიკლავს“.

⁴⁶ = ფასცელოზი, „ღვიძლის პეპელა“,

⁴⁷ = მეგრ. აპურტაკი

ფესვების ნახარში გამოიყენება ვეტერინარიაში, ცხოველებისთვის მადის აღსაძვრელად და კუჭის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მ. ბუკიას [67] მიერ ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევების მონაცემებიდან გამომდინარე, ასევე აღწერილია მცოხნავი ცხოველების სხვა დაავადებები: 1. ღვაჭა, იგივე ღვანწკის ჭუა⁴⁸ („ქვედა ყბაზე, საცოხნი ხორცლების გასწვრივ ჩნდება მჩხვლეტავი...“, წარმონაქმნი, რომელიც ცხოველს „...ხელს უშლის ბალაბის ძოვნასა და ცოხნაში“; 2. „ბელენე“ (დამახასიათებელია „გამწარებული...“, „...უმიზეზო ბღავილი...“) (ცოხვნის შეწყვეტა, მოუსვენრობა, რაც „...ასუსტებს და ბოლოს კიდეც კლავს საქონელს“); 3. „ბირცხა“, ყველა სახეობის ცხოველის თვალის დაავადება („...თვალის გუგას რკალურად შემოუჯდება რქოვანი გარსი“) და სხვ. აქვე მოცემულია მათი ხალხური მკურნალობის წესებიც.

XVII საუკუნიდან, საქართველოში გამოჩნდა ხელნაწერები (კარაბადინები), მათ შორის ცხოველთა დაავადებებსა და მათ სამკურნალო საშუალებებზე; აღნიშნულია [65, 68, 69], რომ ისინი შედგენილია ადგილობრივი გამოცდილებაზე დაყრდნობით, ან გადმოქართულებულია უცხოური ხელნაწერებიდან.

დღემდე ცნობილი ქართული ვეტერინარული 47 კარაბადინიდან, 35 ცხენისაა, ხოლო ზოგიერთ მათგანში მოცემულია ცნობები პრაქტიკულად ყველა სახეობის ცხოველთა და ფრინველთა დაავადებებზე, მათ გამომწვევ

⁴⁸ მეგრ. =ყბის ტკივილი.

მიზეზებზე, სამკურნალო საშუალებებსა და მკურნალობის წესებზე.

იმ დროისათვის ცხენისადმი ასეთი ყურადღება ბუნებრივია, ვინაიდან ის გამოიყენებოდა მრავალმხრივ: სამხედრო საქმეში, სატრანსპორტო საშუალებად და სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე, როგორც გამწევი ძალა, აგრეთვე საცხენოსწო სპორტში.

კარაბადინი, რა თქმა უნდა, საკმაო წინსვლად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ აღნიშნულ ხელნაწერებს პრაქტიკოსი მეცხოველები ვერ იყენებდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის, აგრეთვე ხელმიუწვდომლობის გამო.

მდგომარეობის თანდათანობით გამოსწორება დაიწყო ვეტერინარული მეცნიერების განვითარების, შესაბამისი სამსახურების ჩამოყალიბებისა და კვლევითი ლაბორატორიების შექმნის კვალობაზე. ჯ. მაღლაკელიძისა და სხვ. [70]. მონაცემებით, თბილისში 1889 წელს დაარსდა პასტერის სადგური, თბილისის სავეტერინარო ლაბორატორია დაარსებულა 1907 წელს, ხოლო მის ბაზაზე 1941 წელს ჩამოყალიბებულა რესპუბლიკური სავეტერინარო ლაბორატორია (შემდგომში საქართველოს ვეტერინარული დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი).

იმავე მონაცემებით, გასული საუკუნის 30- იანი წლებიდან საქართველოში ფუნქციონირებდა რესპუბლიკური ვეტერინარული სამსახური, რომელსაც პრაქტიკულად ყველა რაიონში ჰქონდა თავისი ქვედანაყოფი-ვეტერინარი. 1939 წლის ბოლოსათვის ქვეყნის მეცხოველეობას ემსახურებოდა 175 ვეტერინარულ-საექიმო და 88 ვეტრინარულ-საფერშლო პუნქტი, აგრეთვე 17 ვეტერინარულ-ბაქტერი-

ოლოგიური სარაიონთაშორისო ლაბორატორია [71]. გარდა ამისა, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, იმ საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც ჰყავდათ პირუტყვი, ან ფრინველი, შექმნილი იყო ვეტერინარული მომსახურების რგოლი, რომელშიც დასაქმებულები იყვნენ უმაღლესი განათლების ვეტერინარი ექიმები და საშუალო-სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ვეტფერშლები; მათ ფუნქციებში შედიოდა, როგორც საზოგადოებრივ, ასევე ამავე სოფელში მცხოვრებთა პირად-დამხმარე მეურნეობების პირუტყვისა და ფრინველების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ინფექციური და ინვაზიური დაავადებების საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ჯიშთა წარმოქმნის პროცესის მამოძრავებელი ძალები

დაწყებული ნეოლითის ხანიდან, პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური და ბატონყმური წყობილების პერიოდებში, გარემოს (ბუნებრივი გადარჩევის) და ნაწილობრივ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გავლენით ცხოველთა პროდუქტებიულობა და სხვა სამეურნეო თვისებები რამდენადმე შეიცვალა;

გვიანი ფეოდალური ხანის ტრადიციული გლეხური მეურნეობა ემყარებოდა თვითუზრუნველყოფის პრინციპს, ხოლო მცირე რაოდენობით ნამეტი პროდუქცია, როგორც წესი, იცვლებოდა სხვა საგნებსა თუ პროდუქტებზე. კაპიტალისტური ურთიერთობის ჩამოყალიბების კვალობაზე

მოთხოვნილების ზრდასთან ერთად გლეხების/ფერმერების წინაშე დადგა ახალი ამოცანები, გაიზარდა ბაზრის მოთხოვნილება, რაც პროდუქციის წარმოების გასაზრდელად მნიშვნელოვანი სტიმული იყო და თავისი ასახვა ჰქოვა ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანის საქმიანობის გააქტიურებაში. ამდენად, ამ ეტაპიდან ცხოველთა სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებების დივერგენციაში ბუნებრივ და კლიმატურ-გეოგრაფიულ (ეკოლოგიურ) პირობებთან ერთად, გადამწყვეტი გავლენა იქონია სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ანუ კონკრეტულ რეგიონში მცხოვრეთა მსოფლიერებამ, კულტურამ, ტრადიციებმა და ყოფითმა მოთხოვნებმა.

ასე, მაგალითად, XVIII-XIX საუკუნეებში ბრიტანეთის მოსახლეობაში მსუქან ხორცზე გაზრდილი მოთხოვნის პასუხად, გამოყვანილი იქნა ცხიმის საკმაო რაოდენობით შემცველი ხორცის მომცემი ძროხისა და ღორის (შორთჰორნი, ბერქშირი), ხოლო საფეიქრო მრეწველობაში ბუნებრივ ბოჭკოზე (გრძელ, ნაზ მატყლზე) მოთხოვნის გადიდება დაკმაყოფილდა ლინკოლნისა და ლესტერში-რული ცხვრის ჯიშების გამოყვანით [72, 73]. იმავე პერიოდში გერმანიაში, ნიდერალანდებსა და შვეიცარიაში ჩამოყალიბდა ოსტფრიზული, ჰოლანდიური, სიმენტალური და შვიცური ჯიშების ახალი ტიპის, უფრო მაღალპროდუქტიული ცხოველები. მსგავსი მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ გასული საუკუნის აშშ-ის სახორცე მემროხეობის [74], ავსტრალიის მერინოსული მეცხვარეობის და მრავალი სხვა ქვეყნის მეცხვარეობის ისტორიიდან [75,76] რა თქმა უნდა, კონკრეტული პროდუქტიული

მიმართულების ჯიშების ფორმირებაში, ადამიანის მიერ თაობების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე განხორციელებულ ხელოვნურად გადარჩევასთან და შერჩევასთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა ამა თუ იმ ქვეყნის კლიმატურმა და ნიადაგობრივმა პირობებმა, რელიეფმა, ბუნებრივი საკვები სავარგულების რესურსებმა და სხვ.

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოდითგანვე წამყვანი იყო სამი მიმართულება, მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა და მეცხოველეობა. ამასთან, ქვეყნის პრაქტიკულად ყველა რეგიონში მეცხოველეობის დარგებიდან პრიორიტეტული იყო მემროხეობა, ხოლო ცალკეულ მიკროზონებში უპირატესობა ენიჭებოდა სხვა სახეობის ცხოველთა მოშენებას.

ცნობილია, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია, ანუ სრულიად განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და მულტიეთნიკურ-მულტიკულტურული სივრცე იმპერიის მიერ განიხილებოდა როგორც ერთიანი რეგიონი და იმდროინდელ ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ სხვა სახის ცნობებში, აქ მიმდინარე პროცესები, როგორც წესი, აისახებოდა ერთად. ამის გამო, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ზოგადად საქართველოს აგრარული სექტორისა და, მათ შორის, მეცხოველეობის მდგომარეობაზე მასალები მეტად მწირია.

1850 წელს ქ. თბილისში დაარსებული კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება (Кавказское общество-

ство сельского хозяйства) миზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას და ამ სფეროში ეკონომიკური საქმიანობის მოწესრიგებას. საზოგადოების გადასაწყვეტი ამოცანებიდან ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის საკვები ბაზით უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა [77]. არსებული მდგომარეობის შესაფასებლად და საქმიანობის ორიენტირის განსაზღვრის მიზნით ამ საზოგადოებამ 1951 წელს ჩაატარა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პირველი აღწერა, რომლის მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოში ჰყოლიათ 702,3 ათასი მსხვილფეხა პირუტყვი, 93,6 ათ. ცხენი, 263,3 ათ. ღორი 1355,7 ათ. სული ცხვარი და თხა, აგრეთვე აქლემი და სხვა სახეობის ცხოველები; ამავე მონაცემებით, ქუთაისის გუბერნიის ხვედრითი წილი საერთო სულადობაში (აჭარის მთლიანად და აფხაზეთის ნაწილის გარეშე) საკმაოდ მოკრძალებული ყოფილა; აქ ჰყოლიათ ქვეყანაში არსებული ძროხის 17,7, ღორის- 39,9 ცხვრისა და თხის, ერთად - 6,2, და ცხენის -19,7%.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული პირუტყვის ავკარგიანობაზე, მათი მოვლა-შენახვისა და კვების პირობებზე ერთ-ერთ პირველ და საყურადღებო ოფიციალურ ცნობად შეიძლება ჩაითვალოს 1875 წელს გაზეთ „Записки Кавказского Общества сельского хозяйства“-ში, გამოქვეყნებული რ. ერისთავის (Р. Эристов [78]) სტატია; მასში აღნიშნულია, რომ „...იმერეთი, ერთი შეხედვით, ძროხის მოსაშენებლად შეუფერებელი ადგილია, ვინაიდან აქ პრაქტიკულად არ არის სათიბები და, მიუხედავად ამისა,

თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს წყვილი მუშა ხარი და ფური, ხოლო შეძლებულებს რამდენიმე წყვილი ხარი და ხარკამეჩი”. აქვე მითითებულია, რომ ზაფხულობით ცხოველთა ერთადერთი საკვებია საძოვრის ბალახი, რომელიც, ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობის ისლისნაირი ცენოზით, ზამთარში კი მათ კვებავენ სიმინდის ჩალით, მარცვლოვნების ბზეთი და ეზოში გათიბული ბალახისგან მცირე რაოდენობით დამზადებული თივით.

ამავე გაზეთის მომდევნო, მე-4 ნომერში [79] დაბეჭდილ სტატიაში კი აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ძროხა არის ძალიან პატარა ტანის, რის გამო მუშა პირუტყვად, ძირითადად, გამოიყენება კამეჩი. რაც შეეხება დარგის საერთო მდგომარეობის აღწერას, ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ მეჯოგები საკმაოდ ზარალობენ ზამთარში საკვების მარაგის უქონლობის გამო, აგრეთვე სხვადასხვა დაავადებათა მიზეზით.

პ. გუგუშვილის [80, 81] თანახმად, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგრარული სექტორის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგი ყოფილა მეცხოველეობა. ის ხაზს უსვამს, რომ ქალაქების მიმდებარედ მეტი ყურადღება ექცეოდა კარგად მეწველი ცხოველების მოშენებას, სხვაგან კი რძის წარმოება მხოლოდ საოჯახო მოხმარებაზე იყო ორიენტირებული, სადედე სულადობას კი ძირითადად ინახავდნენ მიღებული ნამატიდან მუშა პირუტყვის გამოსაზრდელად.

ზოგადად საქართველოში და მის დასავლეთ ნაწილში გავრცელებული ძროხის სამეურნეო-ბიოლოგიურ თვისებებზე მეტ-ნაკლებად ღირებული წერილობითი ცნობები,

მცირე დოზებით, წარმოდგენილია, ასევე, „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებული“- სა (1878-1883) და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების შრომები“- ში (1884-1893), აგრეთვე პერიოდულად, 1860 წლიდან თბილისში, 1889 წელს ქ.ქუთაისსა და 1900 წელს ქ.ბათუმში ჩატარებული სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოფენის მასალებში [82, 83, 84].

დ. ნოსოვიჩი [41] 1885 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავს, რომ ზუგდიდის, სენაკისა და ოზურგეთის მაზრებში ერთ კომლზე მოდიოდა 2-3 სული პირუტყვი, ა. კალანტარი [84, 85] კი მიუთითებს, რომ კავკასიის რეგიონში აღინიშნება ცხოველების დიდი სიმჭიდროვე; მისი მონაცემებით, 1 დესეტინა⁴⁹ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდის 5,7 პირობითი სული ყველა სახეობის, მათ შორის 3,5 სული მსხვილფეხა პირუტყვი. ცხოველთა პროდუქტიულობაზე საუბრისას კი აღნიშნულია, რომ საძოვრებისა და გასადევრების შეზღუდული ფართობების გამო, ფურების მონაწველი მეტად დაბალი ყოფილა და, ძირითადად, ხმარდებოდა ოჯახის შიდა მოთხოვნილებას.

ა. ურდულაშვილის [66] მიერ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მიუხედავად ერთეულ ფართობზე ცხოველთა მაღალი სიმჭიდროვისა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მათი სულადობა სტაბილურად იზრდებოდა, გამონაკლისი იყო ცალკეული

⁴⁹ = 1,09 ჰა

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

წლები, როდესაც მწვავე ინფექციური დაავადებების მიზეზით აღინიშნებოდა მათი მასობრივად დახოცვის შემთხვევები. ანალოგიური ტენდენცია შენარჩუნდა XX საუკუნეშიც, რაზეც მეტყველებს პ. გუგუშვილის [87] მიერ 1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომისა და საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემები (ცხრილი 1).

ცხრილი 1. XIX და XX საუკუნეებში სასოფლო-სამეურნეო

ცხოველთა სულადობის დინამიკა საქართველოში

[87, 88, 89- ს მიხედვით]

წლები	ძროხა	კამეჩი	ღორი	ცხვარი	ცხენი
1865	1451540	*)	380487	1474128	125762
1903	1010898	141909	300967	2545283	152736
1912	1272027	152576	262183	1766189	126144
1921-23	1145000	*)	*)	1015000	75000
1938	1747000	*)	684000	1943000	167000
1958	1415000	*)	579000	1943000	98000
1978	1532000	*)	828000	2023000	36000
1988	1584800**)	*)	1117800	1825700	*)
1998	1050900**)	*)	365900	553200	*)
2008	1045500**)	*)	86400	602300	*)
2018	878900**)	*)	163200	819100	*)

* მონაცემები არ არის;

**) ძროხა და კამეჩი ერთად.


ეკონომიკური თვალსაზრისით, ცხოველების რაოდენობის ცოდნასთან ერთად, არსებული მდგომარეობაზე

საგულისხმო მსჯელობის საშუალებას იძლევა საერთო სულადობაში სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი და სამეურნეო დანიშნულების პირუტყვის ხვედრითი წილის მაჩვენებლები. იმავე მონაცემებზე დაყრდნობით შესრულებული გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა წლებში მსხვილფეხა პირუტყვის საერთო სულადობაში ფურების ხვედრითი წილი საკმაოდ დაბალი, პრაქტიკულად მუშა პირუტყვის ხვედრითი წილის ტოლი ყოფილა (32-33,0%); ნახირის ასეთი სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ მსხვილფეხა მეცხოველეობა ორიენტირებული იყო სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო სამუშაოების შესასრულებლად მუშა პირუტყვის მიღებაზე, რაც არის წარმოების ექსტენსიური ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელი.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ პუბლიკაციებში მირთადი აქცენტი კეთდებოდა სახეობების მიხედვით ცხოველთა სულადობასა და ერთეულ ფართობზე სიმჭიდროვეზე. რაც შეეხება მათ პროდუქტიულობას და სხვა სამეურნეო-ბიოლოგიურ თვისებებს, ეს საკითხები შუქდებოდა მინიმალურად და ფრაგმენტულად, მირთადად შეფასებული იყო მსხვილფეხა პირუტყვის მუშაობის უნარიანობა, ხოლო ჯიშობრივ შედგენილობასა და მათ სარძეო თუ სახორცე პროდუქტიულობის დონეზე ცნობები პრაქტიკულად არ გვხვდება.

გამონაკლისს შეადგენს რამოდენიმე ნაშრომი, რომლებშიც საუბარია დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ მსხვილფეხა პირუტყვზე; აღნიშნულია, რომ ცხოველები, მართალია გარეგნულად ლამაზები, მაგრამ პატარა ტანისანი არიან; აქვე მითითებულია, რომ უფრო

დიდტანიანი ცხოველები ყოლიათ რაჭაში, სადაც კვებისა და მოვლა-შენახვის პირობები უკეთესი ყოფილა.



სურ. 27. ურეში და გუთანში შემზული ქართული მთის ძროხის

მეგრული ჰოპულაციის მუშა ხარები (წყარო: 1. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა; https://ka.wikipedia.org/wiki/ვაილი:Travels_in_the_central_Caucasus_and_Bash_P.479.jpg; 2. <https://travelingeorgia.com/ka/281184635334234/>)

მსხვილფეხა პირუტყვის ადგილობრივი (კავკასიის) გენოფონდის ჯიშობრივ შედგენილობაზე საუბარია 1868 წელს, ქ. თბილისში ჩატარებული გამოფენის მასალებში; აღნიშნულია, რომ აქ წარმოდგენილი მსხვილფეხა პირუტყვი მიეკუთვნებოდა ორ ჯგუფს: 1. მთის, რომელიც იყო შედარებით პატარა ტანის და 2. ბარის, რომელიც გამოირჩეოდა უფრო დიდი ტანითა და უკეთესი სამუშაო თვისებებით. ასეთივე დასკვნას აკეთებს ა. კალანტარი [85, 86], რომელმაც, პირველმა მეცნიერულად შეისწავლა

სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული მსხვილფეხა პირუტყვი. მისი აზრით, რუსეთის იმპერიაში შემავალ ამ რეგიონში გავრცელებული აბორიგენული ძროხა არის მრავალსაუკუნოვანი ხალხური სელექციის ნაყოფი და წარმოდგენილია ორი ძირითადი ჯგუფით (ჯიშით): დიდკავკასიური, რომელიც გავრცელებულია მდ. მტკვარის ჩრდილოეთით და მცირეკავკასიური- რომელსაც აშენებს ამ მდინარის სამხრეთით მცხოვრები მოსახლეობა.

ეს კვლევები, რა თქმა უნდა იმ დროისთვის საკმაოდ პროგრესული ნაბიჯი იყო, რომელმაც მეტ-ნაკლებად ხელი შეუწყო ადგილობრივი მსხვილფეხა პირუტყვის შეცნობის საკითხს; მაგრამ, მის საფუძველზე შედგენილი კლასიფიკაცია შორს იყო ჭეშმარიტებისგან, ვინაიდან ამოსავალ წერტილად ა. კალანტარმა აიღო მხოლოდ არეალი, ტერიტორია, გამყოფი ხაზით მდინარე მტკვარზე. ასეთი დაყოფა, აშკარად ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან არ ითვალისწინებდა კავკასიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილების დიამეტრალურად განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებს, აგრეთვე აქ მცხოვრები, განსხვავებული კულტურისა თუ მსოფლედველობის ეთნოსების მიზანმიმართული ხალხური სელექციით ჩამოყალიბებული ცხოველების სანაშენე და პროდუქტიულ თავისებურებებში საკმაოდ ხელშესახებ განსხვავებებს. არადა იმ პერიოდის-თვის უკვე ცნობილი იყო ქართული, დაღესტნური, ოსური, ჩეჩენური, ყარაჩაული, სომხური, კაზახური, ქურთული, და სხვ. ძროხის თაობაზე.

ა. კალანტარის კლასიფიკაცია მიუღებელია იმიტო-მაც, რომ მას არ შეუსწავლია და, ამდენად, თვალსაჩიერს

მიღმა დარჩა საქართველოს დასავლეთ ნაწილში გავრცელებული ძროხის პოპულაციები.

ქართველ ზოოტექნიკოს მეცნიერთა ძალისხმევით, დროთა განმავლობაში, ეს ხარვეზი გამოსწორებული იქნა. არსებული რეალობიდან გამომდინარე, მათ ცალკე გამოყვეს სამხრეთ კავკასიის საქართველოს ტერიტორიაზე, დიდი და მცირე კავკასიონის მთის ზონაში გავრცელებული, გენეტიკურად მონათესავე მსხვილფეხა პირუტყვი და უწოდეს ქართული მთის ძროხა; თავის მხრივ, ის აერთიანებდა: ფშავ-ხევსურულ, მოხევურ, ოსურ, რაჭულ, აფხაზურ და აჭარულ ჯილაგებს; რაც შეეხება ქართული მთის ჯიშის მეგრული ჯილაგის ცხოველთა ნაწილს, რომელიც ჩამოყალიბებული იქნა მეჯოგეთა მიზანმიმართული სასელექციო მუშაობის შედეგად, სულადობითა და კონსოლოდაციის ხარისხით აკმაყოფილებდა ჯიშად აღიარების იმ დროისათვის დადგენილი ნორმების ყველა მოთხოვნას და გამოყოფილი იქნა ცალკე, „მეგრული წითელ ჯიში“-ს სახელით.

ცნობილია, რომ იმ პერიოდისათვის საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველები და, მათ შორის ძროხა საკმაოდ დაბალპროდუქტიული იყო. ამის გამომწვევი მიზანების გამოვლენა საჭიროებდა არსებული მდგომარეობის სრულფასოვან და კომპლექსურ შესწავლას.

ვითარების გამოსასწორების ერთ-ერთ წინაპირობად აღიქმებოდა ქართულ ენაზე სპეციალური ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების გამოცემა, აგრეთვე, რაც მთავარია, ცოდნის უშუალოდ მეცხოველებამდის მიტანა. საქმე ის არის, რომ იმ პერიოდში პრაქტიკოს მეცხოველეთა უდი-

დესმა უმრავლესობაში წერა-კითხვა არ იცოდა. სირთულე იყო იმაშიც, რომ იმპერიის ფარგლებში შედგენილი პრაქტიკულად ყველა სახის სპეციალური ლიტერატურა, გამოდიოდა რუსულ ენაზე.

აქედან გამომდინარე, მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან საშუალებად მოიაზრებოდა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც არსებულ ცოდნასა და გამოცდილებას მიიტანდნენ უშუალოდ ადგილებამდე-„ფერმის კარებამდე“. სწავლების პროცესის გააქტიურებისა და ეფექტურობის ამაღლებისთვის მეტად საშური საქმე იყო საჩვენებელი ფერმებისა და/ან სადგურების მოწყობა, სადაც სოფლად მაცხოვრებლებს ექნებოდა შესაძლებლობა გაცნობოდნენ სიახლეებს.

მდგომარეობის გამოსწორების პირველი მცდელობა იყო თბილისთან ახლოს, სოფ, ლოჭინში სასწავლებლის დაარსება (1864 წ.), რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანელი აგრონომი გუსტავ ფივეგი. როგორც ზ. შერმაზანაშვილი [90] აღნიშნავს, სკოლა აღჭურვილი ყოფილა იმ პერიოდის-თვის მოწინავე აპარატ-მოწყობილობებით, ლაბორატორიებით, საბუნებისმეტყველო კოლექციებით, ხოლო ფერმაში ჰყოლიათ სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო, მათ შორის უცხოური ჯიშის ცხოველები. სასწავლებელში, თეორიული მასალების გაცნობასთან ერთად, მსმენელები უშუალოდ მონაწილეობდნენ ფერმის საწარმოო პროცესებში, რა დროსაც ეუფლებოდნენ ცხოველთა მოვლა-შენახვისა და კვების წესებს, აგრეთვე რძის მიღებასა და გადამუშავების მეთოდებს. სამწუხაროდ ამ სასწავლებელმა იარსება არასრული 15 წელი.

ადგილობრივი პირუტყვისა და ფრინველების ჯიშობრივი გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იმ წლებში განიხილებოდა იმპორტირებულ „ჯიშიან პირუტყვთან“ შეჯვარება. ამის გათვალისწინებით ირანიდან შემოიყვანეს მურგუზის ჯიშის თხა, ინგლისიდან გამოიწერეს კოხინხინისა და დორკინგის ჯიშის ქათმები, სხვადასხვა წლებში დაგეგმილი იყო შოტლანდიდან და ჰოლანდიდან მაღალპროდუქტიული სარძეო მიმართულების ძროხის მწარმოებლების შემოყვანა, მათ შორის სამეგრელოში გავრცელებულ პირუტყვთან შესაჯვარებლად და სხვ. [91]. საყოველთაოდ ცნობილია, აგრეთვე, 1863 წლიდან გერმანელი მემამულე ა.კუჩენბახის მიერ დმანისის რაიონში შვიცური ჯიშის შემოყვანის, მისი ადგილობრივ ძროხასთან შეჯვარებისა და შვეიცარიული ყველის წარმოების დაწყების თაობაზე, რამაც დიდი სტიმული მისცა საქართველოში სარძეო მეძროხეობის განვითარებას [92].

სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და პრაქტიკაში სიახლეების დაწერგვის საქმიანობას, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხელი მოჰკიდეს ცალკეულმა ქართველმა ენთუზიასტებმა, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის თეორიისა და პრაქტიკის გავრცელების საქმეში. მათ შორის იყვნენ ნ. ყავრიშვილი, რ. გედევანიშვილი, ა. ნატროშვილი, ი. წინამდლორიშვილი, ნ. მკურნალი და სხვები; სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოში მსგავს პროცესებზე ინფორმაცია საძიებო სისტემაში არ მოიპოვება. გამონაკლისს შეადგენს კავკასიის მეფისნაცვლის მიერ 1859 წელს გამოცემული ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა გავრცელებული

მეგრული ცხენის მუშაობისუნარიანობის გასაუმჯობე-სებლად ქუთაისის გუბერნიაში ცხენთსაშენის დაარსებას [ციტ. 91- ის მიხედვით].

დარგის სპეციალისტებთან ერთად, აგრარული სექტორის განვითარება იყო ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების: ი. ჭავჭავაძის, მ. მაჩაბელის, რ. ერის-თავის, ი. როსტომაშვილისა და სხვათა ზრუნვის საგანი. იმ დროისათვის მოწინავე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „გუთნის დედა“, „სასოფლო გაზეთი“, „მეურნე“, „მოსავალი“ და სხვ. იბეჭდებოდა წერილები ცხოველთა სწორად კვებისა და მოვლა-შენახვის, ჯიშების სრულყოფის, სანაშენე ღირსების შეფასებისა და სხვ. საკითხებზე; ასევე, ყურადღება ექცეოდა ამ სფეროში ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების დაარსების მნიშვნელობას.

მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი გახდა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1918 წელს, როდესაც ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა აგრონომიული ფაკულტეტი.

1927 წელს, ცნობილი მეცნიერის ილია ჯანდიერის ინიციატივით ქ. თბილისში დაარსდა ცენტრალური ზოოტექნიკურ საცდელი სადგური; 1936 წელს ის გადაკეთდა საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, ხოლო 1959 წელს შეუერთეს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტს [93].

1930 წლიდან უშუალოდ მეცხოველეობის სპეცი-ალობაში კადრები მზადდებოდა საქართველოს სასოფლო-

სამეურნეო ინსტიტუტში, მოგვიანებით კი, 1932 წელს, მას გამოეყო ზოოტექნიკური ფაკულტეტი და ჩამოყალიბდა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი (2003 წლიდან უნივერსიტეტთან შეერთებამდე მის კედლებში აღიზარდა ათასობით მაღალკვალიფიციური ზოოტექნიკოსი (ზოოინჟინერი) და ვეტერინარი ექიმი, რომლებმაც ახალ სიმაღლემდე აიყვანეს სოფლის მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი. წლების მანძილზე აქ მოღვაწეობდნენ საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერები, სახელმწიფო და სხვადასხვა სახელობითი პრემიების ლაურეატები, მეცხოველეობის პრაქტიკულად ყველა მიმართულების სკოლის ფუძემდებლები, საკავშირო და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები; მათ მიერ გამოყვანილი იქნა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების ახალი, მაღალპროდუქტიული ჯიშები, შეფასდა უცხოეთიდან შემოყვანილი სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის პირუტყვის ადაპტაცია-აკლიმატიზაციის უნარი და პროდუქტიულობა, შემუშავებული იქნა სხვადასხვა ჯიშების ხალასად მოშენებასა თუ შეჯვარებაში გამოყენების, აგრეთვე ცხოველთა კვებისა და საკვებწარმოების რეკომენდაციები, შეიქმნა საკვებდანამატები და სამკურნალწამლო და პროფილაქტიკური პრეპარატები, დამუშავდა ცხოველთა დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის წესები და სხვ.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა, საქართველოში პირველმა, წინა პლანზე წამოსწია ადგილობრივი, ენდემური და

აბორიგენული გენოფონდის დაცვა-აღდგენა-გაუმჯობესების საკითხი და საფუძველი ჩაუყარა ამ მიმართულებით კვლევებს. დასაბუთებული იქნა, რომ ისეთი მრავალფეროვანი ეკოსისტემისა და ბუნებრივი რესურსების ქვეყნის-თვის, როგორიც საქართველოა, უდიდეს მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ (აბორიგენულ, ენდემურ) ჯიშებს, რომლებიც კარგად არიან შეგუებული კონკრეტული მიკროზონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს და აქვთ უნარი მინი-მალური დანახარჯებით მოგვცენ მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა ორგანული პროდუქტები. მათ შორის მეძროხეობის მიმართულების სასწავლო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების კვლევით პროგრამებში წამყვანი ადგილი ეკავა მეგრული წითელი ჯიშის თემატიკას.

მეგრული წითელი ჯიშის წარმოშობა და გამოყვანის წინაპირობები

ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები თუ ზეპირსიტყვიერი გადმოცემები გვაძლევენ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ ქართული ძროხა არის ბერძნული მოთოლოვის მარგალიტში “არგონავტები” ნახსენები, ჰეფსეტოს მიერ სპეციალურად მეფე აიეტისთვის გამოჭედილი,სპილენძისფეხებიანი და ცეცხლისმფრქვეველი ხარების...”, აგრეთვე არისტოტელეს მიერ ძვ. წ. ა. IV საუკუნეში აღწერილი კოლხეთში გავრცელებული პატარა ტანისა და ბევრი რძის მოძველი ძროხის გენეტიკური მემკვიდრე.

ქართული (ენდემური, აბორიგენული) ძროხის წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას მეცნიერები მივიღენ დასკვნამდე, რომ ისინი ენათესავებიან ეგვიპტურ რქამოკლე პირუტყვს; ეს მოსაზრება ეხმანება ი. ჯავახიშვილის მიერ ქართველური ტომების წინა აზიიდან გადმოსახლების შესახებ გამოთქმულ ვერსიას და ბოლო ათწლეულის გენეტიკური კვლევებითაც დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ის არის, რომ ეთნოგენეტიკურმა კვლევებმა უჩვენა ქართველებში დომინანტური J2 და G2 ჰაპლოჯგუფების არსებობა, რაც მიუთითებს უძველეს ცივილიზაციებთან, ურარტუსა და ქალდებთან გენეტიკურ კავშირზე; რაც შეეხება ტერიტორიულ სიშორეს, დადგენილია, რომ უცხო ტომებისგან შევიწროების გამო, ჩვენი წინაპრები, როგორც ჩანს, გადმოსახლებულან ჩრდილოეთით და ჩამოყალიბებულა „...ქალდეა (ტრაპიზონის რეგიონი), კოლხა, იბერია და მისი შემქმნელი ერთი ჰაპლოჯგუფის მატარებელი ხალხი - ქალდები, ანუ გვიანდელი კოლხები“ [94, 95]. აღნიშნულს, ბუნებრივად მივყართ დასკვნამდე, რომ გადმოსახლებისას ისინი თან წამოიყანდნენ მოშინაურებულ პირუტყვსაც, რაც დადასტურდა შულავერისა და საგვარჯილეს მიდამოებში, ჩატარებული გათხრებისას ნაპოვნი, ძვ. წ. V და IV საუკუნით დათარიღებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ძვლების, მათ შორის მოკლერქიანი კრანიოლოგიური ტიპის ძროხის თავის ქალას ფრაგმენტების შესწავლით [96].

გამოთქმული ვერსია, ვფიქრობთ, არ ეწინააღმდეგება ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებას, რომლის თანახმად ქართული ეთნოსი ისტორიულად ჩამოყალიბდა დღევანდე-

ლი საქართველოს ტერიტორიაზე; ამ ორ ვარიანტს შორის შესაძლო კავშირზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ სამხრეთ კავკასიისა და ეგვიპტის ადგილმდებარეობა; საქმე ის არის, რომ ეს ორი ქვეყანა უშუალოდ ესაზღვრება ე.წ. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის კერას“, რომელიც აღიარებულია სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მრავალი სახეობის, მათ შორის ძროხის შემოჩვევა-მოშინაურების ცენტრად; ამდენად, არ შეიძლება გამოირიცხოს ამ რეგიონებს შორის ცხოველთა გენოტიპების იძულებით, თუ ნებაყოფლობით „გაცვლის“/“გავრცელების“ მომენტი.

მეგრულ წითელ ჯიშზე პირველი ცნობები თარიღდება XIX საუკუნის 80-90-იანი წლებით; არსებული მონაცემებით, შეძლებულ მეჯოგებს: კვარაცხელია, ფიფია, სხულუხია, ცავა, ბჟალავა, ნაჭყებია, კალანდია და სხვ., მრავალრიცხოვან ნახირებში ჰყოლიათ ერთგვაროვანი წითელი ფერის ძროხა, რომლის გამოყვანა შესაძლებელი გამხდარა მოვლა-შენახვისა და მოშენების დამკვიდრებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების საფუძველზე.

ამ ჯიშის წარმოშობის კვლევისადმი არის მიძღვნილი ა. თამამშევის [97] 1924 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მეგრული წითელი ჯიში ჩამოყალიბებულია ადგილობრივი, ქართული მთის ძროხის მეგრული პოპულაციის (ჯილაგის, ავტ.) გადარჩევა-შერჩევით. უფრო გვიანდელ პუბლიკაციაში [98] კი მკვლევარი ამ ჯიშს გამოჰყოფს ქართული მთის ძროხის სრულიად დამოუკიდებელ, „მეჯოგეთა“ ჯგუფად და მიუთითებს, რომ მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა

მიღებული აქვს სტეპის წითელ და ყალმიყური ჯიშის პირუტყვს.

ნ. გოცირიძე [99], ასევე, არ გამორიცხავს ამ ჯიშის გამოყვანაში სტეპის წითელი და ასტრახანული (ყალმიყური) ჯიშების მონაწილეობის შესაძლებლობას. ის წერს, რომ „დასავლეთ საქართველოს მეჯოგები მთაბარობისას, ცალკეულ შემთხვევაში, გადადიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანში⁵⁰, სადაც ადგილობრივ მოსახლეობა აშენებდა სტეპის წითელ და ასტრახანულ ჯიშებს“. მისი აზრით, შესაძლებელი იყო მეჯოგებს ეს ჯიშები გამოეყენებინათ საკუთარი პირუტყვის ისეთი ნიშან-თვისებების გასაუმჯობესებლად, როგორებიცაა ცოცხალი მასა, მონაწველი და სხვ.

ძროხის ჯიშებს შორის ნათესაური კავშირის საკითხის დასასაბუთებლად, მეცნიერთათვის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია კრანიოლოგიური ტიპი, ანუ თავის ქალას აგებულებაში არსებული მსგავსება და/ან განსხვავებები. თუ გავიზიარებთ მრავალჯერ დამტკიცებულ და საყოველთაოდ აღიარებულ მოსაზრებას, რომ ევოლუციის პროცესში თავის ქალას აგებულება და მისი ცალკეული ძვლების ფორმა პრაქტიკულად არ შეცვლილა, მეგრული წითელი ჯიშის ჩამოყალიბებაში ველის წითელი ჯიშის მონაწილეობაზე ვერსია უნდა ჩაითვალოს მცდარად; საქმე ის არის, რომ მეგრული წითელი ჯიში, ქართული მთის ძროხის სხვა ჯილაგების მსგავსად მიეკუთვნება მოკლერქიან


⁵⁰ არსებული ინფორმაციით, მათგან ერთულები ყუბანში გადასახლებულა.

(*B. t. brachyceros*) [100], ხოლო სტეპის წითელი - პირველად (*B. t. primigenius*) კრანიოლოგიურ ტიპს; ამ ორი ტიპის თავის ქალას აგებულებათა შორის განსხვავებები ნაჩვენებია 28-ე სურათზე.

ამასთან,
სტეპის წითელი
და მეგრული
წითელი ჯიშები
ექსტერიერთან
ერთად ერთმანე-
თისგან განსხვა-
ვდებიან ზოგი-
ერთი სხვა მორფო-
ლოგიური ნიშნე-
ბითაც: რქების
ფორმითა და
ფერით, აგრეთვე
ჩლიქებისა და
ცხვირის სარკის
ფერით (სურ. 29).

ანალოგიურ დასკვნის გაკეთება, ასევე, შესაძლებელია 1969–1971 წლებში სტეპის წთელი ჯიშის ძროხის ყუბანური პოპულაციის ჩამოყალიბების ისტორიის, აგრეთვე ექსტერი-ერისა და სხვა სამეურნეო ბიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლის ემპირიული მონაცემების საფუძველზე [101].

მასალები შეგროვდა წინამდებარე ნაშრომის შემდგე-ნელისა და ავტორის გ. გოგოლის მიერ, 1970-71 წლებში კრასნოდარის მხარის, ლენინგრადსკაიას რაიონის საბჭოთა



სურ. 28. პირველადი და მოკლერქიანი კრანიოლოგიური ტიპის ძროხის თავის ქალა



სურ.29. სტეპის წითელი ჯიშის ფური
წყარო: <https://agronomu.com/book670-krasnaya-stepnaya-poroda-korov.html>


და სტარომინსკაიას სანაშენე საქმის სახელმწიფო სადგურების მოქმედების ზონის მეურნეობებიდან, და ფერმებიდან, აგრეთვე ქალაქ კუშჩევსკაიას სტეპის წითელი ჯიშის ჯიშთსაშენიდან;

ამ რეგიონის რეგიონის სარძეო-სასაქონლო ფერმების ისტორიის გაცნობით, აგრეთვე სანაშენე მუშაობის სამსახურებში მოძიებული ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ 1934 წლისათვის აქ და, მაღალი აღბათობით კრასნოდარის მხარის ცენტრალურ ზონაში, ძირითადად მოშენებული ყოფილა ადგილობრივი პირუტყვი, ხოლო სტეპის წითელ ჯიშზე, როგორც გამაუმჯობესებელზე საუბარია 1939 წლიდან.

ამასთან, სადიპლომო ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი ამ ჯიშის ყუბანური პოპულაციისთვის დამახასიათებელი ფერი და ნიშნები, რაც ემთხვევა სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოქვეყნებული შრომების

მონაცემებს და რომელთა თანახმად: ზოგადად სტეპის წითელი ჯიშის ტიპიური ცხოველებისთვის და, მათ შორის, ამ ჯიშის ყუბანური პოპულაციისთვის სხეულის წითელ შეფერილობასთან ერთად დამახასიათებელია მუქი ნაცრის-ფერი დრუნჩი და ასეთივე ფერის რქები და ჩლიქები; გარდა ამისა, ექსტერიერით ეს ცხოველები არიან ნაზი-მკვრივი აგებულების, ანუ მერმეული ტიპის და მეგრული წითელი ჯიშის ძროხასთან შედარებით რამდენადმე სუსტად აქვს განვითარებული კუნთოვანი ქსოვილი (სურ. 30).

ესეც რომ არ იყოს, ისტორიულად დადასტურებულია, რომ უკრაინის სამხრეთი რაიონებიდან ყუბანში „კოლონისტებმა“ გადმოსახლება დაიწყეს XIX საუკუნის 60- იან წლებში [105], რა დროსაც, სავარაუდოდ, თან ჩამოიყვანეს წითელი ფერის



სურ. 30. სტეპის წითელი ჯიშის ფურები. ყუბანი, (საბჭოთა მეურნეობა "უმანსკი", კრასნოდარის მხარე, გ. გოგოლის ფოტო, 1971 წ.)

პირუტყვის პირველი ჯგუფი. სხვა ვერსიით გადმოსახლების

დაწყება თარიღდება 1878 წლით, ხოლო ჯიშის მასობრივად გავრცელება, ბუნებრივია, მოხდებოდა გაცილებით გვიან;

საგულისხმოდ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ გერმანული წითელი პირუტყვი ჯიშად აღიარებული იქნა 1911 წელს [105], ანუ მაშინ, როდესაც წყაროებში მოიპოვება უფრო ადრინდელი ცნობები მეგრელ მეჯოგეებსა და მათ მიერ გამოყვანილი წითელი ჯიშის პირუტყვზე.

სარმეო პროდუქტიული მიმართულების ჩრდილოეთ ევროპული წარმოშობის წითელი და მათი მონაწილეობით ჩამოყალიბებული ესტონური და ლიტვური წითელი, აგრეთვე ლატვიური წაბლა ჯიშებისგან მეგრული წითელი ჯიშის ცხოველების კიდევ ერთი განსხვავება არის ქუთუ-თოების ირგვლივ, კიდურების შიგნითა მხარეს და კუდის ფუნჯის, უფრო იშვიათად კი მუცლის თეთრი ხაზის მთელ სიგრძეზე უფრო ღია ფერის ბალანი, ან თითქმის თეთრი პიგმენტაცია (სურ. 31).



სურ. 31. ბალნის საფარის ღია შეფერილობა თვალების ირგვლივ, კიდურების შიგნითა მხარეზე და კუდის ფუნჯზე მეგრული წითელი ჯიშის

ისტორიული ცნობები და ცხოველთა სხვა ფენოტიპური ნიშნები მნიშვნელოვანი არგუმენტია ძროხის ამა თუ იმ ჯიშის წარმოშობაზე დასკვნების გასაკეთებლად,

მითუფრო, როდესაც ის მყარდება გენეტიკური კვლევებითაც.

ცნობილია, რომ ცხოველთა ჯიშების წარმოშობისა და მათ შორის ნათესაური კავშირის დასადგენად, გასული საუკუნის 60- იანი წლებიდან, მარკერებად გამოიყენება სისხლის ჯგუფების გენეტიკური სისტემები და სისხლის პოლიმორფული ცილები; საქმე ის არის, რომ ამ მაჩვენებლებს, განსაზღვრავს ორგანიზმის გენოტიპი და, ამდენად, მემკვიდრული ბუნებისაა, რაც უზრუნველყოფს ცალკეული პოპულაციისა და ჯიშის გენეტიკურ ინდივიდუალობას.

ეს მოსაზრება ემყარება პოსტულატს, დაშვებას, რომ ერთმანეთისგან იზოლირებულად მოშენებისას სხვადასხვა მიმართულებით ხანგრძლივი სელექცია განაპირობებს ცხოველთა შორის გენეტიკურ დივერგენციას, რაც აისახება მათი სისხლის ჯგუფების ალელების სიხშირეში. ამდენად, სხვადასხვა ჯიშებში ალელების განსხვავებული სიხშირე შეიძლება აღიარებული იქნას კონკრეტული გენოფონდის ფორმირების, აგრეთვე ევოლუციის პროცესში მათ შორის შესაძლო ურთიერთ გავლენის ერთ-ერთ უტყუარ საბუთად.

აქ, მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ ჯიშებს შორის ნათესაური კავშირის დადგენისას, სისხლის 11 გენეტიკური სისტემიდან, როგორც წესი, აქცენტი კეთდება ალელების მრავალრიცხოვნობით გამორჩეულ სისხლის B ჯგუფზე.

თ. ფირცხალაიშვილმა [102], ქართული მთის ძროხის ხევსურული ჯილაგისა და მეგრულ წითელ ჯიშის ცხოველებს შორის ნათესაური კავშირის დასადგენად გამოიყენა სისხლის ჯგუფების 10 გენეტიკური სისტემის 57 რეაგენტი; მათ შორის, B ჯგუფის 32, A ჯგუფის - 3, C

ჯგუფის- 8; S ჯგუფის- 6, V და J - 2-2, აგრეთვე I, V, Z და R'S ჯგუფის თითო-თითო (ცხრილი 2); აღმოჩნდა, რომ მეგრულ წითელ ჯიშში გვხვდება B ჯგუფის 47 ალელი, ქართული მთის ჯიშში კი 65; ამათგან, მაღალი სიხშირით გვხვდება 19 და 16 ალელი (შესაბამისად ჯიშების მიხედვით), რომელთა ჯამადი სიხშირე მეგრულ წითელში შეადგენს 0,7455, ხოლო ქართული მთის ძროხაში და 0,6199- ს. რაც შეეხება მსგავ-სების ინდექსს, ამ მაჩვენებელმა 0,68 ერთეული შეადგინა, რაც მათ გენეტიკურ სიახლოვეზე მოუთითებს.

მონაცემების გენეტიკური ანალიზით, ასევე, დადგე-ნილია, რომ მეგრული წითელი და ქართული მთის ძროხისათვის საერთოა B სისტემის 12 ალელი, მათ შორის BQT₂, C' P'B' და E1', F', J2', K', რომლებიც ძროხის სხვა ჯიშებში მეტად იშვიათია, ან საერთოდ არ გვხვდება; გარდა ამისა, ამ ჯიშებს შორის ახლო ნათესაური კავშირის არგუმენტს ამაგრებს ამავე მკვლევარის მიერ დადგენილი S, A და F – V სისტემების ალელებით მსგავსება.

აღწერილი კვლევით, ასევე, გამოვლენილია გარკვე-ული განსხვავებებიც; კერძოდ, მეგრულ წითელ ჯიშში არსებული ზოგიერთი ალელი არ გვხვდება ქართული მთის ძროხის ხევსურულ ჯილაგში და პირიქით, ამ უკანასკნელში არსებული ალელები არ არის მეგრულ წითელი ჯიშის პირუტყვები. ასეთი მდგომრეობა აიხსნება ამ ორი ჯილაგის ერთანეთისგან საკმაოდ ხანგრძლივი გეოგრაფიული იზოლაციით და სელექციის სპეციფიკით;

ამასთან, არ უნდა გამოვრიცხოთ ქართული მთის ძროხის ხევსურული ჯილაგის ცხოველებში ჩრდილო კავკა-ცხრილი 2. ქართული მთისა და მეგრული წითელი ჯიშის ძროხის

ერითროციტარული ანტიგენების სიხშირე [102]

ალელები	სიხშირე		ალელები	სიხშირე	
	ქართული მთის	მეგრული წითელი		ქართული მთის	მეგრული წითელი
BGKE'₁F'O'	0,0399	0,193	O₁T₁Y₂ E'₃	0,0	0,0366
GO₁	0, 0266	0,0	O₁P'	0,0	0,323
BGO₁D'E'₁P'	0,0	0,0646	P₂	0,0247	0,0
BQT₁A'P'	0,0038	0,0022	Q	0,0038	0,0516
BQT₁D'E'P'	0,0	0,0193	QE'₁O'	0,0285	0,0
BQT₂G'P'B''	0,0190	0,0108	Y₂	0,0076	0,0108
BQTO'P'	0,0	0,0560	Y₂D'E'₃O'G''	0,0285	0,0
BA'B'P'	0,0	0,0496	Y₂G'G''	0,0076	0,0
G	0,0133	0,0	A'	0,0228	0,0193
GT₂Y₂A'B'D'G'B''	0,0133	0,0	E'₁F'J'₂	0,0057	0,0259
GY₂Y'	0,0	0,0108	E'₁G'	0,0	0,0108
I₁	0,0	0,0086	I'	0,0779	0,0108
I₁O₁	0,0	0,0215	K'	0,0323	0,0022
I₁Q	0,0	0,1551	O'	0,0152	0,0108
O₁	0,0399	0,0065	B	0,0760	0,1099
O₁Q	0,0646	0,0			

სიაში მცხოვრები ხალხების მიერ მოშენებული ძროხის სისხლის შერევა; საქმე ის არის, რომ საქართველოს ამ რეგიონის პირუტყვსა და ჩრდილო კავკასიაში გავრცელებულ ძროხას შორის საკმაოდ ხშირი იყო, ნებაყოფლობთი თუ იძულებითი კონტაქტი. საქმე ის არის, რომ: 1. საკმაოდ ხშირი იყო მეზობლად მცხოვრები და პრაქტიკულად ერთი და იმავე საძოვრებით მოსარგებლე ქართველ და ჩრდილო კავკასიელ მეჯოგეთა შორის პირუტყვის გაცვლის შემთხვევები; 2. საკმაოდ ხშირი იყო შემოსევები, რა დროსაც ჩრდილოკავკასიელები გაიტაცებდნენ პირუტყვს, რასაც,

როგორც წესი, ქართველების მხრიდანაც შესაბამისი უკუქმე-დებები მოყვებოდა.

რაც შეეხება სტეპის წითელი ჯიშს, ცნობილია, რომ ის ჩამოყალიბდა გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე გავრცელებული წითელი ჯიშების, ანგელნურისა და დანიური წითელის მონაწილეობით, რომლებიც უკრაინის სამხრეთ რაიონებში ჩამოიყვანეს გადმოსახლებულმა მენონისტებმა;

ამ ჯიშის ძროხის სისხლის ჯგუფების სისტემების შესწავლით დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი სიხშირით გხვდება სისხლის B ჯგუფის B ალელი, რომლებიც მათი მონათესავე წითელი დანიური და ანგლერული ჯიშის ძროხაში არ გხვდება ან ან უმნიშვნელო სიხშირისაა; ამასთან, სტეპის წითელი ჯიშის მრავალჯერადი კვლევის შედეგების შედარებით მეგრული წითელი ჯიშის შესაბამის მაჩვენებლებთან აღმოჩნდა, რომ სისხლის B ჯგუფის ალელების დამთხვევა მინიმალურია. ასევე, უმნიშვნელია ამ ჯიშებს შორის სხვა სისტემების ალელებით მსგავსება (მაგ. T₂), რაც მათ შორის ნათესაური კავშირის უარყოფის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი არგუმენტია.

დაბოლოს, ა. კოსტადინოგლომ და სხვ. [103] 2010 წელს შეისწავლეს სტეპის წითელი ჯიშის მონათესავე, ასევე გერმანული წითელი ჯიშის მონაწილეობით ჩამოყალიბებული ესტონური წითელი ჯიშის სისხლის ჯგუფები. B სისტემის ალელების შედარებითმა ანალიზმა უჩვენა, რომ 77 ალელიდან ესტონურ და მეგრულ წითელ ჯიშებს საერთო აქვთ მხოლოდ ერთი, I' ალელი, თანაც ისეთი დაბალი

სიხშირით (0,0045), რომ მათ შორის ნათესაურ კავშირზე ყოველგვარი მინიშნებაც კი უადგილოა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მეგრული წითელი ძროხის ჩამოყალიბებაში ყალმიყური ჯიშის მონაწილეობის აღბათობის ვერსიაც საფუძველსაა მოკლებული, რაც დასტურდება მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემებით.

ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ყალმიყური ჯიშის ძროხის ცალკეული ინდივიდების ბალნის საფარი ერთგვაროვანი, წითელი ფერისაა⁵¹, აგრეთვე მათი რქებისა და ცხვირის სარკის კანის პიგმენტაცია მეგრულ წითელი ჯიშის პირუტყვის მსგავსად ვარდისფერია (სურ. 32), თავის ქალას აგებულებაში დიდი განსხვავებები (სურ. 33) მათ შორის ნათესაურ კავშირზე საუბრის საფუძველს არ იძლევა. საქმე ის არის, რომ თავის ქალის აგებულებით ყალმიყური ჯიში მიეკუთვნება



სურ.32. ყალმიყური ჯიშის ფური
წყარო: <https://gup-veles.ru/144/153/poroda7>


სწორრქიან კრანიოლოგიურ ტიპს (B.t.ortoceros).

ზოგადად კი, მეგრული წითელი ჯიშის ჩამოყალიბებაში სხვა წითელი ჯიშების მონაწილეობის გამორიცხვის ერთი-ერთი ყველაზე სარწმუნო ცნობა არის

⁵¹ ჯიში სულადობის დაახლოებით 80%- მდე წითელჭრელია;

ისტორიული პროცესის უშუალო მონაწილეების, მეგრელი მეჯოგეებისა და, მათ შორის, ძმები კვარაცხელიების ნაამბობი, რომლებიც კატეგორიულად უარყოფდნენ ამ ჯიშის გამოყვანისას სხვა, უცხო ჯიშის პირუტყვის მონაწილეობას („...მათ არ გამოუყენებიათ და არც არავისგან გაუგონიათ...“). ეს უდაოდ საკმაოდ მყარი არგუმენტია, რამეთუ მეჯოგეებს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ რომელიმე სხვა ჯიშის გამოყენების ფაქტის უარყოფის არავითარი ინტერესი.

მეჯოგეთა ნაამბობს
სარწმუნოდ ხდის ისიც,
რომ მეგრული წითელი
ძროხის გამოყვანის
პირველ ეტაპზე, ანუ ჯიშის
ძირითადი ბირთვის
ჩამოყალიბებამდე, XIX
საუკუნის 70-80- იან
წლებში, ისინი სარგებ-
ლობდნენ მხოლოდ გურია-
აჭარის მთის საძოვრებით;
რაც შეეხება ჩრდილო
კავკასიის საძოვრებზე
გადასვლის ცნობებს, ის
თარიღდება სულ მცირე 20-
25 წლით გვიანი პერიოდით. ამას ადასტურებს ზ. რატიანის [104] კვლევებით გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვით
მეგრელი მეჯოგეების ყუბანისპირეთის საძოვრებზე
გადასვლის დაწყების თარიღად დასახელებულია XIX
საუკუნის მიწურული.



სურ. 33. სწორრქიანი კრანიოლო-
გიური ტიპის ძროხის თავის ქალა

და კიდევ ერთი: ძროხაში მეცნიერები განასხვავებენ ბალნის საფარის 3 ძირითად ფერს: შავი, ყავისფერი (წაბლა) და წითელი, დანარჩენი ფერის ბალნის საფარი (ჩალისფერი, თეთრი, თაფლა და ა.შ.) კი, მათი მტკიცებით არის აღნიშნული სამი ძირითადი ფერისგან „ნაწარმოები“;

მრავალწლიანი დაკვირვებებითა და ემპირიული მასალების ანალიზით დადგენილია სხვადასხვა ფერის გენოტიპების „შეხვედრისას“ (ანუ სხვადასხვა ჯიშების შეჯვარებისას) ბალნის საფარის პიგმენტაციის ფენოტიპში გამოვლენის კანონზომიერებები. ასე, მაგალითად, შავი („E“) და წაბლა (B) ფერის გენების მიმართ წითელი ფერის განმსაზღვრელი გენი „e“, რეცესიულია [105, 106]. ამდენად წაბლა და შავი ფერის ძროხის წითელთან შეჯვარებისას, პირველ თაობაში ყველა ინდივიდის ბალნის საფარი იქნება წაბლა, ან შავი.

თავის მხრივ, მთელ სხეულზე ბალნის საფარის ერთგვაროვან შეფერილობას განსაზღვრავს „S“ გენის რამოდენიმე ალელი (S , „S⁺“ და ა.შ.) რომელიც ავლენს არასრულ დომინირებას სიჭრელის განმსაზღვრელი „Sh“ გენის მიმართ [106, 107, 108, 109].

გენეტიკოსთა მიერ დადგენილ კანონზომიერებებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ თავის დროზე, მთელ სხეულზე ბალნის საფარის ერთგვაროვანი წითელი შეფერილობის ცხოველთა მისაღებად მეჯოგებს დასჭირდებოდათ ჩრდილო კავკასიაში ასეულობით კურო-მწარმოებლების შეძენა და შემოყვანა, აგრეთვე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ცხოველთა მკაცრი გადარჩევა და მიზანმიმართული შერჩევა.

საქმე ის არის, რომ როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, ქართული მთის ძროხის მეგრული პოპულაცია წარმოდგენილი იყო სხვადასხვა შეფერილობის ცხოველებით: შავი, წითელი, წაბლა, ჩალისფერი, წითელ-ჭრელი, შავჭრელი და ა.შ. ამდენად, გადარჩევა-შერჩევის გზით ერთდროულად მისაღწევი იყო, ერთის მხრივ, რეცესიული წითელი ფერის განმსაზღვრელი გენის და, მეორეს მხრივ, სხეულის მთელი ზედაპირის ერთგვაროვანი პიგმენტაციის განმსაზღვრელი არასრულად დომინინანტი გენის დაჰომოზიგობების მიღწევა.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მეჯოგეები შესაბამისი ქმედებებით თავს იზღვევდნენ ცხოველებს შორის ნათესაური შეწყვილებისგან⁵², გენეტიკურად განმტკიცებული ერთგვაროვანი წითელი ფერის ცხოველების მისაღებად გაცილებით მეტი დრო იქნებოდა საჭირო.

არანაკლები განსჯის საგანია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში შემოყვანილი პირუტყვის, ახალ უცხო ეკოსისტემაში აკლიმატიზაციის შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების საკითხი. საქმე ის არის, რომ უფრო გვიანდელმა, კერძოდ გასული საუკუნის 30-იანი წლების გამოცდილებამ უჩვენა, რომ სტეპის წითელი ჯიში ძნელად ეგუებოდა დასავლეთ საქართველოს ბარის ეკოლოგიურ გარემოს და მასობრივად ავადდებოდა პირობლაზმიდოზებით, ხოლო მთაბარობის მძიმე პირობები ამ ჯიშისათვის საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდა [110].

⁵² შთამომავლობაში კონკრეტული ნიშან-თვისების განსაზღვიცებლად ამ მეთოდს წარმატებით იყენებდნენ უვროპელი სელექციონერები და დღესაც მიმართავენ მას;

აქ მოვლენებს გავუსწრებთ და ავღნიშნავთ, რომ ჩრდილოეთის ქვეყნების გრილ კლიმატურ ზონაში გამოყვანილი სარმეო პროდუქტიული მიმართულების ძროხის ჯიშების საქართველოს მკვეთრად განსხვავებული ეკოლოგიური პირობებისადმი შეგვების პრობლემა, აგრეთვე პიროპლაზმიდოზებისა და ზოგიერთი სხვა დაავადებისადმი მათი დაბალ რეზისტენტობაზე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იყო ცნობილი. საქართველოს პირობებში ეს განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა გაცილებით გვიან, XX საუკუნის 60-80- იან წლებში, როდესაც რძის წარმოების სწრაფად გადიდების მოტივით საქართველოს საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოფილი სსრკ მოკავშირე რესპუბლიკებიდან დაიწყეს ე.წ. „ჯიშიანი“ პირუტყვი მასობრივად შემოყვანა [111].

ამის გათვალისწინებით ნათელია, რომ სტეპის წითელ და/ან ყალმიყურ ჯიშებთან ადგილობრივი პირუტყვის კონტაქტის შესაძლებლობას გამორიცხავდა და/ან ზღუდავდა ორი მნიშვნელოვანი გარემოება:

- 1.ჩრდილოეთ კავკასიის სიშორე და მთავარი კავკასიონის ქედით ბუნებრივი გეოგრაფიული იზოლაცია,
- 2.უცხო ჯიშების დასავლეთ საქართველოს პირობებთან „ეკოლოგიური შეუთავსებლობა“;

აღნიშნული, დამატებით, კიდევ ერთი, საკმაოდ მყარი საბუთია, რაც უარყოფს მეგრული წითელი ჯიშის ჩრდილოეთში გავრცელებულ წითელ ჯიშებთან ნათესაობის თაობაზე გამოთქმული ვერსიებს.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პარალელურად, მიწის დამუშავების სათანადო ტექნიკური საშუალებების არარსებობის გამო, საჭირო გახდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ძლიერი, მუშაობის კარგი უნარის მქონე და მკვირცხლი ტემპერამენტის პირუტყვი. ადგილობრივი, ქართული მთის პატარატანიანი ძროხა ვერ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს, რის გამო ძირითადად გამოიყენებოდა კამეჩი. ამასთან, მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მთის მოსახლეობამ დაიწყო მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიიდან დიდტანიანი ხარების შემოყვანა. რაც შეეხება ბარის ზონას, ასეთმა მიდგომამ ვერ გაამართლა, რამეთუ ახალ ეკოლოგიურ გარემოს თავისებურება აძნელებდა მათ აკლიმატიზაციას.

იმ პერიოდის საქართველოში მუშა პირუტყვზე მოთხოვნილება კიდევ უფრო მეტი სიმწვავით წარმოაჩინა ჭიათურაში მარგანეცის მოპოვების გააქტიურებამ, რაც საბადოებიდან უახლოეს რკინიგზამდე მადნის გადასატანად მეტი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალების ცოცხალ გამწევ ძალას საჭიროებდა. მეჯოგეთათვის მაღალპროდუქტული პირუტყვის ყოლისა და მეტი რაოდენობით ცხოველური პროდუქტების წარმოების არანაკლები სტიმული იყო ის, რომ მკვეთრად გაიზარდა ბაზრის მოთხოვნილება ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტებზე.

სამეგრელოში ბევრი მეჯოგე სწრაფადვე გაერკავა შექმნილ ვითარებაში და დაიწყო თავიანთი ცხოველების

გაუმჯობესება კარგი სამუშაო თვისებების მქონე, გამძლე და ძლიერი პირუტყვის გამოყვანის მიმართულებით. მათ შორის, განსაკუთრებულად წარმატებული აღმოჩნდა ძმების, ძიკი, ერასტი და დავით კვარაცხელიების საქმიანობა.

პროფესორი ნ. გოცირიძე [92] გასულ საუკუნის 30-იან წლებში შეხვედრია ძმებ კვარაცხელიებს, 103 წლის ძიკის და 92 წლის ერასტის და მათი მონათხრობიდან გაარკვია, რომ ჩვეულებრივი სოფლის პირუტყვი მემკვიდრეობით მიუღიათ მამისგან, ჯოგის მომრავლების მიზნით კი ჭალადიდის მიდამოებში იჯარით აუღიათ საზამთრო საძოვრები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა მანამდე მხოლოდ სანადიროდ იყენებდა; როგორც ჩანს, ეს პერიოდი დაემთხვა სამხრეთ საქართველოს ნაწილის თურქებისგან განთავისუფლებას, რამაც კვარაცხელიებს საშუალება მისცა ზაფხულობით ესარგებლათ სამცხე-გურიის მთის საძოვრებითაც.

იმავე მონაცემებით, კვარაცხელიები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ძირითადი სადგამი სულადობის გადარჩევასა და გასამრავლებლად სასურველი ტიპის ინდივიდების შერჩევას (დღევანდელი ტერმინოლოგიით სასელექციო საქმეს). საქმიანობაში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი გარანტი იყო მხოლოდ მათ მიერ განსაზღვრული მიდგომით ლამაზი გარეგნობის ცხოველების გადარჩევა, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პირუტყვის ტანის ზომას, სხეულის სიმაგრეს და მკვრივ აგებულებას, აგრეთვე ცოცხალ ტემპერამენტს; მათ წარმოდგენაში ასეთ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა მაღალი მინდაოს, გრძელი და ფართო სხეულის, განიერი და სწორი გავის, კარგად

განვითარებული ძვლოვანი სისტემისა და მაგარი კიდურების მქონე ინდივიდები [92].

მრავალწლიანმა გამოცდილებამ და დაკვირვებამ მათ დაანახა, რომ ნახირის გაუმჯობესებაში, სადედე სულადობასთან შედარებით, გაცილებით დიდი როლს ასრულებდა კურო-მწარმოებელი, რომლისგან წელიწადში შეიძლებოდა მიეღოთ ათეულობით ხბო, მაშინ როდესაც ფურებისგან მხოლოდ ერთი, უკეთეს შემთხვევაში კი მხოლოდ ერთეულებისგან იყო მოსალოდნელი ტყუპების დაბადება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მმები კვარაცხე-ლიები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ე.წ. „საჯიშე“ მწარმოებლის მისაღებად (გამოსაყვანად) მშობელი ფორმების შერჩევას და ასეთი შეწყვილებისგან დაბადებული სახარე მოზარდეულის გამოზრდას. კერძოდ, ხბოს დედას არ წველიდნენ, ანუ მოზარდეული იკვებებოდა ნებაზე („მიშვებით წოვების“, ანუ „თავისუფლად წოვების“ წესით გამოზრდა); ამასთან, თუ შეამჩნევდნენ, რომ მას რძე არ ყოფნიდა, დამატებით შეაჩვევდნენ სხვა ფურს, ანუ ამ შემთხვევაში, ხბო წოვდა ორ ფურს, დედას და „ძიძას“. ასეთი წესით ნაკვები მოზარდეული, რა თქმა უნდა, წონაში მატულობდა და ვითარდებოდა სწრაფად;

შემდეგი ეტაპი იყო 1,5-2 წლის ასაკის კურაკებიდან „სასურველი ტიპის“ ინდივიდების სანაშენედ („საჯიშედ“) გადარჩევა, რა დროსაც ყურადღებას აქცევდნენ სხეულის სიდიდეს (საკუთარი პროდუქტიულობას), გარეგნულ ფორმებს, ჰარმონიულ შესახედაობასა და აგებულების სიმაგრეს (ექსტერიერსა და კონსტიტუციას), აგრეთვე

ცხოველის ამტანობასა და ტემპერამენტს. საუკეთესოებს მეჯოგეები იტოვებდნენ და 2–2,5 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ იყენებდნენ სადედე სულადობის გასანაყოფი-ერებლად [92].

რაც შეეხება ნახირში დაბადებულ, სანაშენე თვალსაზრისით ნაკლებად ღირებულ, ე.წ. „სასაქონლო“ მოზარდეულს, მათ ინახავდნენ დედისგან ცალკე და რძეს აწოვებდნენ დღეში ორჯერ, დილით და საღამოს წველისას, (ე.წ. „წველა-წოვების“ წესით გამოზრდა);

მმები კვარაცხელიების მიერ გამძლე და ძლიერი ცხოველის გამოყვანის თავისებურ, ღრმად გააზრებულ მიდგომაზე მოგვითხრობს ძიკი კვარაცხელიას შვილიშვილი დავით კვარაცხელია [32]: „....ბუნების სტიქიასთან და ნადირთან ბრძოლაში ... გამოწროობილი,“... ის (ძიკი კვარაცხელია, ავტ.) ... „სუსტისადმი თავადაც შეუბრალებელი და მკაცრი იყო, ბუნება მაინც გასწირავსო იტყოდა თურმე და პირველ გამოცდას თვითონ იგონებდა, უფრო მკაცრს ვიდრე ბუნება...“ და აგრძელებს: „....პირუტყვის გამოწროთვნა-ში, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე საქონლის შერჩევის საქმეში თავისებურად იყენებდა, თურმე, მდინარე რიონსაც, რიონის ტალღებთან შებრძოლებისას გამოჩნდებოდა ძლიერიც და სუსტიც. ჯოგში დარჩენა არ დარჩენის ბედიც იქვე წყდებოდა“. და რაც მთავარია: „....წარმატებული სელექციის ძირითადი არსი ბუნების კანონების ზედმიწევნით ცოდნა და მისი ზუსტად დაცვა გახლდათ. ის ცდილობდა ყველგად და ყველაფერში დაეცვა პირუტყვისა და ბუნების ურთიერთობის წესი და არასოდეს დაერღვია იგი“.

ამასვე ამტკიცებდა 90 წელს გადაცილებული წარმოშობით წალენჯიხელი მეჯოგე ჭიჭი კვარაცხელია, როელსაც შევხვდით 2015 წელს ჭალადიდის მიდამოებში. მას მეჯოგეობის 75 წელზე მეტი გამოცდილება ჰქონია, რომლის ნახევარიც, მისი თქმით, ცხენზე ჰქონდა გატარებული. ჩვენს მიერ შესწავლილ მრავალ ნახირს შორის ჭიჭი კვარაცხელიას ჰყავდა ყველაზე საუკეთესო პირუტყვი, გარეგნულად განსაკუთრებით გამოირჩეოდა მის მიერ გამოზრდილი კურო-მწარმოებელი.

მეჯოგეს პირუტყვისათვის ბოსელი არ ჰქონდა. „რად უნდა მეგრულ ძროხას თბილი სადგომი,... პირუტყვი ზამთარში თავს უნდა აფარებდეს ტყეს, საკვებს თოვლის ქვეშ ეძებდეს, მმიმე პერიოდში კი შეიძლება დღეში გადაუგდო 2 ტარო სიმინდი“, ამბობს ის....

სამეურნეო-სასარგებლო ნიშან-თვისებებითა და სხეულის აგებულების მიხედვით გადარჩევა-შერჩევასთან ერთად ძმები, დიდი ყურადღებას აქცევდნენ პირუტყვის ფერს. საქმე ის არის, რომ იმ დროს „მოსახლეობას უფრო მეტად მოსწონდა წითელი, ერთფეროვანი (თეთრი ნიშნების გარეშე) საუდლე ხარები...“ [92]. ამის გათვალისწინებით ნახირიდან იწუნებდნენ იმ ფურებსა და კურო-მწარმოებლებს, რომელთა შთამომავლობაში გამოვლინდებოდა სხვა ფერის, ან კიდევ წითელი, მაგრამ დიდი ზომის თეთრი (ან სხვა ფერის) ნიშნების მქონე მონაშენი. ასეთი მიდგომით შესაძლებელი გახდა მიეღოთ ძირითადად ერთგვაროვანი, ღია წითელი ფერის სულადობა, მოგვიანებით კი, თანდათანობით გავრცელდა მუქი წითელი-შინდისფრამდე ელფერის ცხოველებიც.

ასევე, მეჯოგეთა თვალსაწიერს მიღმა არ დარჩენილა რქების ზომა და ფორმა, აგრეთვე რქებისა და ჩლიქების ფერი; კერძოდ, მათი შეხედულებით, სასურველი ტიპის ცხოველს უნდა ჰქონოდა ახალი მთვარისებრი ფორმის, წვრილი, მაღლა, ოდნავ განზე და ბოლოებით რამდენადმე უკან მიმართული, მოხდენილი, საკმაოდ გრძელი⁵³ და თაფლის სანთლისფერი რქები, აგრეთვე, ასეთივე ფერის ჩლიქები.

შეიძლება ითქვას, რომ ცხოველთა მოშენების აღწერილი სქემა პრაქტიკულად იმეორებს ევროპის „მეცხოველობის ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდში ბრიტანელი სელექციონერის რობერტ ბეკველისა და მისი მოწაფეების: ძმების, ჩარლზ და რობერტ კოლინჯების მიერ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანისას სანაშენე მუშაობაში გამოყენებულ მიდგომებს. გამონაკლისის სახით აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ:

1. არსებული ინფორმაციით, ძმები კვარაცხელიები, „სასურველი ტიპის ინდივიდების“ მისაღებად თავს არიდებდნენ ნათესაურ შექმნილებას, რასაც, ნიშან-თვისების განმტკიცების მიზნით, არცთუ იშვიათად მიმართავდნენ ინგლისელი სელექციონერები, და კიდევ,
2. ინგლისელები, სელექციაში პრაქტიკულად არ იყენებდნენ ბუნებრივი გადარჩევის ელემენტებს, ანუ ცხოველთა სელექციაში „ბუნების ძალის ჩართვას“.

⁵³ მაღალი აღმათობით, ეს არის იმის მიზეზი, რომ მეგრული წითელ ჯიშს, ქართული მთის ძრობის სხვა ჯილაგებთან შედარებით, რამდენადმე უფრო გრძელი და განსხვავებული ფორმის რქები აქვთ.

ვფიქრობთ, იქ ამის აუცილებლობა არც იყო, რამეთუ ბრიტანეთის კუნძულის რბილი კლიმატი, აგრეთვე უხვმოსავლიან საძოვრებზე ძოვება არ საჭიროებდა გარემოსადმი განსაკუთრებული შეგუების უნარის მქონე ცხოველების გამოყვანაზე ზრუნვას.

კვარაცხელიების მიერ სელექციის მიზნების შედარებით მოკლე დროში მიღწევა კი შესაძლებელი გახდა ნახირის ორგანიზაციისადმი თავისებური მიდგომის წყალობით; კერძოდ:

- მეჯოგებს მვაცრად ჰქონდათ განსაზღვრული მთაბარობისას ნახირის სქესის, ასაკისა და სამეურნეო დანიშნულების ჯგუფებად დაყოფა (მეწველი ფურები, ერთ წელზე უხნესი დეკეულები, ერთ წლამდე მოზარდეული და სხვ.); განსაზღვრული იყო, აგრეთვე, ჯგუფში ცხოველთა რაოდენობა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო 60-80 სულზე მეტი. ასეთი მიდგომა მწყემს (მეგრ „ჭყეში“, „ჭყიში“) საშუალებას აძლევდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების შესაბამისი წესით ემუშავა კონკრეტული სქესის, ასაკისა და სამეურნეო დანიშნულების ჯგუფთან, მეტი ყურადღება და დრო დაეთმო კონკრეტული ოპერაციის შესრულებაზე და მისი საქმიანობა ყოფილიყო უფრო ეფექტური;
- ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე დადგენილი ჰქონდათ პირუტყვის მთაში გადარევა-ვისა და უკან დაბრუნების ოპტიმალური ვადები, ხოლო მასში კორექტივები შეჰქონდათ ყოველი

კონკრეტული წლის კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

- ერთსა და იმავე ნაკვეთში პირუტყვის გარკვეული ხანგრძლივობით ძოვების შემდეგ ნახირი გადაჰყავდათ სხვა ფართობზე (ნაკვეთმორიგეობითი ძოვება).
- ფურებს და სქესობრივი სიმწიფის ასაკს მიღწეულ დეკეულებს ანაყოფიერებდნენ იმდაგვარად, რომ ხბო დაბადებულიყო კლიმატური თვალსაზრისით ხელსაყრელ პერიოდში, გაზაფხულზე. საქმე ის არის, რომ ნახირის უბინაოდ, ღია ცის ქვეშ შენახვისას, ზამთრის გრილ და ნესტიან დღეებში დაბადებული მოზარდეულის (მეგრ. „ზოთონჯიშ გინი“) შენარჩუნება და მისგან ჯანმრთელი პირუტყვის გამოზრდა, ბევრად ძნელი იყო, ვიდრე წლის თბილ პერიოდში დაბადებულის. ამის გათვალისწინებით სადედე სულადობის დგრილება ხდებოდა იმდაგვარად, რომ ნამატი მიეღოთ მარტი-აპრილის თვეებში. ასეთი მოდგომის უპირატესობა ისიც იყო, რომ მაისის ბოლო დეკადისთვის, ანუ მთაში გადარეკვის მომენტისთვის, მოზარდეული უკვე საკმაოდ მომაგრდებოდა და შედარებით ადვილად იტანდა მგზავრობას.

ნამატის წლის კონკრეტულ პერიოდში მისაღებად, ნახირის კოლხეთის ზამთრის საძოვრებზე ყოფნისას, გვიანი შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულის პირველ თვეებში, ვიდრე მთაში გამგზავრებამდე, კურო-მწარმოებელი გამოჰყავდათ სადედე ნახირიდან და ინახავდნენ ცალკე;

ტექნიკურად ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო მეტად გონებამახვილურად და მეჯოგეთა ლექსიკონით ეწოდებოდა „გიშახუნაფა“ [112]. ზოგადად, ტერმინი „გიშახუნაფა“ გულისხმობს გარკვეული მოსაზრებით რომელიმე ცხოველის, ან ცხოველთა ჯგუფის ნახირიდან გამოყვანას-გამოცალკევებას [59], ამ შემთხვევაში კი ასახავს კურო-მწარმოებლის სადედე სულადობიდან გამოყვანას.

ნ. ქობალია [112] ასე აღწერს „გიშახუნაფას“: საერთო ნახირიდან გამოსაყვანად მეჯოგე გაიტყუებდა კურო-მწარმოებელს და „მხოლოდ მისთვის ნაცნობი ბილიკებით...“, გადაიყვანდა გაუვალი ჭაობით გარშემორტყმულ კუნძულზე⁵⁴, რომელიც, პრაქტიკულად წლის ყველა პერიოდში დაფარული იყო წვნიანი და ყუათიანი ხასხასა ბალაბით. აյ კურო მწარმოებელი პრაქტიკულად მთელი გვიანი შემოდგომა ზამთარი იმყოფებოდა ღია ცის ქვეშ, უზრუნველყოფილი იყო საკვებით და დაცული ნადირისაგან.

ჩვენი მონაცემებით, იმ შემთხვევაში, როდესაც კუნძულს არ ჰქონდა ფონი, მეჯოგე მურყანის, ან ნებისმიერი ხელთ არსებული ხის მასალის მორებით ააწყობდა გადასასვლელს (ბოგას, ბოგირს, სურ. 34), გადაყვანის შემდეგ კი დაშლიდა, ან ჩახერგავდა მას და კურო-მწარმოებელს იქ ამყოფებდა შეწყვილებისათვის ხელსაყრელ დრომდე.

აღწერილის მსგავს მიდგომაზეა საუბარი ნ. ბრეგვაძის [113] ნაშრომში, რომელშიც აღნიშნულია, რომ კლიმატური თვალსაზრისით წლის სასურველ პერიოდში

⁵⁴ მეგრ. = „კოკა“, „კოკია“, „მუხური“, „მუხურეფი“

ნამატის მიღების მიზნით, კახელ და თუშ მეცხვარეებს ვერძი-მწარმოებლები სადედე ფარიდან გაჰყავდათ დაახ-ლოებით 7 - 9 ივლისიდან (ძვ. სტილით), რომელიც ემთხვევა ცის აღმოსავლეთით კუროს თანავარსკვლავედის კრებულის – პლეადების⁵⁵ გამოჩენას [114].

საქმე ის არის, რომ ნერბებში და სქესობროვად მომწიფებულ დედალ თოხლებში ამ პერიოდიდან მასობრი-ვად იწყება ხურაობის ბიორითმები და შემთხვევით, სასურ-



სურ. 34. ჭაობში კუნძულზე გადასასვლელი „ბოგა“
(ხობის მუნიციპალიტეტი, ვეტერინარი-ექიმის
დიტო ხურცილავას ფოტო)

ველ დროზე
ადრე მათი
განაყოფიერე-
ბის თავიდან
ასაცილებლად
ვერძ-მწარმო-
ებლებს მწყემ-
სები გამოიყ-
ვანდნენ ფარი-
დან და გადაჰ-
ყავდათ სხვა
ნოტოში.

მოტანილი

მაგალითი არ არის ერთეული შემთხვევა. ცნობილია, რომ ქვეყნის ყველა კუთხის მოსახლეობაში ოდითგანვე დამკვიდრებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების ე.წ. „ხალხური კალენდარი“, რომლითაც

⁵⁵ მათი ქართული ხალხური სახელწოდებაა „მრავალი“, „ხომლი“ [114-ის მიხედვით].

ზუსტად იყო განსაზღვრული ამა თუ იმ დარგში კონკრეტული ღონისძიების ჩატარების აგროვადები [113].

ტრადიციისამებრ, კვარაცხელიები უზიარებდნენ თავი-ანთ გამოცდილებას სხვა მეჯოგებს, რაც კარგი მაგალითი იყო და ეს უკანასკნელები, თავიანთ ნახირში საქმიანობდნენ მსგავსი მიდგომებით. გარდა ამისა, სხვა მეჯოგების სულადობაზე კვარაცხელიების ნახირის გავლენა განაპირობა იმან, რომ მუშა ხარებთან ერთად, ისინი ყოველწლიურად ყიდიდნენ 30 სულამდე სანაშენე მოზვერს (კურაკს), აგრეთვე იმ დეკეულებს, რომლებიც არ სჭირდებოდათ საკუთარი ნახირის შესავსებად [92];

ამდენად, კვარაცხელიების ნახირიდან ქვეყანაში ვრცელებოდა სასურველი გენოტიპები, ანუ მათი ფერმა ჯიშისთვის გახდა თავისებური სამოშენებლო, რომელიც მეჯოგებს ამარაგებდა სანაშენე პირუტყვით. ამან კი, თავის მხრივ, ზოგადად სამეგრელოში და მის მიმდებარე რაიონებში უზრუნველყო მორფოლოგიურად და გენეტიკურად ერთტიპიური სულადობის ჩამოყალიბება.

აღნიშნული გარემოებები, აგრეთვე იმ პერიოდის-თვის ქვეყანაში შექმნილი სოციალური და სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის ანალიზი გვაძლევს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ, მეგრელი მეჯოგებიდან, ძმები კვარაცხელიები იყვნენ ერთ-ერთი პირველები, რომლებმაც შიდასაოჯახო, პირადი დამხმარე მეურნეობის ფორმიდან, თავიანთი საქმიანობა წარმატებით გადაიყვანეს სასაქონლო ფერმერული მეურნეობის ფორმაში და, ერთგვარად, საფუძველი ჩაუყარეს სანაშენე მეცხოველეობას.

უდაოა, რომ ძმებმა კვარაცხელიებმა საქართველოს ისტორიაში დატოვეს ღირსეული სახელი, ქართველი გლეხვაცის შემოქმედებითი აზროვნების, საქმის არსში ღრმად ჩაწერდომისა და გამოცდილების პრაქტიკაში განხორციელების შთამბეჭდავი მაგალითი. მათ, ყოველგვარი სამეცნიერო ცდებისა თუ ლაბორატორიული გამოკველევების გარეშე შესძლეს გარემოსადმი ადაპტირებული მაღალი სამეურნეო და პროდუქტიული ღირსებების მქონე ძროხის ჯიშის გამოყვანა, რომელიც ნებისმიერი მფლობელისთვის განუსაზღვრელი სიმდიდრის გარანტია იქნებოდა.

დღეისათვის „მეგრული წითელი“-ს სახელით ცნობილი ჯიშის გამოყვანაში ძმები კვარაცხელიების უდიდესი დამსახურება აღიარა ფართო საზოგადოებამ და მათდამი პატივისცემის, მაღლიერებისა და სიყვარულის ნიშნად, წერილობით წყაროებში თუ საუბარში ამ ჯიშს უწოდებენ „კვარაცხელია“.

მეგრული წითელი ძროხის სამეურნეო-ბიოლოგიური მახასიათებლები და სულადობა

XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს მეცხოველობის აღწერის მასალებსა და სხვა პუბლიკაციებში მეგრული წითელი ჯიშის არსებობაზე, მის სამეურნეო-ბიოლოგიურ მახასიათებლებსა და სულადობაზე მონაცემები არ გვხვდება [66]. ერთეული მწირი საინფორმაციო ხასიათის წერილობითი ცნობები გვაუწყებენ, რომ 30–40 წლით ადრე, ქუთაისის გუბერნიის ცალკეულ მეჯოგეთა ნახირებსა თუ სოფლის

მოსახლეობაში გავრცელებული ყოფილა პატარა ტანისა და სხვადასხვა ფერის, მათ შორის წითელი ძროხა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების პირველი ექსპედიციური გამოკვლევა შემდგარა 1924-1928 წლებში, მაგრამ მის შედეგებზე რამდენადმე სრულფასოვანი მონაცემები არ მოიპოვება.

მეგრული წითელ ჯიშთან სანაშენე მუშაობაზე (სამომშენებლოს მოწყობასთან დაკავშირებით) პირველი ოფიციალური ინფორმაცია ბეჭვდით პრესაში გამოქვეყნებულია 1929 წელს [116], რომლის თანახმად საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახელმწიფო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე სიტყვით გამოსულა პროფესორი ილია ჯანდიერი, რომელსაც დაუყენებია წინადადება „მესაქონლეთა ამხ. „მეჯოგე“-ს სამოქმედო რაიონში (სენაკის და ზუგდიდის მაზრები) მეგრული ჯიშის მსხვილფეხა საქონლის საჯიშე სამომშენებლოს მოწყობისა და ყველ-კარაქის ქარხნის აგების შესახებ“. აღნიშნულია, რომ „... კოლეგიამ მიზანშეწონილად სცნო აღნიშნული საჯიშე-სამომშენებლოს მოწყობა...“ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისთვის მიუცია წინადადება ამხანაგობაზე გამოეყო სესხი „...ყველ-კარაქის ქარხნის ასაშენებლად... 58000 მანეთი...“, „...ხოლო საჯიშე-სამომშენებლოს მოსაწყობად 68000 მანეთი“. ამასთან, სხდომის დადგენილებით შექმნილა სპეციალური კომისია პროფ. ილია ჯანდიერის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა ადგილებზე გამგზავრება და წინადადებების მომზადება.

სამწუხაროდ, საგაზეთო სტატიაში არაფერია თქმული ამხანაგობა „მეჯოგე“-ს ფერმაში ცხოველთა სანაშენე და

პროდუქტიულ თვისებებზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ იმ დროს უკვე საკმაოდ მაღალი ყოფილა სახელგანთქმული მეცნიერის, აგრეთვე ქვეყნის ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვითა და მეცხოველეობაში სანაშენე საქმიანობის განვითარებით დაინტერესება. როგორც ჩანს, ამ ჯიშის პირუტყვის სამეურნეო და ბიოლოგიური თავისებურებების შეფასებასა და მეცნიერულად შესწავლას ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ 40- იანი წლების მეორე ნახევრამდე პუბლიკაციებში ამის თაობაზე მასალები ვერ მოვიძეთ;

ცნობილია, რომ ყოფილი სსრკ-ს და მათ შორის საქართველოში პირუტყვის რაოდენობასა და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების პროცესზე უარყოფითად იმოქმედა 1928-1934 წლებში განხორციელებულმა კოლექტივიზაციამ, რა დროსაც მეჯოგეთა გარკვეულმა ნაწილმა უარი თქვა მასში მონაწილეობაზე, გამოაცხადა დაუმორჩილებლობა და ბევრმა მათგანმა გაანადგურა თავისი პირუტყვი.

ზოგიერთი მეჯოგე, შექმნილი არასასურველი გარემოს მიუხედავად, დარჩა საქმისადმი ერთგული და გააგრძელა საქმიანობა. ამის მაგალითია დათა ფოთუს ძე კვარაცხელია, რომლის თაოსნობით გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბებულა არტელი, სადაც ჰყოლიათ 700-მდე სული მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვი [32].

ზოგადად ადგილობრივი ჯიშების გადაშენების საშიშროება ქვეყანაში შეიქმნა 30- ანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც სკპ(ბ) 1934 წლის ივლისის პლენუმმა მიიღო დადგენილება (რეზოლუცია, მუხლი V) "...ცხოველთა გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით

უზრუნველყოფილი იქნას საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, აგრეთვე კოლმეურნეობის წევრი და არაწევრი პირების არაჯიშიერი პირუტყვის მასობრივი მეტიზაცია...“ [117]. ამ დადგენილების საფუძველზე იმ დროისათვის საბჭოთა კავშირში და, მათ შორის, საქართველოშიც სავალდებულო გახდა ადგილობრივი მსხვილფეხა პირუტყვის შემოყვანილი მაღალპროდუქტიული ჯიშებით გაუმჯობესება.

ეს პროცესი, როგორც ჩანს, საქართველოში აქტიურად დაწყებულა 1936 წლიდან [66], ხოლო მას სისტემური ხასიათი მიეცა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის დადგენილებით [118].

რაც შეეხება სახელმწიფოს დამოკიდებულებას სანაშენე საქმისადმი, შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მიწსახომთან შექმნილა საჯიშე საქმისა და საჯიშე წიგნების ინსპექცია, რომელსაც სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 15 მაისის N12 და სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 20 აგვისტოს N18 დადგენილებით სხვა სამეურნეო-ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად ევალებოდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სახელმწიფო სანაშენე წიგნის გამოცემაზე ზრუნვა [72, 119]; დასახული ამოცანების შესასრულებლად:

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა 1939 წლის 1 ოქტომბრამდე გაერკვია პირუტყვის ჯიშიანობა და სისხლიანობა,

2. მიწათმოქმდების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა და დამტკიცდა საჯიშე საქმისა და საჯიშე წიგნების სარაიონთაშორისო ინსპექტურის შტატი, რომელთაც დაევალათ ამ მიმართულებით საქმის წარმოების კონტროლი,
3. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რომელთაც ჰქონდათ მეცხოველეობის ფერმა, სავალდებულო გახდა საჯიშე წიგნების წარმოება,
4. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ზოოტექნიკური უბნების რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 240,
5. ზოოტექნიკური სპეციალობის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებს დაევალათ პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების სწავლების შემოღება. ამავე გადაწყვეტილებით კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა პირად მეურნეობებში დაიგეგმა სიმენტალის, შვიცისა და გერმანული წითელი⁵⁶ ჯიშის მწარმოებლებით ადგილობრივი ფურრების დაგრილება (სულ 124000 სული „...ძროხები და უშობლები“).

ანგარიშებიდან ჩანს, რომ პირველ ეტაპზე გამაუმჯობესებლად გამოუყენებიათ სიმენტალური ჯიში, მაგრამ ფურრებში ნაყოფის დიდი ზომით გამოწვეული გართულებული მშობიარობის სიხშირის ზრდის მიზეზით, აგრეთვე მიღებული I თაობის ნაჯვარების გარემო პირობებისადმი ცუდად შეგუების გამო, ასეთ შეჯვარებაზე ხელი აუღიათ და დაუწყიათ შვიცური და სტეპის წითელი

⁵⁶ 1941 წელს გერმანიის სსრ კავშირზე დავდასხმამდე სტეპის წითელ ჯიში იწოდებოდა „გერმანული წითელი“-ს სახელით.

ჯიშების კურო-მწარმოებლების გამოყენება (სამეგრელოს 7 რაიონში და ქ. ფოთის საზოგადოებრივ მეურნეობებში გათვალისწინებული იყო 8275 სულის განაყოფიერება). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმით, სამეგრელოს რაიონებში გათვალისწინებული იყო ნაჯვარი კურო- მწარმოებლების გამოყენება, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს და სასურველ შედეგს ვერ მოგვცემდა.

1942 წელს გამოვიდა მსხვილი რქოსანი პირუტყვის სახელმწიფო საჯიშე (სანაშენე) წიგნი [120], რომელშიც შეტანილია მხოლოდ შვიცური და წითელი გერმანული ჯიშების სანაშენე პირუტყვზე მონაცემები.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პერიოდს ემთხვევა პირველი მონაცემები მეგრული წითელი ჯიშის ცხოველთა სულადობაზე, რომლის თანახმად 1946 წელს აღრიცხულია 17,2 ათასი სული, ხოლო 1960 წლის ჯიშიანი პირუტყვის აღწერით შეადგინა 17,6 ათასი [121].

გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ქვეყანაში რძისა და მისი პროდუქტების მწვავე დეფიციტის გამო, პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ, ზოგიერთი მეცნიერის რეკომენდაციით, მიიღეს დადგენილება საზოგადოებრივ მეურნეობებში სსრკ-ს მოკავშირე რესპუბლიკებიდან „ჯიშიანი პირუტყვის“ შემოყვანილი იქნა 17 ათასი სული შვიცური, სტეპის წითელი, ლატვიური წაბლა, კოსტრომული და სხვა ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვი, ძირითადად დეკული და ფური. ამავე დადგენილებით, სარძეო პროდუქტიულობის პოტენციალის ასამაღლებლად საზოგადოებრივ მეურნე-

ობებს მიეცათ დავალება ძროხის ადგილობრივი ჯიშები გაეუმჯობესებინათ კულტურულ ჯიშის მწარმოებლებთან შეჯვარებით; მათ შორის მეგრული წითელი ჯიშის გამაუმჯობესებლად რეკომენდებული იყო სტეპის წითელ ჯიშის მწარმოებლები.

მიუხედავად გაწეული მნიშვნელოვანი ორგანიზა-ციულ-სამეურნეო ღონისძიებებისა, კულტურული ჯიშების შემოყვანამ, აგრეთვე მათი ადგილობრივი ძროხასთან შეჯვარებამ, რმის წარმოების გადიდების კუთხით რამდენადმე ხელშესახები შედეგი ვერ გამოიიღო. უარყოფითი კი ის იყო, რომ მიღებულ თაობაში მკვეთრად გაუარესდა ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებთან შეგუების უნარი, აგრეთვე საგრმნობლად შემცირდა ენდემური და აბორიგენული გენოფონდის ხალასჯიშიანი ცხოველების სულადობა და შეიქმნა მათი დაკარგვის საფრთხე.

მეგრული წითელი ჯიშის სამეურნეო-ბიოლოგიურ თავისებურებებზე პირველი სამეცნიერო ნაშრომი თეზი-სების სახით გამოქვეყნებული აქვს პ.გეგენავას [122], ხოლო ფართომასშტაბიანი ექსპედიციური შესწავლა განხორციელებულა 1946-49 წლებში, ნ. გოცირიძის ხელმძღვანელობით [92]. მოპოვებული მასალების ანალიზით გაკეთდა დასკვნა, რომ პირველი ექსპედიციიდან განვლილი 20 წლის მანძილზე ამ ჯიშს ნაკლებად განუცდია უცხო გავლენა, ხოლო ის მცირე ცვლილებები, რომლებიც იქნა აღნიშნული, კვლევის ავტორების მიერ შეფასდა როგორც ლაბილური გენეტიკური ფაქტორების გავლენა [121].

ექსპედიციური კვლევის მონაცემების საფუძველზე, გავრცელების ზონაში, შეურჩევიათ 4 ფერმა, რომლებშიც მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვს აშენებდნენ ხალასად და ტრადიციულად ეწეოდნენ მომთაბარეობას. ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ ცხოველთა მთაბარობის პირობებში შენახვისას, შემოდგომაზე, მთიდან ბარში დაბრუნებული ფურების ცალკეული ეგზემპლარების ცოცხალი მასა იყო 330-355 კგ-ს, ხოლო I, II და III და მეტ ლაქტაციაზე ეს მაჩვენებელი საშუალოდ იყო 230,5; 255,1 და 277,6 კგ, შესაბამისად (ცხრილი 3).

**ცხრილი 3. მეგრული წითელი ჯიშის ფურების
ცოცხალი მასა, კგ (1946-49 წ.წ.)**

ლაქტა- ცია	გაზაფხულზე		შემოდგომაზე	
	lim	საშუალო	lim	საშუალო
I	152-280	209,9	180-330	230,5
II	140-320	232,0	182-335	255,1
III და <	180-348	255,9	220-355	277,6

გამოზამთრების შემდეგ, ამავე ცხოველების გაზაფხულზე აწონვისას აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ლაქტაციის ფურებში ცოცხალი მასა საშუალოდ შემცირდა 20,6-23,1 კგ- ით, ანუ I, II და III და მეტი ლაქტაციის ფურებში, შესაბამისად 9,8, 10,0 და 8,5%- ით. ამის მიზეზად კვლევის ავტორები ასახელებენ ზამთრის პერიოდში საკვების დაბალ ხარისხსა და მწირ კვებას.

რაც შეეხება ასაკის მიხედვით ფურების ცოცხალი მასის ცვალებადობას, აღმოჩნდა, რომ: I ლაქტაციასთან შედარე-

ბით, II ლაქტაციაზე ცოცხალი მასა იზრდებოდა 10,5-10,7%-ით, ხოლო II და ზრდასრულ (III და მეტი) ლაქტაციებს შორის მატება 8,8-10,3%-ის ტოლია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალი მასის ზრდის მაჩვენებელი მეძროხეობაში დადგენილი სტანდარტის ფარგლებში ყოფილა.

იმავდროულად, ასაკობრივ ჯგუფებს შიგნით ფურების ცოცხალ მასაში აღნიშნულია საკმაოდ დიდი (128-დან-180 კგ- მდე) განსხვავებები; ამ ფაქტზე პუბლიკაციაში ყურადღება არ არის გამახვილებული; სავარაუდოდ კი, ასეთი მდგომარეობის მიზეზი, კვებასთან დაკავშირებულ ხარვეზებთან ერთად, შესაძლებელია ყოფილიყო ფიზიოლოგიური სიმწიფის ასაკის მიუღწეველი, ანუ დაბალი ცოცხალი მასის დეკულების განაყოფიერება, ან კიდევ გამოეწვია შესწავლილი სულადობის არაერთგვაროვნებას (ჯიშის გამოუთანაბრებლობას).

სარძეო პროდუქტიულობის შესწავლით დადგენილია, რომ I, II და III და მეტ ლაქტაციაზე ფურების საშუალო მონაწველი იყო 765, 797 და 875 კგ რძე (ცხრილი 4). ნ.გოცირიძის აზრით ასეთი დაბალი მაჩვენებელი გაპირობებულია ორი ფაქტორით:

1. მთელი წლის მანძილზე საძოვარზე შენახვისას, კვებისა და მოვლა შენახვის შეუსაბამო პირობები, „რომელიც ნებისმიერი სხვა ჯიშის ცხოველთა არსებობისთვისაც კი უვარგისი იქნებოდა“.

ცხრილი 4 . მეგრული წითელი ჯიშის სარმეო პროდუქტიულობა
და სხვა სამეურნეო-ბიოლოგიური თვისებების შესწავლის
შედეგები (1946-49 წ.წ.)

მაჩვენებლები	რაოდენობა	
	lim	საშუალო
მონაწველი, კგ: – I ლაქტაცია	251-1115	765
„ – „ – „ – II ლაქტაცია	175-1589	797
„ – „ – „ – III და < ლაქტაცია	184-1904	875
რძეში ცხიმის %	3,23-6,17	4,45
ხანგრძლივობა, დღე: - ლაქტაციის	105-336	220
- „სერვის პერიოდის“	10-195	81
- მშრალობის პერიოდის	81-328	147

2. „პირუტყვი ნახევრად გაველურებული იყო და დაბმას მიუჩვეველი; ... დილით და საღამოს თვითონ მოდიოდა სადგომთან, რომ ხბოსათვის ძუძუ მოეწოვებინა და თავისთან მხოლოდ შეჩვეულ მომსახურე პერსონალს, მარტო წველის დროს უშვებდა“. ბუნებრივა, ეს, არა მარტო აძნელებდა ზოგადად სარმეო პროდუქტიულობის შესწავლას, არამედ საგრძნობლად ამცირებდა ცალკეული ფურების მონაწველს.

მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ 4 საცდელ ფერმაში ამ ჯიშის ფურების საშუალო ლაქტაციური მონაწველი გაცილებით მაღალი ყოფილა, ვიდრე იმ პერიოდში ქვეყნის ყველა სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში საშუალოდ; ამაზე მეტყველებს 1950 წლის

სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმად რესპუბლიკაში ფურების საშუალო მონაწველი შეადგენდა მხოლოდ 468 კგ რძეს [66].

ვფიქრობთ, საინტერესოა ამ შედეგის შედარება კოლექტივიზაციის პირველ წლებში საქართველოს საზოგადოებრივ მეურნეობებში ფურების საშუალო მონაწველის მონაცემებთან. ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ ამონარიდს, 1930 წლის გაზეთ კომუნისტში [123] დაბეჭდილი სტატიიდან, რომელშიც აღნიშნულია: „საქმე უნდა მოეწყოს ისე, რომ თვითეულმა ძროხამ წლიურად მოგვცეს არა 700 კილოგრამი რძე როგორც ეხლა, - არამედ 1700 კილოგრამი...“.

ასაკის მიხედვით ფურების მონაწველის ზრდის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ III და მეტ ლაქტაციაზე, პირველ ლაქტაციასთან შედარებით ეს მაჩვენებელი, მატულობდა მხოლოდ 14,4%- ით, რაც 5-10%- ით ნაკლებია კარგი მოვლა-შენახვისა და ნორმირებულად კვების პირობებში სხვა ჯიშების შესაბამის მაჩვენებელზე [124].

ისევე როგორც ცოცხალი მასის მონაცემთა ანალიზისას, აქაც გამოიკვეთა ასაკობრივ ჯგუფებს შიგნით მონაწველის მეტად დიდი განსხვავება. ასე, მაგალითად, პირველ ლაქტაციაზე მინიმალური მონაწველი იყო 251, ხოლო მაქსიმალური 1115 კგ (ანუ განსხვავდება 4,4- ჯერ), III და მეტ ლაქტაციაზე კი სხვაობამ შეადგინა 1724 კგ, ანუ მაქსიმალური მონაწველი 19,6-ჯერ!!! მეტი იყო მინიმალურზე.

მეტად დიდი განსხვავებებია აღნიშნული რძეში ცხიმის შემცველობის (3,23–6,17%), აგრეთვე ლაქტაციის,

„სერვის-“ და მშრალობის პერიოდების ხანგრძლივობის მაჩვენებლებშიც.

კვლევის ავტორები ამის მიზეზად ასახელებენ რამოდენიმე ფაქტორს, მათ შორის:

1. პირუტყვის არაერთგვაროვნებას (ჯიშის გამოუთანაბრებლობას),
2. მთაბარობის მძიმე პირობებს,
3. ზოგადად ცხოველთა კვებაში არსებულ ხარვეზებს, განსაკუთრებით კი ზამთრის თვეებში მწირ კვებას, რის შედეგად ფურები არა მარტო მკვეთრად ამცირებდნენ მონაწველს და/ან დროზე ადრე, 250-270 დღეში წყდებოდა მათი ლაქტაცია.

დაბალი საშუალო მონაწველის მიუხედავად, აღწერილი ექსპერიმენტის ემპირიული მონაცემების ანალიზისას მკვლევარებმა გამოავლინეს 8 საუკეთესო ფური, რომელთა 305 დღიური მონაწველი საშუალოდ იყო 1551 კგ რძე (Lim. 1396-1904 კგ), ხოლო რძეში ცხიმის შემცველობამ შეადგინა 4,66 % (Lim. 3,95-5,71%) (ცხრილი 5).

1960 წლის ჯიშიანი პირუტყვის აღწერამ წარმოაჩინა, რომ მსხვილფეხა პირუტყვის საერთო სულადობაში საგრძნობლად შემცირდა ადგილობრივი ჯიშების, მათ შორის მეგრული წითელის რაოდენობა და შეიქმნა მათი დაკარგვის საშიშროება.

ამის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების დაცვა-აღდგენისა და გაუმჯობესების პროგრამა, მრავალგზის ჩაატარა ექსპედიციური

გამოკვლევები და მოძიებული იქნა საზოგადოებრივი მეურნეობების ის ფერმები, სადაც ხალასი სახით ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ადგილობრივი ჯიშები, მათ შორის მეგრული წითელი პირუტყვი.

ცხრილი. 5. მეგრული წითელი ჯიშის საუკეთესო ფურების სარძეო პროდუქტიულობა მთაბარობისას [92]

შესწავლის ადგილი (რაიონი, სოფელი)	ფურის N	305 დღიური მონაწველი, კბ	რძის ცხიმი	
			%	კბ
სენაკის, ახალსოფელი	245	1904	3,95	75,2
„ – „ – „	117	1518	4,10	68,2
ფოთის, ნინოწმინდა	41	1622	5,17	81,8
„ – „ – „	31	1616	4,20	67,9
ჩხოროწყუს, მუხური	125	1412	5,10	72,0
„ – „ – „	1	1484	4,20	62,3
წალენჯიხის, ჯგალი	18	1396	5,71	79,7
„ – „ – „	19	1454	4,86	70,7

აღმოჩნდა, რომ მეგრული წითელი ჯიშის ძროხა მეტ-ნაკლებად ხალასი სახით ყოლიათ კოლხეთის დაბლობისა და მისი მიმდებარე 15 რაიონის ერთეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში. მათ შორის, სანაშენე ღირსებითა და პროდუქტიულობით გამოირჩეოდა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ზემო აკეთის კოლმეურნეობა, რომლის ბაზაზე 1965 წელს დაარსდა მეგრული წითელი ჯიშის პირველი სანაშენე ფერმა.

თ. ფირცხალაიშვილმა [125] და თ. მახარაძემ [126] 1968-1972 წ. წ. შეისწავლეს ამ ფერმის ზოოტექნიკური და

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

სანაშენე ჩანაწერები და დაადგინეს, რომ 232 სული პირუტყვიდან 98 იყო ფური, 4-კურო-მწარმებელი, და 130 სხვადასხვა ასაკის მოზარდეული. აღმოჩნდა, რომ სხვა-დასხვა წლებში ფურების საშუალო მონაწველი ცვალება-დობდა 1800-1895 კგ-ის, ხოლო რძეში ცხიმის შემცველობა 4,4-4,5% ის ფარგლებში (ცხრილი 6). ამასთან, მონაცემთა დეტალურმა ანალიზმა კვლევის ავტორებს უჩვენა, რომ ერთნაყოლი ფურების ცოცხალმა მასამ 316,4 კგ, ლაქტაცი-ურმა მონაწველმა 1810 კგ, რძეში ცხიმის შემცველობამ კი ცხრილი 6. ზემო აკეთის სანაშენე ფერმის 4,42% შეადგინა; ფურების პროდუქტიულობა მესამე და მეტი

წლები	ფურების რაოდენობა	მონაწველი, კგ	რძეში ცხიმის %
1968	71	1895	4.4
1969	72	1800	4.5
1970	81	1834	4.5
1971	80	1884	4.5
1972	81	1883	4.4

ლაქტაციის ფურებისთვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად იყო: 330,4 კგ, 2370 კგ და 4,38%.

1976 წელს,
საქართველოს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით ქ. ზუგდიდში დაარსდა მეგრული წითელი ჯიშის ძროხის ჯიშთსაშენი, რომელსაც არსებული რეგლამენტით ევალებოდა ჯიშთან სანაშენე-სასელექციო მუშაობასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგება და გაძლიერება.

1975-80 წლებში ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეძროხეობის კათედრამ მეგრული წითელი ჯიშის ოთხ 150

სანაშენე ფერმაში შეისწავლა ცხოველთა პროდუქტიულობა და სხვა სამეურნეო-ბიოლოგიური თავისებურებები [127]. მონაცემების ანალიზი (ცხრილი 7) გვიჩვენებს, რომ საკმაოდ მაღალი სანაშენე ღირსების სულადობა ყოლიათ სოფ. ზემო აკეთის კოლმეურნეობაში, სადაც ზრდასრული ფურების მონაწველმა შეადგენდა 2010 კგ რძე 4,4% ცხიმით. სხვა სამ სანაშენე ფერმაში კი ფურების საშუალო მონაწველი შედარებით დაბალი იყო.

ცხრილი 7. სანაშენე მეურნეობებში ფურების სარმეო

პროდუქტიულობის შესწავლის შედეგები

კოლმეურნეობა (სანაშენე ფერმა)	I ლაქტაცია		III და < ლაქტაცია	
	მონაწ- ველი, კგ	ცხიმის %	მონაწ- ველი, კგ	ცხიმის %
ზემო აკეთის	1684	4,37	2010	4,40
ვ. მაიაკოვსკის	993	4,41	1394	4,34
სოფ. სალხინოს	-	-	1234	4,28
სოფ. კურზუს	-	-	1114	4,20

წლების მიხედვით ჯიშის სარმეო პროდუქტიულობის ცვალებადობის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით ნ. ცინცაძემ [128] დაადგინა, რომ 1946-49 წლებთან შედარებით 1979-1983 წლებში საშუალო მონაწველი გაზრდილა 584 კგ- ით, ანუ 66,7%- ით, 1 ფურიდან წარმოებული რძის ცხიმის საშუალო რაოდენობა - 62,8%- ით, ხოლო ცოცხალი მასა 11,7%- ით. ეს ნიშნავს, რომ განვლილი 34 წლის მანძილზე ზრდასრული ფურების მონაწველის საშუალოდ წლიურმა ზრდამ შეადგინა 17 კგ (ცხრილი 8).

**ცხრილი 8. მეგრული წითელი ჯიშის ფურების სარძეო
პროდუქტიულობის შეფასების შედეგები [115]**

წლები	შესწავლილი ლაქტაციების რაოდენობა	მონაწ- ველი, კგ	რეში ცხიმის %	რძის ცხიმი, კგ	ცოცხალი მასა, კგ
1946-1949	334	876	4,45	39,0	277,6
1979-1983	1675	1460	4,35	63,5	310,2
სხვაობა	-	+584	-0,10	+24,5	+32,6

იმ პერიოდისთვის მონაწველის ზრდის ეს დონე დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც ჯერ კიდევ, არ იყო ჩამოყალიბებული ჯიშის სანაშენე ბირთვი, ნაკლები ყურადღება ექცეოდა გამაუმჯობესებელი კურო-მწარმოებლების გამოვლენას, არ იყო დანერგილი ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი და სხვ. გარდა ამისა, სახელმწიფო და სამუშაო მუშაკების მხრიდან ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ადგილობრივი ჯიშების მომშენებელი ფერმების საკვებით უზრუნველყოფისა და მოვლა-შენახვის პირობების ნორმებთან შეაბამისობაში მოყვანის საკითხს, ვინაიდან აქცენტი, ძირითადად, გადატანილი იყო შემოყვანილი ჯიშიანი პირუტყვის მატერიალურ-ტექნიკური და სასელექციო უზრუნველყოფის პრობლემების მოგვარებაზე.

პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად ცალსახად აღინიშნება ფურების სხეულის ცალკეული განაზომების: სიმაღლეში, სიგანესა და სიგრძეში ზრდის ტენდენცია (ცხრილი 9). ამან კი, თავის მხრივ, ასახვა პპოვა ცხოველთა

ცოცხალ მასაში, რომელიც გაიზარდა 26,1 კგ-ით, ანუ 9,4%-ით.

ცხრილი 9. ზრდასრული ფურების ცოცხალი მასა (კგ) და სხეულის განაზომები (სმ)

მაჩვენებლები	წლები		
	1946-49	1976-80	1985
ცოცხალი მასა	277,6	296,5	315,4
სიმაღლე მინდაოში	112,4	113,6	113,8
სიმაღლე გავაში	115,4	118,5	117,3
ტანის ორიბი სიგრძე	132,9	133,3	135,6
გულმკერდის სიღრმე	59,1	60,1	61,8
გულმკერდის სიგანე	30,2	31,9	32,1
გულმკერდის ორგვლივა	156,2	166,8	168,5
ნების ორგლივა	16,0	16,5	16,9
სიგანე კუკუხოებში	41,6	42,8	45,0
სიგანე საჯდომ ბორცვებში	22,7	22,7	23,8
უკანალის ორიბი სიგრძე		43,8	
თავის სიგრძე	41,2	41,0	41,5
შუბლის სიგრძე	21,3	21,8	21,9
შუბლის უდიდესი სიგანე	19,2	20,0	19,1

არსებული მონაცემების საფუძველზე განსაზღვრული იქნა მეგრული წითელი ჯიშის ცხოველთა საბონიტირო სტანდარტები, მათ შორის: ფურების ლაქტაციურ მონაწველსა და ნახირის ყველა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ცხოველთა ცოცხალ მასაზე მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც შეტანილი იქნა 1978 წელს დამტკიცებულ

ძროხის „სარმეო და სარმეო-სახორცე ჯიშების ბონიტირების ინსტრუქციაში“ [129].

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს 1981–85 წლებში, იმ დროს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტის ნ. ცინცაძის მიერ პროფესორ ნ. გოცირიძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით მეგრული წითელი ჯიშის სარმეო პროდუქტიულობის პოტენციური შესაძლებლობებისა და სხვა სამეურნეო-ბიოლოგიური თავისებურებების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევები [128, 130, 131].

სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტი ჩატარდა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ზემო აკეთის კოლმეურნეობის სანაშენე ფერმაში, ცხოველების ტრადიციული წესით, მომთაბარედ შენახვის პირობებში;

მიღებული ტექნოლოგიით, მაისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის ნახევრამდე, 150-155 დღის მანძილზე, პირუტყვი იმყოფებოდა ალპურ საძოვრებზე, ხოლო შემოდგომაზამთრის თვეებში ბარში, ძირითად სადგომში. ზაფხულის საძოვრებზე, სოფ. აკეთის ფერმიდან მაიაკოვსკის რაიონის (დღეს ბალდათის მუნიციპალიტეტის) სოფ. საირმეს მიმდებარე ტერიტორიამდე და პირუკუ პირუტყვი გადაჰყავდათ ავტოტრანსპორტით.

კვლევის დაწყებამდე შეჯერებული იქნა ფერმის ზოოტექნიკური და სანაშენე ჩანაწერების მონაცემები, რომელთა საფუძველზე, წყვილი-ანალოგების მეთოდით გადარჩეული იქნა ზრდასრული ფურების ორი ჯგუფი. მათგან, საკონტროლო I ჯგუფის ფურებს კვებავდნენ ფერმაში მიღებული, ე.წ. სამეურნეო ულუფებით, ხოლო II,

საცდელი ჯგუფის ანალოგები იმყოფებოდნენ გაუმჯობესებული კვების პირობებში.

ორივე ჯგუფის ცხოველთა ულუფაში შედიოდა უხეში, მწვანე (მ.შ. ალპური საძოვრების ბალახი), წვნიანი და კომბინირებული საკვები. ამასთან, მთაში ყოფნისას საკონტროლო ჯგუფის ფურები იკვებებოდნენ მხოლოდ საძოვრის ბალახით, მაშინ როდესაც მათ საცდელ ანალოგებს ყოველდღიურად დამატებით ეძლეოდა 1,5–2,0 კგ/1 სულზე კომბინირებული საკვები.

სულ ერთი წლის მანძილზე, საკონტროლო ჯგუფის ფურების ულუფის ყუათიანობამ შეადგინა 2448 კგ საკვები ერთეული/1 სულზე, ხოლო საცდელი ჯგუფის ანალოგების - 3326 კგ საკვები ერთეული, ანუ 878 კგ- ით მეტი. ეს ნიშნავს, რომ საცდელი ჯგუფის ფურები წლის მანძილზე საშუალოდ ყოველდღიურად იღებდნენ 2,32 საკვები ერთეულით მეტ საკვებს, ვიდრე საკონტროლო ანალოგები.

საკონტროლო წველის შედეგების შეჯერებით დადგენილია, რომ კვების პირობების გაუმჯობესებაზე მეგრული წითელი ჯიშის ფურები რეაგირებდნენ მონაწველის მკვეთრად გადიდებით; აღმოჩნდა, რომ, საცდელი ჯგუფის ფურების საშუალო ლაქტაციურმა მონაწველმა მიაღწია 2017 კგ- ს, მაშინ, როდესაც სამეურნეო დონით კვებისას ეს მაჩვენებელი იყო მხოლოდ 1828 კგ, ანუ 1189 კგ- ით (65%- ით) ნაკლები (ცხრილი 10).

მიღებული შედეგებიდან ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ მონაწველის ზრდასთან ერთად საცდელი ფურების რძეში 0,06 და 0,05%- ით შემცირდა ცხიმისა და ცილის საშუალო შემცველობა, შესაბამისად.

**ცხრილი 10. საცდელი და საკონტროლო ჯგუფის ფურცების
სარძეო პროდუქტიულობა [127]**

მაჩვენებლები	საკონტრო- ლო ჯგუფი	საცდელი ჯგუფი
ლაქტაციის ხანგრძლივობა, დღე	274,2	304,4
მონაწველი, კგ	lim.	1440-2499
	საშუალოდ	1828
რძის მშრალი ნივთიერება, %	13,60	13,52
მ.შ. - ცხიმის %	4,39	4,33
- ცილის %	3,76	3,71
წარმოებულია რძის ცხიმი, კგ	80,24	130,64
წარმოებულია რძის ცილა, %	68,7	111,9
100 მლ რძის კალორიულობა, კკ	317,6	314,8

მიუხედავად ამისა, ლაქტაციის მანძილზე წარმო-
ებული რძის ცხიმისა და ცილის რაოდენობით ისინი
აღემატებოდნენ საკონტროლო ანალოგებს 50,4 და 43,2 კგ-
ით, ანუ 62,8 და 62,9%- ით.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაუმჯობესე-
ბული კვების პირობებში 3 სული ფურის, ანუ ჯგუფში ცხო-
ველთა რაოდენობის 15%-ის ლაქტაციურმა მონაწველმა გა-
დააჭარბა 4000 კგ რძეს, ხოლო რეკორდული მონაწველით
გამოირჩეოდა ფური „თორია“ N0861, რომელმაც მე-4
ლაქტაციის 305 დღეში მოიწველა 4315 კგ რძე 4,26% ცხიმით.

ფურის სარძეო პროდუქტიულობაზე მნიშვნელოვან ინ-
ფორმაციას იძლევა ლაქტაციის თვეების მიხედვით მონაწვე-
ლის ცვალებადობის მასალები. საქმე ის არის, რომ, ლაქ-


ტაციის თვეების მიხედვით მონაწველის ცვალებადობა (ლაქტაციის მდგრადობა) არის ფურის კონსტიტუციურ სიმაგრის ერთ-ერთი მაჩვენებელი და, იმავდროულად, წარმოაჩენს კვებასა და მოვლა-შენახვაში დაშვებულ ხარვეზებს.

თვეების მიხედვით საშუალო დღიური მონაწველის დინამიკის დიაგრამა (ნახ. 1.) გვიჩვენებს, რომ ლაქტაციის მეორე თვეს საცდელი ჯგუფის ფურებში მონაწველი იზრდება 27,2 %- ით, მაშინ როდესაც მათი საკონტროლო ანალოგების მხოლოდ 5,3%- ით. ამასთან, მათი დღიური მონაწველი, დაწყებული მეორე თვიდან, გამოთანაბრებულად მცირდება, მაშინ როდესაც სამეურნეო პირობებში მყოფ საკონტროლო ანალოგებში მე-3 - მე-4 თვიდან; აქვე, ლაქტაციური მრუდის „ვარდნა“ აშკარაა მე- 6 თვიდან და შედარებით არათანაბრად; შესაბამისად, საცდელი ჯგუფის ფურების ლაქტაციის მდგრადობის კოეფიციენტი იყო 86%, ხოლო საკონტროლო ჯგუფის - 76% [128].

რძეში ცხიმისა და ცილის შემცველობის ცვალებადობა ლაქტაციის თვეების მიხედვით როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ჯგუფში, შეიძლება ითქვას, არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და ძროხის სხვა სარძეო და კომბინირებულ ჯიშებში დადგენილი სტანდარტის ფარგლებში იყო (ნახ. 2).

ამასთან, პრაქტიკულად ყოველ თვეს აშკარადაა გამოხატული საკონტროლო ჯგუფის ფურების რძეში ამ ნივთიერებების შემცველობის უფრო მაღალი დონე, საცდელ ანალოგებთან შედარებით, რაც აისახა საშუალო მაჩვენებლებშიც.


**ნახ. 1. ფურების საშუალო დღიური მონაწველის
დინამიკას ხვადასხვა დონით კვებისას**



ცნობილია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე გაწეული ხარჯების 60-75% მოდის საკვებზე. ამდენად, წარმოების ეკონომიკურობის შეფასების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყოველი 1 კგ რძის წარმოებაზე დახარჯული საკვების რაოდენობის დადგენა.

კვლევის ავტორს გაანგარიშებამ უჩვენა, რომ საკონტროლო ჯგუფის ფურებმა ყოველი 1 კგ რძის წარმოებაზე დახარჯეს 1,34 კგ საკვები ერთეულის შემცველი სხვადასხვა სახის საკვები, ხოლო საცდელებმა-1,10 კგ, ანუ 17,9 %- ით ნაკლები.

ნაბ. 2. ლაქტაციის თვეების მიხედვით რძეში ცხიმისა და ცილის შემცველობის დინამიკა



მეგრული წითელი ჯიშის ფურების სარძეო პრო-დუქტიულობის დახასიათებისას, პრაქტიკოსი სპეციალის-ტები მიუთითებდნენ ლაქტაციის შემოკლებულ პერიოდზე; ეს, ნებისმიერი ჯიშის მერძეული პირუტყვის მნიშვნელოვან ნაკლად ითვლება, ვინაიდან, ადრე გაშრობა საგრძნობლად ამცირებს ლაქტაციურ მონაწველს და, შესაბამისად ფურის მარგ მწარმოებლურობას.

ნ. ცინცაძის [128] კვლევის მონაცემებით, გაუმჯობესებულად კვებისას, მეგრული წითელი ფურების ლაქტაციის ხანგრძლივობა, ანუ წველა - დღეების რაოდენობა, სამეურნეო პირობებთან შედარებით, საშუალოდ გაიზარდა 30

დღით და მიაღწია ზოოტექნიკური თვალსაზრისით ოპტიმალურ სიდიდეს (304,4 დღე).

საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით ავტორმა დაასკვნა, რომ ფერმებში აღნიშნული შემოკლებული ლაქტაციის მიზეზი, ძირითადად, გამოწვეული არის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ფურების არასათანადო დონის კვებით, აგრეთვე ულუფაში წვნიანი საკვების არარსებობით.

ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ მეგრული წითელი ჯიშის ცალკეული ფურების პროდუქტიულობის საკმაოდ მაღალი გენეტიკური პოტენცია მაღალი კლასის კურო-მწარმოებლების გამოყვანისა და მათ გავრცელების, ან სპერმის დამზადების საშუალებას იძლეოდა. ბუნებრივია, რომ ასეთი სანაშენე მასალის გამოყენებით, ცხოველთა მოვლა-შენახვა-კვების პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ერთ-ორ თაობაში ჯიშის წლიური მონაწველის 2500-2800 კგ-მდე გაზრდა.

ნებისმიერი სახეობისა და ჯიშის პირუტყვის სამეურნეო ღირებულების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია სახორცე პროდუქტიულობა, რომლის ძირითადი მახასიათებლებია ზრდის სისწრაფე, სუქებისუნარიანობა, ერთეულ წონამატზე საკვების დანახარჯი, საკლავი პროდუქტიულობა და ხორცის ხარისხი.

სამეურნეო კვების პირობებში ამ ჯიშის მოზარდეულის ცოცხალი მასის ზრდის დინამიკის მონაცემები მოტანილია მე-11 ცხრილში.

ცხრილი 11. მეგრული წითელი ჯიშის მოზარდეულის ცოცხალი
მასის დინამიკა, კგ [92]

ასაკი, თვე	საფურე/დეკეული		სახარე/მოზვერი	
	Lim	საშუალოდ	Lim	საშუალოდ
დაბადებისას	8-23	15,2	8-28	15,9
3	30-65	39,7	24-55	38,5
6	47-75	59,8	55-85	67,4
9	69-95	87,4	77-120	97,5
12	79-126	98,5	-	135,0
18	95-209	155,7	135-193	173,0
24	140-300	211,9	275-335	305,0

დადგენილია, რომ დაბადებიდან 24 თვის ასაკამდე მოზვრების საშუალო დღელამურმა ნამატმა შეადგინა 300 გ, ხოლო დეკეულებისა 270 გ. კვლევის ავტორი აღნიშნავს, რომ ცოცხალი მასის ზრდის მაჩვენებლები, დედის მერძეულობიდან, აგრეთვე ხბოს მოგების სეზონიდან გამომდინარე (რაც ასევე დაკავშირებულია კვების პირობებთან) ძლიერ იცვლებოდა; უფრო მეტიც, ზოგიერთ ფერმაში, გაზაფხულზე დაბადებული მოზარდეულის ცოცხალი მასა ზამთარში მეტად მწირი კვების, ზოგჯერ კი შიმშილის გამოიკლებდა 10-30%-ით.

ამ ჯიშის ზრდის საკმაოდ მაღალ პოტენციურ შესაძლებლობაზე მეტყველებს გასული საუკუნის 70-იან წლებში იალაღობიდან დაბრუნებული მოზვრების სახორცე პროდუქტიულობის შესწავლის შედეგები. დადგენილია [92] რომ ისინი ხასიათდებოდნენ ზრდის საკმაოდ მაღალი

პოტენციური შესაძლებლობით და დამაკმაყოფილებელი საკლავი პროდუქტიულობით; აღმოჩნდა, რომ სუქების 60 დღის მანძილზე მათი ცოცხალი მასის დღელამური ნამატი აღემატებოდა 740 გ-ს, რის შედეგად 18 თვის ასაკში საშუალო ცოცხალმა მასამ მიაღწია 290 კგ- ს, ხოლო საკლავმა გამოსავალმა შეადგინა 52%.

მეგრული წითელი ჯიშის საკლავ პროდუქტიულობასა და ტანხორცის მორფოლოგიურ შედგენილობაზე სუქების გავლენის შესწავლით დადგენილია რომ იზრდება არა მარტო ცხოველის ცოცხალი მასა, არამედ საგრძნობლად უმჯობესდება მისი ტანხორცისა და შიდა ქონის მასა და გამოსავალი; ამასთან, გასუქებული ცხოველების ტანხორცი შეიცავდა 3,29%- ით მეტ რბილობს (ჭამად ნაწილს) და 3,43%- ით ნაკლებ ძვალსა და მყესებს.

ხორცის ხარისხზე საუბრისას კვლევის ავტორი აღნიშნავს, რომ სუქებამდე საკვლევი ცხოველების „...ხორცი უფრო მაგარი და მნელად დასაღეჭი იყო“... ხოლო სუქების შემდეგ „...საკმაოდ ნაზი გახდა და საუკეთესო კულინარული თვისებებით ხასიათებოდა“.

ნ. ცინცაძემ [132] სამეცნიერო საწარმოო ექსპერიმენტის ჩასატარებლად, საშუალოდ 87,9 კგ ცოცხალი მასის სახარები დაჰყო ორ, საკონტროლო და საცდელ ჯგუფად და 18 თვის ასაკამდე სხვადასხვა დონით კვების პირობებში შეისწავლა მათი ზრდა - განვითარების მაჩვენებლები. დადგენილია, რომ: ინტენსიურად კვებისას მოზარდეული ავლენდა ზრდის საკმაოდ მაღალ ენერგიას და 18 თვის ასაკში მისი ცოცხალი მასა საშუალოდ აღწევდა 301,2 კგ-ს (სადდლელამისო წონამატი 707 გ); თავის მხრივ, მეორე,

სამეურნეო პირობებში გამოზრდილი საკონტროლო ჯგუფის ანალოგების საშუალო დღედამურმა ნამატმა შეადგინა მხოლოდ 413 გ და სუქების ბოლოს მათი ცოცხალი მასა იყო 233,3 კგ, ანუ 67,9 კგ-ით (29,1%-ით) ნაკლები (ცხრილი 12).

ცხრილი 12. მოზვრების ცოცხალი მასა, საკონტროლო დაკვლის შედეგები და ხორცის ქიმიური შედეგებილობა

მაჩვენებლები		სამეურნეო დონით კვება	ინტენსიური კვება
ცოცხალი მასა, კგ:	- 12 თვის ასაკში	169,5	174,0
	- სუქების ბოლოს	233,3	301,2
	- დაკვლის წინ	225,7	289,2
ტანხორცის მასა, კგ		99,2	144,4
შიდა ქონის მასა, კგ		2,9	9,0
ნაკლავის გამოსავალი, %		45,2	53,0
ხორცის ქიმიური შედეგებილობა, გ/ 100 გ-ში	წყალი	73,7	71,0
	ცილა	20,9	20,0
	ცხიმი	4,5	8,1
	ნაცარი	0,9	0,9
კალორიულობა, კჯ/100 გ		533,8	658,0

საკონტროლო დაკვლით დადგენილია, რომ ინტენსიური კვების პირობებში გამოზრდილი მოზვრების ტანხორცის მასა 63,5 კგ-ით, ანუ 28,1%-ით, ნაკლავის გამოსავალი 7,8%-ით და ხორცის ენერგეტიკული ღირებულება (124,2 კჯოული/100 გ) მეტი იყო, ვიდრე სამეურნეო დონის ულუფებით გასუქებული თანატოლების.

ცხრილი 13-ის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საცდელი ჯგუფის მოზვრების უპირატესობა ასევე აღინიშნა, ხორცში ჭამადი ნაწილის (რბილობის) ხვედრითი წილით (8,6%). რაც

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

შეეხება ხორცის ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებსა და ბიოლოგიური სრულფასოვნებას, ეს მაჩვენებლებიც ინტენსიურად გასუქებული მოზვრებში უკეთესი იყო;

ცხრილი 13. მეგრული წითელი ჯიშის
მოზვრების ტანხორცის მორფოლოგიური
შედგენილობა 18 თვის ასაკში დაკვლისას (%)

მაჩვენებლები	კვების დონე	
	სამეურნეო	ინტენსიური
რბილობი	72,43	75,72
ძვალი	22,43	19,86
მყესები	4,80	3,94
დანაკარგი დარბილებისას	0,33	0,48

კერძოდ,
დადგენილია,
რომ საცდელი
ჯგუფის ცხო-
ველთა ზურგის
უგრძეს კუნთში
შეუცვლადი
ამინომჟავა ტრი-
პტოფანის რა-
ოდენობა 8,44
მგ%- ით მეტი,
ხოლო შეცვლა-

დი ამინომჟავა ოქსიპროლინის 5,04 მგ%- ით ნაკლები იყო,
ვიდრე საკონტროლო ჯგუფში. შესაბამისად, ცილის ხარის-
ხის მაჩვენებლით უპირატესობა ჰქონდათ ინტენსიური
ულუფებით გასუქებულ მოზვრებს.

ინტენსიურად კვება მომგებიანი გამოდგა ეკონომი-
კურადაც, ვინაიდან სამეურნეო დონით კვებასთან შედა-
რებით, ცოცხალი მასის ყოველ 1 კგ ნამატზე დაიხარჯა
13,3%- ით ნაკლები საკვები [132], ამან კი განაპირობა ხორცის
წარმოების თითქმის ორჯერ უფრო მაღალი რენტაბელობა,
რომელმაც შეადგინა 40,9%.

ცნობილია, რომ მეგრული წითელი ჯიშის ძროხის
გამოყვანის საწყის ეტაპზე სასელექციო მუშაობის ერთ-ერთი
ძირითადი მიმართულება იყო დიდტანიანი, გამძლე და
164

მუშაობის კარგი უნარის მქონე ცხოველების მიღება. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მიღწეული, რაც დადასტურდა რ. კოპალიანის გამოკვლევებით [ციტ. 92-ის მიხედვით].

ექსპერიმენტებში დადგენილია, რომ მეგრული წითელი ჯიშის ხარების გამწევუნარიანობა მათი ცოცხალი მასის 57%- ს შეადგენდა, მაშინ როდესაც შვიცური ჯიშის- 46%- ს, ხოლო ადგილობრივი გაუმჯობესებულების მხოლოდ 30%- ს.

საგულისხმოა, რომ იმერეთის მხარის სამხრეთ მთიანეთში, კერძოდ ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტებში მეგრული წითელი ჯიშის ხარები დღესაც წარმატებით გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვ. სამუშაოების შესასრულებლად (სურ. 35 და 40).

„მეცხოველეობაში სანაშენე საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“ 1978 წლის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანება „საქცხოველმრეწვის“ დაკვეთით საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების მიერ შედგენილი იქნა „საქართველოს სსრ მეცხოველეობის სანაშენო - სასელექციო მუშაობის 1980–1990 წ.წ. პერსპექტიული გეგმა“ [133], რომელშიც დეტალურად გაიწერა იმ პერიოდისათვის ქვეყანაში მოშენებული ყველა სახეობისა და ჯიშის სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების სანაშენე და პროდუქტიული თვისებების გაუმჯობესების სამეურნეო-ორგანიზაციული და სასელექციო ღონისძიებები.



სურ. 35. უღელში შებმული მეგრული
წითელი ჯიშის მუშა ხარები
(ბალდათის მუნიციპალიტეტი, სოფ.
საკრაულა; ანა ქობალიას ფოტო)

ეს პერიოდი
დაემთხვა ქვეყანაში
მეცხოველეობის სამ-
რეწველო ფერმებისა
და კომპლექსების მშე-
ნებლობის გააქტიურე-
ბას და მათ დასაკომ-
პლექტებლად ყოფილი
სსრკ რესპუბლიკუ-
ბიდან ე.წ. „ჯიშიანი
პირუტყვის“ მასობრი-
ვად შემოყვანას;

სოფლის მეურ-
ნეობის სამინისტროს
გაერთიანება „საქცხო-
ველმრეწვის“ მონაცე-
მებით 1976-1987
წლებში ქვეყნის საზო-
გადოებრივი მეურნე-
ობების რძის მწარმო-
ებელ ფერმებში სულ
შემოყვანილი იქნა
ოცამდე სხვადასხვა
ჯიშის 180 ათას სულზე
მეტი სანაშენე

მოზარდეული, ძირითადად დეკეულები. ეს დაახლოებით
იმდენია, რამდენი სული ფურიც ირიცხებოდა იმ
პერიოდისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში (1981-88

წლებში 188,1-190,6 ათასი სული) [88]. ამან, თავის მხრივ, ბუნებრივია, საგრძნობლად შეამცირა ძროხის ადგილობრივი გენოფონდის, მათ შორის მეგრული წითელი ჯიშის ცხოველთა რაოდენობა და ხვედრითი წილი საერთო სულადობაში.

სანაშენე მუშაობის გეგმის შედგენისას, ავტორებმა, რმის წარმოების მკვეთრად გადიდების მოტივით ძირითადი აქცენტი გააკეთეს ე.წ. „ჯიშიან“ პირუტყვთან სანაშენე მუშაობის გააქტიურებაზე, მათი რაოდენობის ზრდაზე, მათ შორის ადგილობრივი, მეგრული წითელი და ქართული მთის ჯიშებთან შთანთქმითი შეჯვარებით. ამან, თავისი ასახვა ჰპოვა ზემოთ აღნიშნულ პერსპექტიულ გეგმაშიც, რომლის მიხედვით 1990 წლისათვის მეგრული წითელი ჯიშისა და ქართული მთის ძროხის სულადობა უნდა შემცირებულიყო.

ასე, მაგალითად, მე-14 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ 1980 წელს ქვეყნის ყველა კატეგორიის მეურნეობაში აღრიცხული იყო 26,0 ათასი სული მეგრული წითელი ჯიშის ძროხა, ხოლო 1990 წლისთვის დაგეგმილი იყო მისი რაოდენობის შემცირება 5,9 ათასი სულით, ანუ 22,7%- ით. გაცილებით მძიმე სურათი იკვეთება ქართული მთის ძროხის შემთხვევაში, რომლის სულადობა 1990 წლისათვის გეგმით უნდა შემცირებულიყო 22,1 ათასით, ანუ 40,1%- ით [132].

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ სანაშენე მუშაობის პერსპექტიულ გეგმაში გარკვეული დოზით აისახა მეგრული წითელ ჯიშის გაუმჯობესების ღონისძიებები: დაკონკრეტდა ცხოველთა გადარჩევისა და სანაშენე

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

ღირსების განსაზღვრის, მათ შორის კურო-მწარმოებლების მონაშენის ხარისხით შეფასების მეთოდები, კურო-მწარმოებლებსა და მომავალი კუროს დედებზე მინიმალური მოთხოვნები და სხვ.

ცხრილი 14. მეგრული წითელი და ქართული მთის ძროხის სულადობის დინამიკა ყველა კატეგორიის მეურნეობებში (1980-1990 წ.წ სანაშენე მუშაობის გეგმის მიხედვით)

მაჩვენებლები		წლები		
		1974	1980	1990
მეგრული წითელი	ფაქტიური			გეგმიური
	- მ.შ. ფური, ათ. სული	8,8	7,8	9,4
ქართული მთის	რაოდენობა, ათ. სული	55,6	58,5	33,5
	- მ.შ. ფური, ათ. სული	24,3	17,6	12,0

იმავდროულად გათვალისწინებული იყო ნახირის სტრუქტურაში ფურების სულადობის 1,6 ათასით, ხოლო მათი ლაქტაციური მონაწველის 1340 კგ- მდე, (170 კგ- ით, ანუ 14,5%-ით) ზრდა.

სანაშენე მუშაობის პერსპექტიული გეგმის ავტორების მოსაზრებით, ამის მისაღწევად, სხვა სასელექციო-სანაშენე ღონისძიებებთან ერთად 1990 წლამდე პერიოდში ეტაპობრივად უნდა გამოეცადათ ამ ჯიშის 38 სული კურაკი საიდანაც სპერმის ბანკის შესაქმნელად გადაირჩეოდა 3 სული გამაუმჯობესებელი კურო-მწარმოებელი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ცხოველთა გენეტიკისა და მომშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ВНИИГРЖ, ლენინგრადის ოლქი, ქ. პუშკინი) მიერ დამუშავებული საერთო საკავშირო პროგრამის „დირებული ლოკალური ჯიშების გენოფონდის შექმნისა და შენარჩუნების გზები და ფორმები“ [134], განხორციელება საქართველოში დაევალა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ენდემური და აბორიგენული ჯიშების განყოფილებას (გამგე პ. მჭედლიშვილი). პროგრამით გათვალისწინებულ სხვა სამუშაოებთან ერთად, ამ განყოფილების მეცნიერთანამშრომლებმა ლანჩხუთის რაიონის სოფ. ზემო აკეთის კოლმეურნეობის სანაშენე ფერმაში დაამზადეს მეგრული წითელი ჯიშის კურო-მწარმოებლების სპერმა [135] და ეს მნიშვნელოვანი სანაშენე მასალა ღრმად გაყინული სახით გაიგზავნა დანიშნულებისამებრ. დღეს არსებული ინფორმაციით, სპერმა ინახება ამ ინსტიტუტის (დღეს სრულიად რუსეთის) სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საგნოფონდო ჯიშების ბიორესურსების კოლექციის განყოფილების სპერმის ბანკში.

1985 წლისთვის მეგრული წითელი ჯიშის არსებულ სანაშენე ფერმებს დაემატა კიდევ ერთი, მაიაკოვსკის რაიონის სოფ. სოფ. ხანის კოლმეურნეობის ფერმა, 394 სული სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ცხოველის საერთო რაოდენობით.

პერსპექტიული გეგმით განსაზღვრული პირველი ეტაპის სამუშაოები წარმატებით იქნა განხორციელებული მეგრული წითელი ჯიშის სანაშენე ფერმებში. ცხრილი 15-ის

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

მონაცემებიდან ჩანს, რომ სულადობა გაიზარდა და შეადგინა 2,2 ათასზე მეტი, მათ შორის 542 ფური; ამასთან, პრაქტიკულად ყველა სანაშენე ფერმაში ფურების საშუალო ლაქტაციური მონაწველი გაიზარდა და მიაღწია 1490 კგ რძეს, ხოლო წლის დასაწყისისთვის არსებული ფურებიდან ნამატის გამოსავალმა შეადგინა 81%.

ცხრილი 15. მეგრული წითელი ჯიშის სანაშენე ფერმების 1985 წლის სამეურნეო მაჩვენებლები

კოლმეურნეობის სანაშენე ფერმა	ცხოველთა რაოდე- ნობა, სული		მიღებულია ნამატი		ფურების საშუალო მონაწველი, კგ
	სულ	მ.შ. ფური	სული	%	
ზემო აკეთის	481	122	90	74	1873
ვ. მაიაკოვესკის	731	155	141	91	1611
სალხინოს	152	70	56	80	1120
კურზუს	446	122	74	74	1265
ხანის	394	95	78	82	1310
სულ, საშუალოდ	2203	542	439	81	1490

90- იანი წლების დასაწყისიდან, ადგილობრივი გენოფონდის შენარჩუნების პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირებამ და სამოქალაქო ომმა, ხოლო საზოგადოებრივი მეურნეობების უძრავ-მოძრავი ქონების, მათ შორის სანაშენე მეურნეობების ცხოველების პრივატიზაციის შემდეგ მათ სულადობასა და სანაშენე და პროდუქტიულ ხარისხზე რაიმე ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი გახდა.

1996 წლის 5 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“, რომელიც არსებული რეალიებიდან გამომდინარე არეგულირებდა სასოფლო-სამეურნეო მეცხოველეობაში სანაშენე სამსახურის სტრუქტურების მუშაობის ფორმებსა და მიმართულებებს; ამ პერიოდისთვის ფუნქციონირება განაახლა ძროხის მეგრული წითელი ჯიშის ჯიშთსაშენმა (ხელმძღვანელი ჯ. ფიფა), რომელმაც შესძლო მიმდებარე რაიონების კერძო ფერმერულ მეურნეობების მობილიზება და შეუდგა სულადობის აღრიცხვიანობის მოწესრიგებას, აგრეთვე მაღალი კლასის ხალასჯიშიანი ცხოველების გავრცელებას [136].

მიუხედავად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა 1996-1997 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების სექტორმა (შემდგომში ინსტიტუტი) შესძლო ქვეყნის რამოდენიმე რაიონში მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვის გამოსაკვლევად ექსპედიციის დაფინანსება, რა დროსაც შესწავლილი იქნა არსებული მდგომარეობა. დადგენილი იქნა, რომ დასავლეთ საქართველოს 5, ლანჩხუთის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის და სენაკის რაიონებში ამ ჯიშის ცხოველთა საერთო რაოდენობა იყო 4,5 ათასი სული, მათ შორის 1,7 ათასი ფური [121].


ცნობილია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის ბრძანებით გაუქმდა მეცხოველეობაში სანაშენე საქმის დეპარტამენტი და მისი ქვემდებარე ყველა სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის სანაშენე საქმისა და ხელოვნური დათესვლის რაიონული სადგურები; ამ პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ „სანაშენე

მეცხოველეობის „შესახებ“ კანონის ძალადაკარგულად გამოაცხადებამდე (2010 წ.), სანაშენე სამსახური ნომინალური სახით წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველოში.

2006 წლის 29 ოქტომბერს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მეცხოველეობის გამოფენა-კონკურსი, რომელზეც წარმოდგენილი იყო შემოყვანილი ჰოლშტინური და შვიცური, აგრეთვე მეტნაკლებად ხალასი სახით შემორჩენილი კავკასიური წაბლა, ქართული მთისა და მეგრული წითელი ჯიშები, სულ 100 სულზე მეტი ცხოველი.

მეგრული წითელი ჯიშის 20 სულზე მეტი ფური, კურო-მწარმოებელი და მოზარდეული წარმოდგენილი იყო ხობის, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა და სენაკის რაიონებიდან (სურ. 36). კონკურსის ჟიურის უცხოელმა (უ.ვისნერი, გერმანია და პ. ბოსვარდი, შვეიცარია) და ქართველმა (გ.გოგოლი, ლ.თორთლაძე, თ.ყურაშვილი) ექსპერტებმა გამოავლინეს საუკეთესო ცხოველები და გამარჯვებული ფერმერები: ჯონი ფიფია, ვახტანგ დავითაია და გოგი ჩიქოვანი, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გასული საუკუნის 90- ნი წლებში საზოგადოებრივი ქონების, მათ შორის სანაშენე მეურნეობების სულადობის პირივატაციამ, აგრეთვე კერძო ფერმერების მიერ ზოოტექნიკური და სანაშენე აღრიცხვიანობის იგნორირებამ,



სურ. 36. დამოუკიდებელი საქართველოში მეცხოველეობის პირველ
გამოფენა-კონკურსზე მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვა
საყოველთაო მოწოდება დამსახურა (თბილისი, ეთნოგრაფიული
მუზეუმი, 29.10.2006 წ. გ.გოგოლის ფოტო)

უარყოფითად გავლენა იქონია მეცხოველეობის ყველა დარგის მდგომარეობასა და განვითარებაზე; თავის მხრივ, უსისტემოდ მოშენების პირობებში შეიქმნა ენდემური და აბორიგენული ჯიშების დაკარგვის საშიშროება. ამ მხრივ ცალკე აღნიშვნის საგანია ქვემო აკეთის სანაშენე ფერმაში მეგრული წითელის ჯიშის საუკეთესო ნაწილის სულადობა, რომელიც 1992-93 წ.წ. ჩატარებული პრივატიზაციის შემდეგ, ახალმა მეპატრონებმა, სასელექციო პროგრამის გარეშე მოშენებისა და „მაღალპროდუქტიული ჯიშებთან“ შეჯვა-რებით დაიკარგა.

სასოფლო სამეურნეო მეცხოველეობაში მდგომარე-ობის გამოსწორებისკენ, მათ შორის ადგილობრივი გენო-ფონდის დაცვა-აღდგენისა და გაუმჯობესების მიმართულე-ბით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2014 წელს, როდესაც საქართველოს მთავრობის 13 თებერვლის N162 დადგენილებით აგრარულ სექტორში სამეცნიერო-კვლე-ვითი საქმიანობის აღდგენის მიზნით, საქართველოს სოფ-ლის მეურნეობის სამინისტროში ჩამოყალიბდა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ქვეყანაში აგრარული მიმართულების ამ ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულების მრავალპროფილიანი კვლე-ვების პროგრამა მოიცავს მემცნარეობის, მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების, ნიადაგის ნაყოფიერების, ბიო-აგროწარმოების, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის, რისკის შეფასების, ეკონომიკური ანალიზისა და სხვა მიმართულებებს; მათ შორისაა საქართველოში გავრცელე-ბული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების და სასარგებლო მწერების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება,


მათი დაცვა-აღდგენისა და გაუმჯობესების რეკომენდა-ციების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

მეგრული წითელი ჯიშის არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით 2018–19 წლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული ექსპედიციური გამოკვლევებისას, სამეგრელოს შვიდივე, აგრეთვე იმერეთის ვანისა და ბაღდათის მუნი-ციპალიტეტებში ადგილობრივ საინფორმაციო-საკონსულ-ტაციო სამსახურებთან თანამშრომლობით მოძიებული იქნა მეგრული წითელი ჯიშის მომშენებელი ფერმერული მეურნეობები და დადგინდა მათში ცხოველთა სულადობა. აღმოჩნდა, რომ მეგრული წითელი ჯიშის ცხოველების რაოდენობა წლიდან - წლამდე სულ უფრო მცირდება. ასე, მაგალითად, ბოლო 1980-დან 1998 წლამდე პერიოდში, ქვეყნის ყველა კატეგორიის მეურნეობაში მეგრული წითელი ჯიშის ცხოველთა საერთო რაოდენობა შემცირდა 4- ჯერ, ხოლო ფურების რაოდენობა 3,5 ჯერ. სამწუხაროდ, ეს პროცესი მიმდინარე ათასწლეულშიც გაგრძელდა და 2019 წლისათვის ამ ჯიშზე პირობითად მიკუთვნებული ყველა სქესობრივ-ასაკობრივი ცხოველის სულადობამ შეადგინა მხოლოდ 3,2 ათასი სული, მათ შორის ფურია 1,9 ათასი სული (ნახ. 3);

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დაკარგვის საშიშ-როება რეალურია. საქმე ის არის, რომ მეცნიერების მიერ დადგენილია ამა თუ იმ სახეობაში, ჯიშსა, თუ პოპულაციაში ცხოველთა ის ზღვრული მინიმალური რაოდენობა, რომ-ლის ქვემოთ არსებობს მათი გაქრობის საშიშროება. გასული

საუკუნის შუა წლებში ამის პირველი მცდელობა ეკუთვნის ნ. კისლოვსკის; მან დაადგინა, რომ ძროხის ჯიშის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია სადედე პირუტყვის რაოდენობა არ იყოს 4500-ზე ნაკლები.

**ნახ. 3. მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვის სულადობის
დინამიკა ყველა კატეგორიის მეურნეობებში***



* შენიშვნა: 1975-1990 წ.წ. ჯიშანი პირუტყვის აღწერის მონაცემები,
1998 და 2019 წ.წ. კუსკედიციური გამოკვლუვების შედეგები

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ირგვლივ ბოლო წლების ოფიციალური დოკუმენტებსა და მეცნიერთა მოსაზრებებში გამოიკვეთა საკმაოდ განსხვავებული მიდგომები. ასე, მაგალითად:

ევროსაბჭოს რეგლამენტი - Commission Regulation (EC) № 817/2004, [ციტ. 137-ის მიხედვით], ხაზგასმულია, რომ დაკარგვის საფრთხე ემუქრება მსხვილფეხა პირუტყვის იმ ჯიშებს, რომელთა სულადობა 7500-ზე ნაკლებია.

თავის დროზე, სურსათისა და აგრარულ საკითხთა მსოფლიო ორგანიზაცია (FAO) გვთავაზობდა დაკარგული და გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების ასეთ კლასიფიკაციას:

- გამქრალ ჯგუფს მიეკუთვნება ჯიში, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ვინაიდან ბუნებაში არ არის ამ ჯიშის ცოცხალი ცხოველები, ან კიდევ მათი სპერმა, ოოციტი და/ან ემბრიონი;
- კრიტიკულ ჯგუფში შედის ის აბორიგენული/ ენდემური ჯიშები, რომლებშიც მწარმოებლების რაოდენობა 5-ზე, ხოლო მდედრების 100-ზე ნაკლებია;
- საფრთხის წინაშე მყოფ ჯგუფს მიეკუთვნება ის ჯიში რომელშიც მწარმოებლების რაოდენობა 6-დან 20- ის, ხოლო მდედრების 100-1000-მდე, ცხოველამდე.
- შენარჩუნებად ჯგუფს მიეკუთვნება ის ჯიში, რომელშიც მწარმოებლების რაოდენობა 20- ზე მეტი, ხოლო სადედე სულადობის 5000-10000 სულის ფარგლებშია და
- ნორმალურ ჯგუფში გაერთიანებულია ის ჯიშები რომლებშიც მდედრების რაოდენობა აღემატება 10000 სულს, აგრეთვე ახასიათებთ რაოდენობის ზრდის ტენდენცია და სულადობის 100% ხალასჯიშიანია.

ბოლო მონაცემებით კი, გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ, აღწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სასელექციო პროცესის

გენეტიკური ანალიზისა და მართვის ახალი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს მაჩვენებელი შესწორდა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში შეადგენს 1000 სულ სადედე კონტიგენტს და არა ნაკლებ 30 სულ მწარმოებელს [137, 138].

2019 წლის 26 ოქტომერს, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“, Land O’Lakes Venture37 ფარგლებში, ქ. თბილისში მოეწყო გამოფენა, „მესაქონლეობის ექსპო 2019“; იმპორტირებულ ჰოლშტინურ და შვიცურ ჯიშებთან ერთად, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მეგრული წითელი ჯიშის სამი ფური, რომელთან, ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს მიერ დაწესებული პრიზები, ნომინაციაში „ადგილობრივი ჯიშის საუკეთესო ცხოველი“, დაიმსახურეს ფერმერების შოთა ჯიქიას, დარეჯან გოცირიძის და ბადრი აბშილავას მიერ გამოფენილმა ფურებმა (სურ. 3 და სურ. 37).

დღეისათვის, მეგრული წითელი ჯიშის დაკარგვის საშიშროება რეალურია და არა მარტო და ცხოველებზეზოოტექნიკური და სანაშენე ჩანაწერების არარსებობის გამო. საქმე ის არის, რომ:

1. სანაშენე სამსახურების და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების არარსებობის, აგრეთვე ფერმერულ მეურნეობებში ზოოტექნიკური და სანაშენო აღრიცხვის მოშლის გამო შეუძლებელია საერთო სულადობაში ხალასჯიშიანი ცხოველების რაოდენობის დადგენა, აგრეთვე მათი დაცვა-აღდგენა-

2.



სურ. 37. აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ფარგლებში მოწყობილგამოფენაზე ბიომეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს ხელმძღვანელებმა ფასიანი საჩუქრებით და ცხოველთა მოვლა-შენახვის საშუალებებით დააჯილდოვეს მეგრული წითელი ჯიშის მომშენებელი ფერმერები შოთა ჯიქა და დარუჯან გოცირიძე

გაუმჯობესებისა და სამეურნეო გამოყენების პროგრამის განხორციელება;

3. ფერმერულ მეურნეობებში ცხოველთა მოშენება მიმდინარეობს უსისტემოდ, ხშირია გაურკვეველი წარმოშობის მწარმოებლების გამოყენების, აგრეთვე ნათესაური შეწყვილების შემთხვევები, რაც, ასევე, არ იძლევა სტაბილიზაციისკენ მიმათული საქმიანობის მართვის შესაძლებლობას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მდგომარეობით მეგრულ ჯიშზე (პირობითად) მიკუთვნებული პირუტყვი რაოდენობით, შეიძლება ითქვას, რამდენადმე აღემატება კრიტიკულს, მაგრამ პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ბუნებაში არ არსებობს ამ ცხოველების ჯიშიანობის დამატებიცებელი, აგრეთვე მათი პროდუქტიულობისა და ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლის მონაცემები; აღნიშნულის გამო კი ნებისმიერი ცხოველის ამა თუ იმ ჯიშზე მიკუთვნებასთან დაკავშირებით საუბარი უადგილოა.

თანამედროვე მეგრული წითელი ჯიშის ძროხა

ქართული მთის ძროხის დანარჩენ პოპულაციებთან შედარებით მეგრული წითელი ჯიშის ცხოველები უფრო დიდტანიანები არიან. მთაბარობის მკაცრ პირობებში მოშენებამ, აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევაში, გამოყვანის პროცესში ბუნებრივი გადარჩევის ელემენტების ჩართვამ და „სასურველი ტიპის“ ინდივიდების მრავალწლიანმა მიზან-მიმართულმა მოშენებამ ხელი შეუწყო მაგარი კონსტი-

ტუციის ორგანიზმის ჩამოყალიბებას, ჯანმრთელობის გაკაუებას და ცხოველთა ადაპტაციის დიაპაზონის გაფართოებას.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ცხოველები გამოირჩევიან მკვირცხლი ტემპერამენტით, მოძრავი და ენერგიულები არიან, ხასიათდებიან ადაპტაციის ფართო დიაპაზონით, ადვილად იტანენ შორ მანძილებზე გადარეკვას და კვებაში წყვეტილობას. აღსანიშნავია, აგრეთვე, ამ ჯიშის ცხოველების ზოგიერთი, მათ შორის პიროპლაზმიდოზებისა და სხვა პარაზიტული დაავადებებისადმი მაღალი რეზისტრაცია.

ჯიში ხასიათდება საკმაოდ ერთგვაროვანი, თავისებური ექსტერიერულ-კონსტიტუციური ტიპით: ექსტერიერით, ზოგადად, ცხოველები უფრო კომბინირებული პროდუქტიული მიმართულებისანი არიან, მაგრამ საკმაო რაოდენობით გვხვდება სარძეო ჯიშებისთვის დამახასიათებელი, რამდენადმე ნაზი-მკვრივი კონსტიტუციური ტიპის ინდივიდები (სურ.38);

ცხოველებს სხეული პროპორციული აგებულების, საშუალო სიმაღლისა და რამდენადმე წაგრძელებული ფორმის აქვთ. თავი პატარა, პროფილი სწორი, შუბლი საშუალო სიფართის, თვალები ცოცხალი-ამობურცული ორბიტებით, კისერი წვრილი და დანაოჭებული, ტანთან მისი შეერთების ადგილი მკვეთრად არის გამოსახული, ღაბაბი კი პატარა ან საშუალო ზომისაა. ცხოველებისთვის დამახასიათებელია ოდნავ შემაღლებული მინდაო, ზურგისა და წელის ხაზი სწორი, ან უმნიშვნელოდ ჩაზნექილი და საშუალო სიფართის, მკერდი საკმაოდ ღრმა და განიერი, ბეჭებს უკან ნაშარტის გარეშე, ნეკნები მცირედ დახრილი,

მუცელი სხეულის პროპორციული და საშუალო სიდიდის, ფერდი დიდი და ღრმა, სხეულის უკანა მესამედი კარგად განვითარებული, მკვეთრად გამოხატული კუკუხოები, გავა საშუალო სიგრძის, ფართო და მცირედ დაქანებული, იშვიათად სახურავისებური და წაწვეტებული, ძვლოვანი სისტემა წვრილი და მაგარი, კიდურები საშუალოზე მაღალი და სწორმდგომი, კუდი გრძელი და წვრილი, კანი თხელი და ელასტიური.



სურ. 38. მეგრული წითელი ჯიშის მერძეული ექსტერიერული ტიპის ფურები (ზაღდათის მუნიციპალიტეტი, 2015 წ. ც. ქილიფთარის ფოტო)

მოზარდეულში სქესობრივი დიმორფიზმის მეორადი ნიშნები ჩამოყალიბებას იწყებს 6-7 თვის ასაკიდან და გამოიხატება როგორც სხეულის ზომებში, ასევე მეორად სასქესო ნიშან-თვისებებში: კურო-მწარმოებლები, ფურების-გან განსხვავდებიან უფრო მასიური თავითა და რქებით, მოკლე და სქელი კისერით, ღრმა და განიერი მკერდით, შედარებით სუსტად განვითარებული სხეულის უკანა მესამედით. ამასთან ერთად, როგორც წესი, მეგრული წითელი ჯიშის კურო-მწარმოებლებისათვის დამახასიათებელია უფრო მუქი-წითელი შეფერილობა.

ფურებს ცური საშუალო ზომის, სხეულზე მკვიდრად მიმაგრებული და მეტწილად აზიდული აქვთ. ცურის მეოთხედები, ძირითადად, თანაბრად განვითარებულა: ფურების 47%-ს ჯამისებრი, 43%-ს მომრგვალებული, ხოლო 10%-ის თხისებური ფორმის ცური აქვთ. კერტები, როგორც წესი, ცილინდრული ფორმის, საშუალო სიგრძისა და დიამეტრისაა. ცურზე თმოვანი საბურველი სხეულთან შედარებით უფრო ღია ფერის, მოკლე, ნაზი და იშვიათია. მეწველ ფურებს, როგორც წესი, სარძეო ვენა და ჭა სუსტად აქვთ გამოხატული.

ცხოველებში კარგად არის გამოხატული ბალნის საფარის სეზონური ცვალებადობა: ზაფხულის საფარი მოკლე, იშვიათი და კანზე მჭიდროდაა გადაკრული, ხოლო ზამთრის - გრძელი, დიდი რაოდენობით შეიცავს თივთიკს და საკმაოდ ხშირია.

ამ ჯიშის პირუტყვის ფერი ცვალებადობს აგურის-ფერ-წითელიდან (წითურიდან) მუქ-შინდისფერ-წითლამდე, ხოლო დრუნჩი, ქუთუთოები და მთლიანად კანი მოვარდის-ფრო აქვთ. ამასთან, როგორც წესი, თვალის ირგვლივ და კიდურების შიგნითა მხარეზე ბალანი, აგრეთვე კუდის ფუნჯი უფრო ღია ფერისაა, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილებზე. ეს, განსაკუთრებულად კარგად სჩანს მუქი წითელი ფერის ინდივიდებში. ამასთან ერთად, მხოლოდ ერთეულ ცხოველს აქვს მცირე ზომის თეთრი ნიშნები ცურისა და სასინჯის მიდამოში, უფრო იშვიათად კი შუბლზე (ნიშა, ან ნიკორი).

დასავლეთ ევროპული წარმოშობის სარძეო პროდუქტიული მიმართულების ძროხის წითელი ჯიშებისგან

განსხვავებით მეგრულ წითელ ჯიშს რქები თაფლის სანთლისფრად (ქარვისფერად) აქვთ პიგმენტირებული; რქის ბოლოები, ისევე როგორც ჩლიქები უფრო მუქი ფერის, მოყავისფრო ელფერისაა. ფურებში რქა საკმაოდ წვრილი, ახალი მთვარისებრ ფორმისაა, მიმართულია მცირედ განზე და მაღლა, ბოლოებით კი რამდენადმე უკან. კურო-მწარმოებლებს, უფრო მსხვილი, მასიური, რკალისებრ მოხრილი და საშუალოზე დიდი ზომის რქები აქვთ, ხოლო თავის ქალასთან რქების შეერთების ადგილი კარგად არის გამოხატული (სურ. 38, 39, 40, 41, 42 და 43).

პირუტყვი ადვილად იტანს შორ მანძილებზე გადარეკვასა და თანაბრად კარგად ეგუება ალპებში და კოლხეთის დაჭაობებულ ფართობებზე ძოვებას, რაც პლანეტაზე აღრიცხული ძროხის 1028 ჯიშიდან არცერთში არის აღწერილი. აქ, მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ ზამთრში, ჭარბტენიან ნაკვეთებში ძოვებისას, ცხოველებში პრაქტიკულად არ გვხვდება ჩლიქების სიდამპლე, ხოლო გადარეკვისას, აგრეთვე მთის ქვიან საძოვრებზე ძოვებისას არ არის შემჩნეული ჩლიქის რქის ფიზიკური დაზიანების შემთხვევები. და ეს მაშინ, როდესაც ბარიდან-მთაში და პირუკუ გადარეკვისას ამ ცხოველებს ყოველწლიურად უხდებათ 180 კმ-ზე მეტი მანძილის გავლა ქვა-ღორღიანი გრუნტისა და რთული რელიეფის გზებზე.

ჯიშის კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ღირსებაა ის, რომ კარგად ითვისებს დაჭაობებულ, ძირითადად დაბალყუათიანი ცენოზით დაფარულ საძოვრებს და მადიანად შეექცევა ისლისებრთა ოჯახის რამდენიმე სახეობის მწვანე მასას; მათ შორისაა „ხაია“ (*Carex elata*

bellardi), რომელსაც კულტურული ჯიშის ძროხა, როგორც წესი, არ ჭამს. ზამთარში ცხოველები, ასევე, პირუტყვი მადიანად შეექცევა მეჯოგის მიერ მოჭრილი და დაკეპილი სუროს (Hedera Caucasigena Pojark) ფოთლებსა და ღეროს, ხოლო ადრე გაზაფხულზე ხებუჩქებისა და ფოთლოვანი ხე-მცენარეების ახალგაზრდა წანაზარდებს-ნეკერს.



სურ. 39. 2019 წლის მეცხოველეობის გამოფენაზე პირველი პრიზის
მფლობელი მეგრული წითელი ჯიშის ფური, GE 112 N 23539.
ცოცხალი მასა 305 კგ. მაქსიმალური დღიური მონაწველი III
ლაქტაციაზე 12 კგ (ფერმერი შ. ჯიქია, ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ.


კოლხეთის დაჭაობებულ საძოვრებზე არაერთხელ შესწავლილა ცხოველთა კვების ქცევის რეაქციები; დადგენილია, რომ მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვს, კამეჩის მსგავსად, აქვს უნარი საკვები მოიპოვოს დაახლოებით 5 სმ-

მდე წყლით დაფარულ საძოვარზეც, რაც, ასევე დასტურდება მწყემსების მონაყოლითაც.

ცხოველები ხასიათდებიან კარგი ორიენტაციის უნარით; მეჯოგები აღნიშნავენ, რომ მათ არ უნახავთ და არც არავისგან სმენიათ იმის თაობაზე, რომ ცხოველი დამხვრჩვალიყო ჭაობში. ამასთან ერთად, ისინი აღტაცებით ყვებიან, რომ ბევრჯერ უნახავთ თუ როგორ ეძებს, ერთი შეხედვით, გაუვალი ჭაობით გარშემორტყმულ, აბიბინებული ბალახნარიან კუნძულზე გადასასვლელს ნახირის სათავეში მყოფი ცხოველი. ის, რაღაც, ამოუხსნელი ინტუიციის წყალობით შეუცდომლად ირჩევს, ალბათ ერთადერთ ფონს, გადალახავს მას, მთელი ნახირი კი ერთ მწკრივად მიჰყება გაკვალულ ვიწრო გადასასვლელს და „გადის სამშვიდობოს“.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დიდი ნაწილი და სოფლის მოსახლეობა საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და/ან ტექნიკური მომსახურების სერვისით, მთიან ზონაში ამ ჯიშის მუშა ხარები (სურ. 35 და 40) დღესაც საკმაოდ ხშირად გამოიყენება სატრანსპორტო თუ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად.

ზრდასრული კურო-მწარმოებლების ცოცხალი მასა 400-450, ფურების - 300-320, ხოლო ახალშობილი ხბოსი- 18-22 კგ- ს შეადგენს. ფურის მაკეობის (ხბოს ემბრიონული განვითარების) პერიოდი 280-288, მოგებათაშორის პერიოდი კი 365-390 დღის ფარგლებშია. დაბადებისას სახარეების ცოცხალი მასა საშუალო 1-1,5, იშვიათად 2 კგ-ით უფრო მეტია, ვიდრე საფურეების.



სურ.40. მეგრული წითელი ჯიშის მუშა ხარები ხორაგაულის რაიონის წყალაფორეთის თემის სოფელ ხონიდან (ფერმერი ოთარ გურეშიძე; გიორგი გურეშიძის ფოტო)

სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტებში დადგენილია, რომ კვებისა და მოვლა-შენახვის პირობების გაუმჯობე-სებაზე ცხოველები რეაგირებენ მკვეთრად, რაც გამოიხატება სარძეო პროდუქტიულობისა და ზრდის სისწრაფის 50–60%-ით გადიდებით. იმადროულად, მონაწველის ზრდა პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას რძელალიანობის მაჩვენებლებზე; ემპირიული მონაცემების საფუძველზე შესრულებულმა გათვლებმა გვიჩვენა, რომ ლაქტაციური მონაწველის ყოველი 100 კგ-ით მატებისას, რძეში ცხიმისა და ცილის შემცველობა მცირდება 0,005 და 0,006%- ით, შესაბამისად

ცურის მორფოფუნქციური მონაცემების შესწავლამ უჩვენა, რომ სულადობის ნახევარზე მეტს აქვს ჯამისებური, 38,5%-ს მომრგვალებული და მხოლოდ 10,3%-ს თხისებრი ფორმის ცური. ამასთან, კურტის ზომების შესწავლით დადგენილია, რომ ამ ჯიშის ფურები ვარგისია მანქანური წველისათვის.



სურ. 41. 2019 წლის მეცხოველეობის გამოფენაზე II პრიზის
მფლობელი მეგრული წითელი ჯიშის ერთნაყოლი ფური GE 112 N
23520. მაქსიმალური დღიური მონაწველი I ლაქტაციაზე 9 კგ.
ცოცხალი მასა 270 კგ (ფერმერი დ. გოცირიძე, ხობის მუნიციპალი-
ტეტი, სოფ. შავლელე; გ. გოგოლის ფოტო)

დღეს მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვი გვხვდება ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, მარტვილის, ვანის, ხარაგაულისა და ბალდათის მუნიციპალიტეტების წვრილ ფერმერულ მეურნეობებში, რომლებშიც

ჰყავთ 8-10-დან 50 სულამდე პირუტყვი, მათ შორის 5-15 ფური, თითოეულში. მსგავსი ექსტერიერის ცხოველები, ცალკეული ინდივიდების სახით გვხვდება აჭარის ავტონო-მიურ რესპუბლიკაში, მირთადად ხულოს მუნიციპალიტეტში [139], მაგრამ ისინი, მაღალი ალბათობით, არიან ქართული მთის ძროხის აჭარული პოპულაციის პირუტყვთან ნაჯვარები.



სურ. 42. მეგრული წითელი ჯიშის კურო-მწარმოებელი GE 112 N 23375. ცოცხალი მასა 4,5 წლის ასაკში 485 კგ (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხური, ფერმერი ბადრი აბშილავა, გ. აბშილავას ფოტო)

სამეგრელოში, ფერმერთა დიდი ნაწილი დღესაც მისდევს მთაბარობას; წლის ცივ პერიოდში ისინი პირუტყვს აზამთრებენ მდინარეების, რიონის, ხობისწყლის, ტეხურას

და ფიჩორის, აგრეთვე პალიასტომის ტბის მიმდებარე, ძირითადად მურყანის მეჩხერი, მეორადი ტყით დაფარულ საძოვრებზე, გაზაფხულზე კი, 15-20 მაისიდან ნახირი გადაჰყავთ სამეგრელოსა და გურიის მთებში, სადაც რჩებიან ოქტომბრის დასაწყუსამდე.



სურ. 43. მეგრული წითელი ჯიშის კურო-მწარმოებელი N GE 112 23891.
ცოცხალი მასა 3 წლის ასაკში 410 კგ (ფერმერი დ. გოცირიძე, ხობის
მუნიციპალიტეტი, სოფ. შავლელი, გ. გოგოლის ფოტო)

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2015 და 2017 წ.წ. ჩატარებული ექსპედიციური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ამ ჯიშს პირუტყვს აშენებენ ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, სენაკის, მარტვილის, ვანის, ხარაგაულისა და ბაღდათის

მუნიციპალიტეტების წვრილ და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში, 8-10-დან 50 სულამდე რაოდენობით, თითოეულში (მათ შორის 5–15 ფური). გამოვლენილია ჯიშისათვის ტიპიური (პირობითად ხალასჯიშანი) ცხოველების კერები, რომელთა რაოდენობა საერთო სულადობის 10-15%, - ს შეადგენს.

ზრდასრული ფურების ცოცხალი მასა, გასული საუკუნის 80- იან წლებში დადგენილთან შედარებით რამდენადმე შემცირებულია და 280-330 კგ- ის ფარგლებში ცვალებადობს. თავის მხრივ, კურო მწარმოებლების მასა შეადგენს 450-470 კგ- ს, ხოლო ახალშობილი ხბოს 15-17, იშვიათად 20-22 კგ-ს.

ანალოგიური უნდა ითქვას სხეულის განაზომებზეც (ცხრილი 16). ექსპედიციის პერიოდში მოპოვებული მასალების მიხედვით დადგენილია, რომ ზრდასრული ფურების პრაქტიკულად ყველა განაზომის საშუალო სიდიდე, უმნიშვნელოდ შემცირებულია. ამასთან, შეიმჩნევა ცალკეულ ინდივიდებს შორის განსხვავებები, რაც, ჩვენი აზრით, ძირითადად დაკავშირებულია არეალთან და შენახვის პირობებთან.

ფერმერთა გამოკითხვის მასალებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ფურების 80-90% იგებს თებერვალ - აპრილის თვეებში. სამოვარზე, დამატებითი საკვების გარეშე შენახვისას, ლაქტაციის პიკზე, საუკეთესო ზრდასრული ფურებიდან დღეში წველიან 10-12 კგ, ცალკეული ინდივიდებისგან კი 14-15 კგ რძეს. ამასთან, როგორც წესი, ლაქტაციის ხანგრძლივობა 270-280 დღემდეა და მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებში აღემატება 300 დღეს. ამ მონაცე-

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტადიციები

მებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფერმერულ მეურნეობებში ზრდასრული ფურების ლაქტაციური მონაწველი საშუალოდ არის 1700-1800 კგ- ის ფარგლებშია, ხოლო საუკეთესოები იწველიან 2200-2400 კგ რმეს.

ცხრილი 16. ზრდასრული ფურების სხეულის განაზომები, სმ

განაზომები, სმ	ცვალებადობა, სმ	საშუალოდ, სმ
სიმაღლე მინდაოში	108-115	113,1
სიმაღლე გავაში	110-119	114,8
ტანის ირიბი სიგრძე	124-132	127,4
გულმკერდის სიღრმე	56-62	58,7
გულმკერდის სიგანე	29-38	33,2
გულმკერდის ირგვლივა	154-167	159,4
ნების ირგვლივა	13-16,5	14,5
სიგანე კუკუხოები	37-40	38,3
გავის ირიბი სიგრძე	39-42	40,6
სიგანე საჯდომ ბორცვებში	15-16,5	16,0
შუბლის სიგანე	16-17	16,4
თავის სიგრძე	38-40	38,0
შუბლის სიგრძე	15-18	16,4

აქვე უნდა ითქვას, რომ სადედე სულადობაში მეტად იშვიათია უნაყოფობისა და ბერწიანობის შემთხვევები, ხოლო ნამატის გამოსავალი 95–97%- ს შეადგენს.

რამდენადაც ფერმერულ მეურნეობებში ცხოველების ერთადერთი საკვებია საძოვრის ბალახი, შემოდგომის დადგომიდან მონაწველი საკმაოდ სწრაფად მცირდება და ფური ჩვეულებრივზე ადრე შრება. გარდა ამისა, მთაბარობი-

სას, ბარში წამოსვლის მომენტიდან მეჯოგები არ წველიან ფურებს. ასეთი მდგომარეობა არის იმის მიზეზი, რომ, როგორც წესი, ამ ჯიშის ფურების ლაქტაციის ხანგრძლივობა იშვიათად აღემატება 265-275 დღეს.



სურ.44. ნახირი კოლხეთის ჭარბტენიან
სამოვარზე (ლ. თორთლაძის ფოტო)

ბონიტირების ტექნიკური პირობების (ინსტრუქციის) შედგენისას გათვალისწინებული იქნა, რომ დაწყებული გასული საუკუნის 90-ანი წლების მეორე ნახევრიდან ჯიშზე სასელექციო მუშაობა მხოლოდ

ნომინალურად თუ მიმდინარეობდა, 2005 წლიდან კი ფაქტობრივად შეწყდა. ამან თავისი ასახვა ჰპოვა საბონიტირო ნიშან-თვისებების მაჩვენებლებში (სარმეო პროდუქტიულობა, ცოცხალი მასა და სხვ.);

მე-17 ცხრილში მოტანილია სხვადასხვა ლაქტაციის ფურების I კლასზე მისაკუთვნების მინიმალური მოთხოვნები ლაქტაციური მონაწველის, რძეში ცხიმისა და ცილის შემცველობის (%-ის), აგრეთვე ლაქტაციის მანძილზე წარმოებული რძის ცხიმისა და ცილის რაოდენობის მიხედვით.

**ცხრილი 17. მეგრული წითელი ჯიშის ფურების მონაწველის
მინიმალური მოთხოვნები (I კლასის სტანდარტი)**

ლაქტაცია, რიგით	მონაწველი, კგ	რძეში ცხიმის %	რძეში ცილის %	რძის ცხიმი, კგ	რძის ცილა, კგ
I	1100	4,3	3,4	47	38
II	1400			60	48
III და მეტი	1600			69	54

მეგრული წითელი ჯიშის ძროხა რძის პროდუქტების (ყველის, ხაჭოს) გამოსავლიანობით სჯობს როგორც ადგილობრივი ქართული მთის ძროხის სხვადასხვა პოპულაციებს, ასევე ზოგიერთ ინტროდუცირებული ევროპული წარმოშობის პირუტყვს, რასაც განაპირობებს რძეში მშრალი ნივთიერების მაღალი შემცველობა.

რძეში ცხიმისა და ცილის მაღალი შემცველობის გამო, რძის პროდუქტების გამოსავლიანობით მეგრული წითელი ჯიშის ძროხა სჯობს როგორც ადგილობრივი ქართული მთის ძროხის სხვადასხვა პოპულაციებს, ასევე ზოგიერთ ინტროდუცირებული ევროპული წარმოშობის პირუტყვს ბაგურ-სამოვრული პირობებში შენახვისას.

სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი და ფიზიოლოგიური ჯგუფის ცხოველების ცოცხალ მასაზე მინიმალური მოთხოვნები მოტანილია მე-18 ცხრილში.

სხვადასხვა სამეურნეო და ეკოლოგიურ პირობებში მეგრული წითელი ძროხის გამოცდის შედეგები უჩვენებს, რომ ჯიშის სარმეო და სახორცე პროდუქტიულობის პოტენცია საკმაოდ მაღალია, რაც მიზანმიმართული სასელექციო მუშაობითა და მოვლა - შენახვა - კვების სათანადო პირობების უზრუნველყოფით, ხალასად მოშენების პირობებში სწრაფად გაუმჯობესების საფუძველი იქნებოდა.

ცხრილი 18. მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვზე ცოცხალი მასის
მინიმალური მოთხოვნები (I კლასის სტანდარტი)

სქესობრივ-ასაკობ- როვი ჯგუფი	ასაკი	ცოცხალი მასა, კგ
ფური	I ლაქტაცია	270
	II ლაქტაცია	285
	III ლაქტაცია	300
კურო-მწარმოებელი	3 წლის	290
	4 წლის	450
	5 წლის	480
დეკუული	10 თვის	120
	15 თვის	160
	20 თვის	190
	24 თვის	230
მოზვერი / კურაკი	10 თვის	125
	15 თვის	200
	20 თვის	245
	24 თვის	270

ჯიშის აღდგენა-გაუმჯობესებასა და დასავლეთ საქარ-
თველოს მომთაბარე მეჯოგების ფერმებში გავრცელების
მასტიმულირებელი მექანიზმი იქნება სანაშენე მუშაობის
აღდგენა, რომლის სამსახურები ფერმერულ მეურნეობებში
მოაწესრიგებენ ზოოტექნიკურ და სანაშენე აღრიცხვას,
თანამედროვე ცოდნისა და მსოფლიო გამოცდილებაზე
დაყრდნობით შეიმუშავებენ სასელექციო მუშაობის პერსპექ-
ტიულ პროგრამას და უზრუნველყოფენ მის განხორცი-
ელებას.

უმთავრესი ამოცანაა, მაღალი პროდუქტიულობით და
სხვა საბონიტირო ნიშან-თვისებებით განსაკუთრებულად

გამორჩეული ფურებიდან სანაშენე მოზვრების (კურაკების) გამოზრდა და მათი სპერმის ბანკის შექმნა, აგრეთვე მონაშენის ხარისხზე შეფასებით გამაუმჯობესებლების გამოვლენა.

სანაშენე მუშაობა უნდა წარიმართოს სარძეო მეძროხეობაში მიღებული თანამედროვე, აპრობირებული მეთოდოლოგით, მეგრული წითელი ჯიშის მოშენების პირობებისა და გამოყენების სპეციფიკის გათვალისწინებით; სელექცია, მირითადად უნდა წარიმართოს სარძეო პროდუქტიულობის, ცოცხალი მასისა და ზრდის ენერგიის გადიდების, აგრეთვე კონსტიტიტუციური სიმაგრის, გამძლეობისა და საძოვრული შენახვისადმი შეგუების უნარის შენარჩუნება-გაუმჯობესების მიმართულებით.

საქმე ის არის, რომ დღეს საქართველოში არ ფუნქციონირებს სანაშენე მეცხოველეობის სტრუქტურები, ხოლო ფერმერული მეურნეობები არ აწარმოებენ ზოოტექნიკურ აღრიცხვას, არ ხდება ცხოველთა პროდუქტიულობის მონიტორინგი და სხვ., შესაბამისად, უახლოესი 2-3 წლის მანძილზე პრაქტიკულად შეუძლებელია ცხოველთა რაობის (ჯიშს, ჯიშანობის), მათი პროდუქტიულობისა და სანაშენე ღირსების განსაზღვრა, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა მიგვეღო ცნობილი წარმოშობის ხალასჯიშიანი, მაღალი კლასის კურო-მწარმოებლები და დაგვეწყო მათი გამოცდა.

მიუხედავად ადგილობრივი ჯიშების მომშენებელი წვრილფერმერული მურნეობების განვითარებისთვის ნაკლებად ხელშემწყობი პირობებისა, გავრცელების ზონაში მეგრული წითელი ჯიშის ძროხას დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად ათვისების, აგრეთვე მთისწინა სოფლებში მოსახლეობის დასაქმებისა საქმეში.



„კვარაცხელიას ჯიშის წითელი ძროხები და მათი ყველი-სულგუნია ჩემი ოჯახის მარჩენალი“, ამბობს გაზეთ კვირის პალიტრასათვის მიცემულ ინტერვიუში მეჯოგე მეგონა ჯოჯუა, მარტვილის რაიონის სოფელი დობერაზენიდან [141] და ხაზს უსვამს, რომ ნამდვილი მეგრული სულუგუნი მზადდება მხოლოდ ამ ჯიშის ძროხის რძიდან.

და არა მარტო სულუგუნი...

საქართველოს ყველის მწარმოებლთა გილდია 2011 წლიდან, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ატარებს ყველის ფესტივალს, რომელშიც რძის გადამამუშავებელი საწარმოებთან ერთად სისტემატიურად მონაწილეობენ ძროხის ადგილობრივი ჯიშების მომშენებელი მცირე ფერმერული მეურნეობები და მათ შორის მომთაბარე მეჯოგები; აქ, გემოვნებით გაფორმებულ სტენდებზე მათ მიერ წარმოდგენილი ყველის ქართული ნაირსახეობებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მეგრული წითელი ჯიშის ძროხის რძიდან დამზადებული ჩვეულებრივი და შებოლილი სულუგუნი, აგრეთვე სასულუგუნე მასიდან გამოძერწილი სტილიზირებული ფიგურები და რძესთან დაკავშირებული მეგრული სამზარეულოს სხვადასხვა ნიმუშები (სურ. 45).



სურ. 45. მეჯოგეთა მიერ მთაში სულუგუნის დამზადება; სულუგუნის
სტილიზებული ფიგურები და რძის სხვა ნაწარმი 2016 წლის
გამოფენაზე (რ.თოლორდავას, გ.აბშილავას, გ.გოგოლის ფოტო)

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეჯოგეთა როლი რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში, აგრეთვე მათ მიერ წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული ნედლი რძით, მისი პროდუქტებით და ხორცით ადგილობრივ მცხოვრებთა, დამსვენებლებისა და სპორტული ბაზების მომარაგების თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ მეგრული წითელი ჯიშის მომშენებელი ფერმერული მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი იზამთრებს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და სარგებლობს აქ არსებული საძოვრებით. აუცილებელია მათი საქმიანობის საკანონმდებლო დონეზე ლეგალიზება, ხოლო შესაბამისი რეგულაციებით, ერთდღოულად მოხდეს, როგორც ფერმერთა ეკონომიკური საქმიანობის კანონი-ერების უზრუნველყოსა, ასევე ეკოსისტემის შენარჩუნება.

დაბოლოს, მეგრული წითელი ჯიში ქართველი მეჯოგების მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი აზროვნებისა და ყოველდღიური მუხლჩაუხერელი შრომის ნაყოფია და მას ერის თვითმყოფადობის, მისი ისტორიის შეცნობისთვის

ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებს. საკითხის ისტორიული, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი, ენდემური და აბორიგენული ჯიშების დაცვა-აღდგენისა და გაუმჯობესების პროგრამა, განსაზღვროს მცირე ფერმერული მეურნეობების მეცნიერული, სამართლებლივი, ეკონომიკური და ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტის გადაუდებელი ღონისძიებები და მათ

განსახორციელებლად გამონახოს სათანადო მატერიალურ-ფინანსური რესურსები.

უმოკლეს ვადაში სამართლებრივ გადაწყვეტას საჭიროებს კოლხეთის ეროვნული პარკის და რეგიონის სხვა დაცულ ტერიტორიებზე საძოვრებით მოსარგებლე ფერმერული მეურნეობების ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივი საკითხი. საქმე ის არის, რომ საუკუნეების მანძილზე მეგრული წითელი ჯიშის ძროხა გახდა საკმაოდ დიდი რეგიონის, მთავარი და მცირე კავკასიონის ცენტრალური და დასავლეთის სამხრეთი ფერდობების, აგრეთვე გურია-აჭარის მთიანი რეგიონისა და კოლხეთის ბარის ჭარბტენიანი ტერიტორიის ეკოსისტემის ნაწილი. ამდენად ეს ცხოველი და, შესაბამისად, ამ რეგიონებში ფერმერთა ეკონომიკური საქმიანობა, უნდა განხილული იქნას როგორც ამ სისტემის სტაბილიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი.

მეგრული წითელი ჯიშის ძროხის დაცვა-აღდგენა- გაუმჯობესების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ

1. მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვის მომშენებელი ფერმების გამოსავლენად და ცხოველთა სულადობის დასაზუსტებლად გავრცელების ზონაში ჩატარდეს ცხოველთა ინვენტარიზაცია, რა დროსაც:
 - სისხლის ჯგუფების გენეტიკური სისტემების, სისხლისა და სისხლის შრატის პოლიმორფული

ცილების შესწავლით შეფასდეს მეგრული წითელი ჯიშის გენოფონდის (როგორც მინიმუმ, სანაშენედ გადარჩეული სულადობის) გენეტიკური სიწმინდე; ეს მეტად საყურადღებო ფაქტია; საქმე ის არის, რომ გასული საუკუნის 70-80- იან წლებში ყოფილი სსრკ მოკავშირე რესპუბლიკებიდან მეგრული წითელი ჯიშის არეალის 10 რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შემოყვანილი იქნა 11055 სული სტეპის წითელი, ლატვიური წაბლა, ლიტვური და ესტონური წითელი ჯიშის დეკეული/უშობელი/ფური და 107 სული კურაკი; ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აღნიშნულ მეურნეობებში ჩანაცვლებული იქნა ფურების სულადობის 62%- ზე მეტი. ამდენად, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ მოხდა შემოქვანილი ჯიშების შეჯვარება მეგრულ წითელ ჯიშთან.

- მომდევნო ეტაპზე, ცხოველთა წარმოშობასა და სანაშენე ღირსებებზე ინფორმაციის დაგროვების პარალელურად, მიზანშეწონილია თანამედროვე მეთოდოლოგიის გათვალისწინებით მოღვაწე-ლურ-გენეტიკურ კვლევებზე გადასვლა.
- ჯიშის, განსაკუთრებით კი მისი სანაშენე ბირთვის განვითარების თვალთახედვიდან გამომდინარე საჭიროა განისაზღვროს და პერიოდულად განახლდეს ცხოველთა პროდუქტიულობისა და ბიოლოგიური თავისებურებების სტანდარტული მაჩვენებლები.

2. ბიოტექნოლოგიური და ზოოტექნიკური კვლევების მასალების საფუძველზე, ისტორიულ-ეკოლოგიური გარემოებებისა და არსებული რეგლამენტის გათვალისწინებით:
 - შეიქმნას მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვის ჯიშთსაშენი,
 - მოძიებული ფერმერული მეურნეობების, ან მათი გაერთიანებების ბაზაზე, რეგიონების მიხედვით, დაფუძნდეს არა ნაკლებ 3 საგენოფონდო მეურნეობა/ფერმა, 150–200 სული ფურის საერთო სულადობით; მათ შორის: ორი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში და ერთი იმერეთის მხარეში (ბალდათის, ვანის, ან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში);
 - გამოვლენილი იქნას შიდაჯიშური (ზონალური) ტიპის, სულ მცირე 3-4 ხაზისა და ოჯახის განსაკუთრებულად მაღალპროდუქტიული ცხოველთა ჯგუფები და განხორციელდეს მათი მიზნობრივი მოშენება;
3. მსოფლიო გამოცდილების გაზიარებით შემუშავდეს ჯიშის გენოფონდის დაცვის, აღდგენისა და გაუმჯობესების გრძელვადიანი პროგრამა და მის შესასრულებლად გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები;
ბიოტექნოლოგის თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, მცირერიცხოვანი და გაქრობის პირას მყოფი სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების/პოპულაციების აღდგენის, დაცვისა და სამეურნეო თვისებების მოკლე დროში გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი

მიმართულებაა გენერაციული უჯრედების (სპერმა, კვერცხუჯრედი, ემბრიონი) კრიოკონსერვაცია და მათი მიზნობრივი გამოყენება.



სურ. 46. მეგრული წითელი ჯიშის ღია და მუქი-შინდისფერ- წითელი ფერის ინდივიდები (გ. გოგოლის ფოტო)

ჯიშის განვითარების პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომავალი კურო-მწარმოებლების გამოყვანასა და შეფასებას.

სანაშენე საქმის სამსახურის აღდგენის პროგრამის ფარგლებში, ქვეყანაში უნდა დაფუძნდეს ბიოტექნილოგიური ლაბორატორია, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება იქნება ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა, მათ შორის ძროხის მეგრული წითელი ჯიშის კურო-მწარმოებლების სპერმის კრიობანკის შექმნა და მონაცემთა ბაზის (ბანკის) მართვა; ეს შესაძლებლობას მოგვცემს:

- საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით, ათწლეულობით შევენახოთ ამა თუ იმ სახეობისა და ჯიშის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა უნიკალური გენეტიკური სანაშენე მასალა, აგრეთვე ინფორმაცია მის წარმომავლობასა და ღირებულებაზე;
- სანაშენე და სასაქონლო მიმართულების მეურნეობებში/ფერმებში ახალი მიდგომებითა და მეთოდოლოგიების გამოყენებით უზრუნველვყოთ გენეტიკური კვლევები და სასელექციო საქმიანობა;

ჯიშის აღდგენა-გაუმჯობესების სამუშაო პროგრამის შემუშავებისას, გასათვალისწინებელია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში მეგრული წითელი ჯიშის მწარმოებლების ორმად გაყინული სპერმა გაიგზავნა საკავშირო (დღეს სრულიად რუსეთის) ცხოველთა გენეტიკისა და მომშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ВНИИГРЖ, ლენინგრადის ოლქი, ქ. პუშკინი) და ინახება ამ ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გენოფონ-

დური ჯიშების ბიორესურსების განყოფილების კოლექციაში
(ბანკში).

როგორც აღინიშნა, ეს სანაშენე მასალა მიღებულია ქვემო აკეთის კოლმეურნეობაში მოშენებული განსაკუთრებულად მაღალი წველადობისა და სხვა ღირსებების მქონე, თაობების მანძილზე სელექცინირებული, ელიტური ფურების შთამომავლობისგან (კურო-მწარმოებლებისგან). ამდენად, მაღალია წარმატების ალბათობა და მიღებული თაობის შემდგომი აღწარმოებისთვის გამოყენების მიზანშეწონილებაზე პროგნოზის გაკეთება.



სურ. 47. მეგრული წითელი ჯიშის კურო-მწარმოებელი
(ც-ქილიფთარის ფოტო)

ამდენად, ამ ინსტიტუტთან კონტაქტების დამყარება და ბიოლოგიური მასალის გამოთხოვა შესაძლებობას მოგვცემს დავაჩეაროთ სანამენე ბირთვის შექმნისა და ზოგადად ჯიშის აღდგენა-გაუმჯობესება.



სურ. 48. მეგრული წითელი ჯიშის ნახირი; ხობის მუნიციპალიტეტის სოფელი ქარიატას მიდამოები (შემოდგომა, 2019 წ. ვეტერინარი-ექიმი დიტო ხურცილავას ფოტო)

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ასეთი მიდგომა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რამეთუ წლების მანძლზე უსისტემოდ, მიმდინარეობს პირუტყვის გამრავლება და პრაქტიკულად ამოწურულია მისი შენარჩუნების რესურსები. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების ქრონიკული

დეფიციტის ნიველირების მიზნით, უცხო ჯიშების ინტრო-დუქცია და მათი მასობრივად გავრცელება, შეიძლება ითქვას, არაკონტროლირებად ხასიათს იღებს.

წარმატებული სელექციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჯიშის მოშენების შედეგების კონტროლი, მისი ბიოლოგიური თავისებურებებისა და სამეურნეო ღირებულების უწყვეტად მეცნიერული შესწავლა-შეფასება.

სანაშენე მუშაობის დაგეგმვისას, სარძეო პროდუქტიულობის გაუმჯობესების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მწარმოებლების შთამომავლობის გამრავლებას, რომლებშიც აშკარად/მკვეთრად ვლინდება ისეთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებები, როგორებიცაა: ფიზიკური გამძლეობა, დაავადებებისადმი მდგრადობა, მაგარი ჩლიქები, საძოვრული საკვების ათვისების უნარი, ზრდის ენერგია, განვითარების სისწრაფე და სხვ.

საგენოფონდო მეურნეობებში გადარჩევისა და შერჩევის კრიტერიუმებად აღებული უნდა იქნას ის ნიშან-თვისებები, რომლებიც შთამომავლობაში უზრუნველყოფენ და განამტკიცებენ ჯიშის ფენოტიპურ სტრუქტურას.

კურო-მწარმოებლების გამოყვანა (მიღება), მათი მიზანმიმართული გამოზრდა და შთამომავლობის ხარისხზე შეფასება, ჯიშის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველთა-საფუძველია. რეგლამენტის შესაბამისად, მონაშენის ხარისხზე შეფასებას დაექვემდებარება განსაკუთრებულად მაღალპროდუქტიული და სხვა საბონიტირო ნიშან-თვისებებით გამორჩეული დედებისგან მიღებული, კურაკები



სურ. 49. მეჯოგეთა ზამთრის ბანაკი ხობის მუნიციპალიტეტის სოფ.
შავდელეს მიდამოებში (ც. ქილიფთარისა და გ. გოგოლის ფოტო)

(ახალგაზრდა კურო-მწარმებლები), რომელთაც ნიშან-თვისებათა კომპლექსით შეფასებისას მიეკუთვნებათ ელიტა და ელიტა-რეკორდი კლასი. დაგეგმილია მათი სპერმის ბანკის დააარსება და გამოცდა მონაშენის (შთამომავლობის) ხარისხზე, რაც გარანტირებულად მაღალი პროდუქტი-ულობის სანაშენე მოზარდის მიღებისა და გავრცელების წინაპირობებს შექმნის.


ჯიშის არეალში სანაშენე მუშაობა უნდა წარიმართოს ერთიანი სქემით. სამუშაოების დაწყებიდან 8–10 წლის შემდეგ, ე.წ. სასელექციო ბირთვის ჩამოყალიბებისა და პრეპოტენტული მწარმოებლების სპერმის გარკვეული რაოდენობით დაგროვებისას, სელექციის სხვა მიმართულებებთან ერთად სასურველია შემუშავდეს მეგრული წითელი ჯიშის გენოფონდის „სისხლის დართვის“ მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ძროხის ინტროდუცირებული სარძეო ჯიშების ცვალებადი გარემოსადმი ადაპტაციის უნარისა და დაავადებებისადმი რეზისტენტობის ამაღლებას, აგრეთვე ხელს შეუწყობს მაღალპროდუქტიული ჰეტეროგენული პოპულაციების მიღებას.

ახლო პერსპექტივაში, სელექციის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად გასათვალისწინებელია დნმ ტექნო-ლოგიების, მათ შორის ცალკეული ნუკლეოტიდების პოლი-მორფიზმის (single nucleotide polymorphism, SNP), მიტოქონ-დრიული სატელიტების (mtDNA/satellite DNA), მარტივი შუალედური თანმიმდევრობის განმეორების (Simple Sequence Repeats, ISSR) და სხვ. მარკერების კვლევის, ზოგადად კი

გენომური სელექციის PCR (Polymerase chain reaction) ანალიზის მეთოდების დანერგვა. ამ კვლევების საფუძველზე, ასევე, შესაძლებელია ჯიშის გენეალოგიური სტრუქტურის, კონსოლიდაციის ხარისხისა და გენეტიკური პროფილის, აგრეთვე ცხოველის ჯიშიანობის დადგენა, ხოლო ამ კონკრეტული შემთხვევისთვის მეგრული წითელი ჯიშის წარმოშობისა და სხვა ჯიშებთან მისი ნათესაური კავშირების საკითხის გარკვევაც.



სურ. 50. მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვი კოლხეთის სამოვრებზე
(გაზაფხული 2015 წ., ც. ქილიფთარის ფოტო)



სურ. 51. ბალდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების ალბურ
საძოვრებზე (ფოტო: ც. ქილიფთარი, ე. კალანდია)



სურ. 52 . ფური CE 122 N 570496. მაქსიმალური დღიური მონაწველი VIII ლაქტაციაზე 13 კგ. ცოცხალი მასა 357 კგ (ფერმერი ბ. აბშილავა, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხური)



სურ.53 მეგრული წითელი ჯიშის 1 წელზე უხნესი დეკულები (ზობის მუნიციპალიტეტი, სოფ. შავლელე, ფერმერი დ. გოცირიძე).

G. Gogoli, R. Barkalaia, Ts. Kilipthari,
T. Pirtschalaishvili, T. Jgenti

Red Megrelian breed of cattle, the life and traditions of pastoralists

S u m m a r y

Georgia is a treasury country of unique cultural heritage and an inexhaustible source of biodiversity. Apparently, there is practically no country on the planet where such a variety of landscape and natural and climatic conditions, as well as the same abundance of plant and animal species, are described on such a small territory.

It is recognized by the world community as the homeland of the first Europeans and the center of viticulture and winemaking; it was found that 5 out of 20 wheat species are endemic for Georgia...; at the same time, the life of the Kartvelian tribes has long been associated with animal husbandry, as evidenced by the variety of aboriginal breeds of almost all types of agricultural and domestic animals and birds, bred and preserved to this day in this territory, most of which have no analogues .

The above can be fully attributed to its western part, to Colchis, which is confirmed by many historical and ethnographic data and written sources. Among them, first of all, the myth of the Argonauts should be highlighted, which is considered the first most reliable artifact by which one can judge the level of agricultural production in ancient Colchis. In particular, one of the episodes associated with the cultivation of the land by "fire-breathing" bulls, along with the main goal of the Argonauts' (XIII or XII century BC) expedition - mastering the "golden fleece", is indisputable evidence of the high culture of animal husbandry and agriculture. And, also, the Greek philosopher Aristotle (384-322

BC), characterizing the “Colchis cow”, notes: “... Although the milk yield depends on the size of the body, in Iberia, in Fazisi very small cows are bred, which give a lot of milk”.

Medieval sources also emphasize that in Western Georgia, as in the country as a whole, different types of farm animals are bred, among which cattle were especially popular, which was facilitated by a temperate climate and an abundance of pastures. The special natural and climatic conditions of the region, in turn, led to the creation of a rational technology of production processes with the maximum use of natural forage lands, the establishment of unique traditions of keeping, breeding and caring for animals, and also contributed to the emergence of original methods of production and processing of milk and meat.

The first information about the red Megrelian breed appeared only in the late 19th - early 20th centuries. Since then, various assumptions have been made in the scientific literature regarding its origin.

Some believed that it was bred by breeding the local population of low-weight mountain cattle in Georgia, with its purebred breeding, while others indicated that the red steppe and / or Kalmyk breeds participated in its breeding.N. Gotsiridze [3], also, did not exclude the possibility of the participation of these breeds in the creation of red Megrelian cattle; In this regard, he points out that some Megrelian cattle breeders, using the alpine forage lands of the southern slopes of the main Caucasian ridge, drove their herds to the pastures of the North Caucasus, to the Kuban region, and to improve their live weight and milk productivity, they could use animals of the red steppe and/or Kalmyk breeds.

There is a lot of evidence that calls into question this consideration, including:

1. Direct participants in the breeding process, breeders who, at one time, noted that "... they did not use other breeds in crossing and did not hear from anyone about it".
2. Red Steppe, Kalmyk and Red Megrelian breeds belong to different craniological types;
3. Alleles of genetic systems of blood groups, as well as proteins and enzymes of blood serum, do not confirm the relationship between these breeds, etc.

In addition, taking into account the patterns of inheritance of color and spotting in cattle for breeding animals with a uniform red color, livestock breeders would have to buy a large number of producers for several decades and in the process of selection carefully select and picking animals for this indicator, which is also unlikely.

Thus, there is every reason to believe that the Red Megrelian breed of cattle is the genetic heir to "... Fire-breathing bulls with copper legs ..." specially forged by Hephaestus for the king of Colchis Aiet, mentioned in the pearl of Greek mythology "Argonauts", as well as cows "with small body, but giving a lot of milk ", described by Aristotle. This point of view, as noted, is also confirmed by the study of the systems of alleles of blood groups and polymorphic proteins and enzymes of blood serum.

We believe that the question of the origin and evolution of this breed of cattle can be finally clarified by studies using PCR technologies, DNA markers, including single nucleotide polymorphism (SNP), mitochondrial satellites (mtDNA / satellite DNA), intermediate simple sequences (ISSR-Simple Sequence Repeats), etc.

The breed was bred by folk breeders of Western Georgia, Megrelia, during the 60-90s of the XIX century, in the conditions of mountain distant pasture keeping, in which the animals were

outside the premises all year round and did not receive additional feeding.

The stimulus was an increase in demand for dairy products, as well as draft animals, including for the transportation of ore from the Chiatura manganese deposit to the nearest railway. The fact is that in those years, the inhabitants of the region raised low-weight livestock, which, like buffaloes, turned out to be unsuitable for these purposes. As for horses, traditionally, the population here to the present day uses them only for saddle and pack.

The breeders quickly figured out the situation and set themselves the task of obtaining animals with good working qualities. Among them, the brothers, Dziki, Erasti and Data Kvaratskhelia, who inherited a small number of local unproductive cattle from their father, stood out for their originality and purposefulness. They paid special attention to the breeding and rearing of future sires; For this purpose, comparatively high-milk and large cows of impeccable appearance, they mated with the best bull, and the resulting offspring were raised in conditions of free sucking ("cow-calf").

At the same time, they left for the tribe individuals with a strong constitution, distinguished by a lively temperament and endurance. This approach, over several decades, ensured the harmonious development of animals and contributed to the formation of a highly productive brood stock, giving offspring with good working qualities.

It is noteworthy that the methods of assessing and breeding animals of the Kvaratskhelia brothers largely repeated the approaches of British breeders of the period of the so-called. "The Golden Age of European Livestock...". At the same time, unlike the British, according to the available information, they did not resort to "related mating" to strengthen and reproduce the

desired traits in the offspring. And yet, the British practically did not use the assessment of animal endurance in the selection, while in the harsh conditions of mountain-distant keeping, this largely determined the success of breeding. And yet, the British practically did not use the assessment of animal endurance in the selection, while in the harsh conditions of mountain-distant keeping, this largely determined the success of breeding.

In this connection, the grandson of one of the brothers Kvaratskhelia, David, writes that "... in relation to the weak, the grandfather was merciless, he said: " ... in nature he is still doomed to death " ... and arranged a test, ... drove the herd into the Rioni River ... where the fate of the weak was decided in opposition to the current ...".

Along with long-term target selection and selection of individuals of the desired type, annual transition over distances of 180 km or more, as well as year-round keeping of animals in the open air, strengthened their health and contributed to the expansion of adaptive capabilities

The success of selection and breeding work was also facilitated by the correct organization of the herd, including:

- Older heifers and cows they fertilized so that the calves were born in the climatically most desirable period of the year, in early spring;
- The herd, as a rule, was divided taking into account the sex and age of the animals, and the number of the herd did not exceed 60-80 heads;
- During the period of mass calving, the breeding stock was also divided into new-calving and "milking" ones, and they were kept separately;

- Particular attention was paid to the rearing of future sires, which were kept on free suction for up to 6-7 months;
- Practiced alternate grazing of alpine pastures, etc.

The brothers' style of work was an example for other herders, and their large herd became a kind of breeding nucleus of the breed. They, along with working oxen, annually sold 30 or more heads of young bulls, as well as all the heifers unnecessary for repairing their own herd. It is known that hereditary livestock breeders of the following surnames made a feasible contribution to the creation of the red Megrelian breed: Bzhalava, Gabelia, Kalandia, Pipia, Skhulukhia, Nachkebia, Papava, Tsaava, Jojua, Tolordava, etc.

Cattle of this breed are distinguished by their strong physique. On the exterior, in general, it can be attributed to the combined direction of productivity, however, there are quite a few individuals of a delicate and dense constitution, characteristic of dairy breeds: the body is folded in proportion and sufficiently long; the head is easy, the profile is straight, the eye orbits are convex, and the eyes are alive; The neck in cows of medium length with well-pronounced folds of the skin, the withers are somewhat raised, the chest is of medium depth, without interception behind the shoulder blades, the slope of the ribs is medium, the back is quite long and wide, but somewhat sagging, the loin is even and of medium width, the belly is voluminous, but not sagging, the croup is wide enough, of medium length, partly sagging. In general, the skeletal system is thin but strong, the limbs are high and well set, and the hooves are tall and strong; The Muscles in animals are developed on average, the skin is thin and elastic, the summer hair is short, the hairs fit tightly to the surface of the skin, and in the winter they are quite long with a lot of fluff.

In cows, the udder is quite deep and glandular, generally bowl-shaped or round in shape and tightly attached to the belly. The teats are generally cylindrical in shape, of medium size and symmetrically located at the bottom of the udder.

Secondary signs of sexual dimorphism in young animals begin to develop from the age of 7-8 months and are manifested both in body size and in secondary sexual characteristics. Bulls, unlike cows, have a more massive head and horns, a relatively short and thick neck, a deep and wide chest and a relatively poorly developed hind third of the body.

The color of animals is red, from ginger to dark red; at the same time, the hairs around the eyes, on the cyst of the tail and the inside of the hind legs are lighter than on other parts of the body. Small white markings on the forehead and groin area are present only in single individuals. Unlike breeds of red color of European origin, Angeln and Red Danish, as well as red steppe, Latvian Brown, Lithuanian and Estonian Red breeds derived from them, in animals of this breed, the color of the horns ranges from amber-yellow to waxy, with more dark endings. The eyelids and nasal mirror in cattle are pink, dark specks are possible on the nasal mirror, and the color of the hooves ranges from light to dark brown. It should also be said that, unlike other breeds belonging to the short-horned craniological type, in Red Megrelian cattle, the horns are quite long (especially in oxen), thin and have a lyre-like shape: at the base they are directed to the side and upward, and at the ends, inward and slightly backward.

Both adult livestock and young animals easily move on rocky soil, in gorges with steep ascents and descents. They are distinguished by good orientation and unpretentiousness, and also adapt equally easily to grazing on the swampy pastures of Colchis and the alpine meadows of the Caucasus.

Other features are characteristic of cattle of this breed:

1. Without visible reactions, they tolerate sudden changes in air temperature and weather conditions;
2. They can eat pasture grass covered with water and / or sufficiently thick snow cover;
3. Eats some types of sedge grasses (including Carex elata bellardi), which, as a rule, are not eaten by cultivated cattle;
4. Easy to move in a mountain pasture with a slope of up to 30 degrees;
5. Practically do not suffer from diseases of various etiologies, including piroplasmosis.

In the scientific literature available to us, information about such properties, taken together, is not noted in any of the 1028 cattle breeds registered on the planet.

In live weight, adult livestock is 18-25% higher than all other populations of mountain livestock in Georgia. The weight of cows is 280-350 kg, height at the withers - 112-115 cm, chest depth - 58-61 cm, oblique body length - 133-135 cm, and chest girth - 165-167 cm. The live weight of the Bulls is 400-450 kg, and the main body measurements are: 122-127; 64-70, 140-150 and 176-182 cm, respectively. The weight of a newborn calf is 15-22 kg.

The first results of studying the milk productivity of cows of this breed published in 1946 in the collection of the scientific conference of the Georgian Zootechnical-Veterinary Institute. It is noted that, in four farms that practiced year-round pasture, distant-mountain keeping of animals, the average milk yield of first-calf heifers was 765, and adult cows - 875 kg of milk, fat content 4.45%. At the same time, the average milk yield of the 8 best cows was 1551, the record was 1904 kg of milk, and the maximum fat content in milk was 6.17%.

For comparison, we note that according to statistical data, in the same year, in the republic as a whole, the average milk yield of a forage cow was much lower, only 468 kg.

According to the data of 1975-83, the milk yield of cows of this breed in five breeding farms averaged 1460 kg of milk, fat content 4.35%, and in the best of them, on the farm of the collective farm of the village of Zemo Aketi, Lanchkhuti region - 1882 kg of milk, with a fat content of 4.39%;

In the same farm, in the conditions of mountain-distant-pasture keeping, N. Tsintsadze, on two groups of cows, studied milk productivity and other economically useful indicators. At the same time, the first group, the control group, was fed with the rations adopted on the farm, and the other, the experimental group, with a higher nutritional value (2448 and 3327 feed units per head per year, respectively); In summer, animals of both groups were kept on an alpine pasture near the village of Abastumani.

It was found that the average milk yield of cows in the control group per lactation averaged 1828 kg of milk (Lim. 1440-2499), with 4,39% fat, and in the experimental group - 3017 kg of milk with 4,33% fat. A record milk yield for the breed was obtained from the cow «Toria», No. 0861, which in 305 days of IV lactation produced 4315 kg of milk with a fat content of 4,29% (185,1 kg of milk fat).

Animals of this breed are characterized by satisfactory meat production. With intensive fattening, the average daily gain in live weight of bulls from one year of age is 740 grams, and live weight by 18 months of age reaches 300 kg or more. Slaughter yield of animals is about 52%. Speaking about the quality of meat, it is noted that it is quite tender, with a good taste, characterized by moderate fat content and excellent culinary properties.

Farmers emphasize that young castrated bulls of this breed are difficult to train and, at the same time, oxen are characterized by excellent working qualities: They are hardy, have a high traction force and a fairly fast pace. Tests have shown that the traction force in these cattle is 57% of live weight, while in the Swiss breed it is equal to 46%, and in the local crossbred cattle in total, only 37% [3].

The breed has long been very popular among the population in all regions of Samegrelo-Zemo Svaneti and Imereti, as it is almost the only source of animal protein. It should also be noted that in the mountainous regions of Georgia, oxen of this breed are still successfully used as draft animals, both for agricultural work and for the removal of wood and its transportation from areas inaccessible to technology (photo ..., p. ,). As a sign of respect and gratitude to the main breeders of the breed, it is fondly called "Kvaratskhelia" in society.

According to the data of the mid-70s, their number on household plots was about 15-17 thousand, and according to official data, in 1980, in all categories of farms in the republic there were 26.0 thousand heads (including 7.8 thousand cows). Of these, 11.5 thousand were kept in state farms, and by 1990 - only 2600 heads [16]

Information about the intention to create a pedigree farm of the Red Megrelian breed dates back to 1929 [11], but no data on its activities have been preserved in the archives. From 1976 in the republic there functioned a state breeding ground for this breed of cattle and 5 breeding farms, with a total livestock of more than 2200 heads, including 542 cows.

According to the long-term plan of breeding work [20], by 1990 it was envisaged in breeding farms to increase the milk yield of this breed to 1800 kg, and on average in all farms breeding this breed to 1350 kg; At the same time, it was planned to expand the

network of breeding farms, increase the number of pedigree heifers supplied to state farms, as well as select the best bulls by origin and phenotype, procure their sperm and launch work on their assessment of the quality of offspring.

During the Civil War, the livestock of this breed, like all other species and breeds of farm animals and birds, decreased by more than 2 times, and during the period of privatization of public property, the remains of the livestock, including breeding stock, were transferred to private ownership and lost. As a result, according to the data of the end of the last century, in all categories of farms, the number of conditionally pedigree animals was only 10.6 thousand.

The Scientific Research Center for Agriculture, founded in 2014 under the Ministry of Agriculture of Georgia, along with other topical issues of the country's agro-industrial sector, is working to identify, restore and improve local breeds and populations of agricultural and domestic animals and birds. Within the framework of the program, in the period from 2015 to 2017 in two regions of the country, Samegrelo-zemo Svaneti and Imereti, where cattle of this breed were historically bred, expeditionary surveys of farms and personal subsidiary plots of the population were carried out.

Since farmers, as a rule, do not keep zootechnical records, the breed of animals was established by studying the exterior (physique), color and other external signs.

